დანართი **№1**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა[1]

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თელავი
2024

სარჩევი

ნაწილი I: შესავალი..... 3

[1] **შენიშვნა:** დაწესებულება, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ავსებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმას.

1. დაწესებულების აღწერა ... 3
2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ ... 4
3. რაოდენობრივი მაჩვენებლები ... 5
3.1 პროგრამები ... 5
3.2 სტუდენტები ... 5
3.3 პერსონალი ... 6
3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები ... 7
4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი ... 7
5. სამიზნე ნიშნულები ... 7
6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა ... 8
ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება ... 13
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება ... 13
1.1. უსდ-ის მისია ... 13
1.2. სტრატეგიული განვითარება ... 14
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ... 19
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ... 19
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ... 37
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ... 43
3. საგანმანათლებლო პროგრამები ... 46
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება ... 46
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ... 49
3.3. სწავლის შედეგების შეფასება ... 54
4. უსდ- პერსონალი ... 57
4.1. პერსონალის მართვა ... 57
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ... 60
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები ... 62
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები ... 62
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები ... 63
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ... 69
6.1. კვლევითი საქმიანობა ... 70
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ... 85
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება ... 97
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ... 105
7.1. მატერიალური რესურსი ... 105
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები ... 108
7.3. საინფორმაციო რესურსი ... 120
7.4. ფინანსური რესურსი ... 123
ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი ... 130

დანართი 1ა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით 133
დანართი 1.ბ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი 134
დანართი 2. მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების/სკოლების და პროგრამების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით 133
დანართი 3. მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით: 136
დანართი 4. სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით 138
დანართი 5. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით 141

ნაწილი I: შესავალი

1. დაწესებულების აღწერა

ამ ნაწილში მოკლედ უნდა იქნას მოყვანილი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ (მაგ. ისტორიული მიმოხილვა, ძირითადი ორიენტირები და მაჩვენებლები)

ორიენტირები და მაჩვენებლები)

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყალთოს აკადემიის, თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სასწავლებლის (დამაარსებელი ერეკლე II),

სასულიერო სემინარიის, სასულიერო სასწავლებლის მრავალსაუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. 1924 წელს თელავში პედაგოგიური ტექნიკუმი დაარსდა, რომელიც 1939 წლიდან უმაღლეს სამასწავლებლო, 1951წლიდან კი პედაგოგიურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 1940 წლიდან სასწავლებელი დიდი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სახელს, 1999 წლიდან კი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსს ატარებს. ის ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია და სწავლება სახელმწიფო _ ქართულ ენაზე მიმდინარეობს. განათლების მიღება უნივერსიტეტში განახლებული პროგრამებით, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზეა შესაძლებელი. სასწავლებელი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებსაც ახორციელებს.

2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

გთხოვთ, მიუთითოთ დაწესებულების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც მოქმედია საავტორიზაციო განაცხადის გაკეთების მომენტისთვის

სახელწოდება	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1 ქ. თელავი, 2200, საქართველო
ვებ-გვერდი	www.tesau.edu.ge
ელ-ფოსტის მისამართი	info@tesau.edu.ge
ტელეფონი	+995(350)272401
ხელმძღვანელი	რექტორი შალვა ჭკადუა
ხელმძღვანელის ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონი	rector@tesau.edu.ge 599 32 38 10
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	სოლომონ რამაზაშვილი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონი	soso.ramazashvili@tesau.edu.ge 597 33 50 33
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი	სალომე თათულიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონი	quality@tesau.edu.ge 568 58 54 78

ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2018 წლის 24 სექტემბერი N72
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 24 სექტემბერი

3. რაოდენობრივი მაჩვენებლები

3.1 პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	13
მაგისტრატურა	6
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (გარდა დიპლომირებული მედიკოსისა)	0
დიპლომირებული მედიკოსი	0
დოქტორანტურა	3
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	1
ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	0
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	1
სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	0
აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები	24
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები	0
ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები [3]	1
გაცვლითი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები	0
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	0

3.2 სტუდენტები [4]

უსდ-ს მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	2674
ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობა (განმეორებითი ავტორიზაციის შემთხვევაში)	2634
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	0
აკრედიტაციის საბჭოს მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	0

სტუდენტების რაოდენობა	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	1457	973	55%

[2] დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართი 1 - ში მოცემული ფორმით

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის "3[48]" პუნქტში

[4] მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 2 -ში მოცემული ფორმით

ბაკალავრიატი	1186	810	51%
მაგისტრატურა	63	82	70%
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (გარდა დიპლომირებული მედიკოსისა)	131	34	9%
დიპლომირებული მედიკოსი	N/A	N/A	N/A
დოქტორანტურა	20	24	29%
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (60 ECTS)	45	20	94%
ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	N/A	N/A	N/A
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	12	3	83%
სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS)	N/A	N/A	N/A
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	N/A	N/A	N/A
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	N/A	N/A	N/A

3.3 პერსონალი[5]

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	აკადემიური -80, სასწავლო-დამხმარე 97 (აქედან 14 ადმინისტრაცია), მოწვეული-75, ტექნიკური -39
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	80
- პროფესორი	20
- ასოცირებული პროფესორი	50
- ასისტენტ პროფესორი	9
- ასისტენტი	1
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	79
- აფილირებული პროფესორი	19
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	50
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**9**
- აფილირებული ასისტენტი	1
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	75

[5] მონაცემები უსდ-ში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის (აფილირებული პერსონალის მითითებით) შესახებ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტის/სკოლის)მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 3-ში მოცემული ფორმის შესაბამისად

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	97

3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები

ბოლო ავტორიზაციის პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე კვლევების რაოდენობა	36
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა	N/A
უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტი	6177348
კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	350107
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	70000
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი	EIFL- 1 998 EBSCO- 3 836 ELSEVIER- 1 900
სტუდენტთა რაოდენობა, რომელზეც გათვლილია სტუდენტური საცხოვრებელი	N/A

4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი[6]

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	18438,95
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4394,77
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	14044,18

5. სამიზნე ნიშნულები[7]

	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულების მიღწევის სავარაუდო თარიღი[8]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	82/136	96/140	2026
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	82/293	96/301	2030
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	82/75	96/65	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	82/1452	96/2200	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა	157/24	157/28	2030

[6] დეტალური ინფორმაცია ცალკეულ მისამართებზე არსებული შენობა-ნაგებობების ფართების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 5-ში მოცემული ფორმით

[7] ინფორმაცია სამიზნე ნიშნულების შესახებ ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 4-ში მოცემული ფორმის მიხედვით

[8] სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან			
ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	14/1452	14/2200	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	81/157	95/161	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	81/1452	95/2200	2030
ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/5	1/5	2030
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/3	1/3	2030
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	68%	85%	2026
მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	110%	87%	2030
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	130%	100%	2030
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)[9]	60%	80%	2030
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	47%	65%	2030
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	15	30	2030
ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან	45	45	2030
კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-მთლიანი ბიუჯეტთან	6.7	13	2030

6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა

2023 წლის ოქტომბერში, აკადემიური საბჭოს გადაწვეტილებით, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფორმირება განიცადა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობამ. კერძოდ, თვითშეფასების ჯგუფი ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით:

1. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები;
2. რექტორი;
3. რექტორის მოადგილეები;
4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

[9] კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილია დანართ 1-ში მოცემული ფორმის მიხედვით

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
7. ფაკულტეტის დეკანები;
8. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები;
9. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;
10. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;
11. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები;
12. სტუდენტების წარმომადგენლები;
13. კურსდამთავრებულები ;
14. პოტენციური დამსაქმებლები;
15. ქალაქ თელავის საზოგადოების წარმომადგენლები;
16. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;

თვითშეფასების ჯგუფის პირველ შეხვედრაზე, უნივერსიტეტის, როგორც ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლისათვის, თვითშეფასების პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტები განიხილეს. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა გააანალიზეს ავტორიზაციის სტანდარტები, რის შესაბამისადაც თვითშეფასება ხორციელდება. ჯგუფის წევრებმა განსაზღვრეს თვითშეფასების პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების სათანადო მეთოდოლოგია. გარდა ამისა, დაისახა განსახორციელებელი სამუშაოს გეგმა, გადანაწილდა შესაბამისი ფუნქციები და მოვალეობები. განისაზღვრა პასუხისმგებლობის სფეროები, შეხვედრების პერიოდულობა და გრაფიკი. სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია დაევალა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. თვითშეფასების ერთიანი ჯგუფი სამი მიმართულების სამუშაო ჯგუფში გადანაწილდა:

ჯგუფი 1

ჯგუფის უფროსი: შალვა ჭკადუა - რექტორი

სტანდარტები:

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
3. საგანმანათლებლო პროგრამები
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

ჯგუფის წევრები:

1. სოლომონ რამაზაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
2. ნუნუ გელდიაშვილი - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
3. მაგდა დავითაშვილი - პროგრამების კოორდინატორი;
4. მანანა ღარიბაშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი;
5. შორენა ლაზარიაშვილი - იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
6. თენგიზ კუკუნაშვილი - IT სამსახურის უფროსი;
7. ნინო კახაშვილი აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის უფროსი, ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე;
8. თამარ ასლანიშვილი - ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის უფროსი;
9. სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
10. სტუდენტი-მარიამ როსებიშვილი
11. კურსდამთავრებული - მარიამ ბოჭორიშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი
12. დამსაქმებელი- იური მიქელაშვილი, ღვინის კომპანია „იუმი“-ის დამფუძნებელი

ჯგუფის ძირითადი მიზანი იყო ინფორმაციის შეკრება და ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში შემდეგი საკითხების შეფასება:

1. უნივერსიტეტის მისიის თავსებადობა ავტორიზაციის სტანდარტთან და სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩამოყალიბებული მისიისა და დასახული მიზნების შესაბამისად, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობები;
2. უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში ძირითადი საკითხების განსაზღვრა, რომლთა გავლენაც თესაუს სასწავლო პროცესზე, მართვის ხარისხზე და სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე აისახება;
3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში უნივერსიტეტის ყველა რგოლის ჩართულობა და შედეგებზე რეაგირების პროცედურები;
4. ეთიკური ნორმების დაცვის რეგულაციებისა და მექანიზმების თავსებადობა ავტორიზაციის სტანდარტთან;
5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, განვითარების და სწავლის შედეგების შესაბამისობა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან;
6. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმების არსებობა უნივერსიტეტში და მათი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან.

თვითშეფასების ჯგუფი პერმანენტულად აწყობდა შეხვედრებს და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში განიხილავდა მიღწეულ შედეგებს.
თვითშეფასების ჯგუფმა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს, უნივერსიტეტის მისიისა და დასახული მიზნების ახლად გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად ჩამოყალიბების რეკომენდაცია მისცა. საკითხების შეფასებისას ჯგუფი ხშირად იყენებდა კონსულტაციების შესაძლებლობას ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

ჯგუფის შეხედულებები, საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით, აისახა წინამდებარე თვითშეფასების ანგარიშში.

ჯგუფი 2
ჯგუფის უფროსი: სოლომონ რამაზაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
სტანდარტები:
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
7. მატერიალური,საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ჯგუფის წევრები:

1. მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
2. მურმან თაგოშვილი - ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;
3. ლევან შავაძე - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
4. ნინო მოდებაძე - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
5. შორენა ლაზვიაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
6. თამარ თამარაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
7. ჯუმბერ მაილაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;

8. ნანა ყარაულაშვილი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
9. თამარ ასლანიშვილი - ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის უფროსი
10. თენგიზ კუკუნაშვილი - IT სამსახური უფროსი;
11. დავით მაისურაძე - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი
12. კურსდამთავრებული - გურანდა ღარიბაშვილი
13. დამსაქმებელი - ელენე პაპუნაშვილი, Hotel & Wine Cellar „ARGE“, დირექტორი
14. სტუდენტი - ქეთევან ნათათრიშვილი
15. ქეთევან ხმალაძე - ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითრების სამსახური ხელმძღვანელი)
16. ეკატერინე ნახუცრიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ჯგუფის ძირითადი მიზანი იყო ინფორმაციის შეკრება და ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში შემდეგი საკითხების შეფასება:

1. მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსის შესახებ დეტალური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება და ერთიან სისტემაში მოყვანა;
2. სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსა და სტუდენტური სერვისების შექმნის შესაძლებლობა;
3. სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე მათთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ;
4. სტუდენტების ჩართულობის დონე სხვადსხვა ღონისძიებებში.

მეორე ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად: ჯგუფი 1.1. და ჯგუფი 1.2.
ჯგუფი 1.1 მუშობდა მე - 5 სტანდარტით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ, ხოლო ჯგუფი 1.2 მე-7 სტანდარტით გათვალისწინებული საკითხების შესახებ.
ჯგუფმა 1.1. მოიძია ინფორმაცია სტუდენტებისა და მათი მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ, შეაფასა არსებული მდგომარეობა ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში.
ჯგუფმა გამოავლინა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტების მოტივაცია, ჩართულიყვნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, იყო არადამაკმაყოფილებელი, რის ძირითად მიზეზადაც გამოიკვეთა პოსტპანდემიური ფონი. შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანადგომით და სტუდენტებთან მუშაობით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი სტუდენტური აქტივობა, რამაც საგრძნობლად აამაღლა სტუდენტთა მოტივაცია ჩართულიყვნენ სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებებში.
ასევე, ჯგუფის ერთ-ერთ მიგნებად გამოიკვეთა ის, რომ სტუდენტებში ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი სტუდენტური ორგანიზაცია სტუდენტური თვითმმართველობის სახით. სტუდენტების სურვილის გათვალისწინებით და ადმინისტრაციის მხარდაჭერით სტუდენტებმა შესძლეს და ჩამოაყალიბეს ორი სტუდენტური კლუბი: „ერეკლე II და „ბლოკნოტი“.
ჯგუფის შეხედულებები მე-5 სტანდრტთან შესაბამისობაში, საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით, აისახა წინამდებარე თვითშეფასების ანგარიშში.
ჯგუფმა 1.2. გადაამოწმა უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება და მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან, რის შედეგადაც გაიცა რეკომენდაცია მეორე კორპუსის რეაბილიტაციის შესახებ. უნივერსიტეტის ადმინიტრაციამ მოიძია ნაწილობრივი დაფინანსება, რის შედეგადაც მიმდინარეობს მეორე კორპუსის რეაბილიტაცია.
ჯგუფის შეხედულებები მე-7 სტანდარტთან შესაბამისობაში, საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით, აისახა წინამდებარე თვითშეფასების ანგარიშში.

ჯგუფი 3

ჯგუფის უფროსი: ირმა შიოშვილი - რექტორის მოადგილე
სტანდარტები:
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
4. უსდ-ის პერსონალი

ჯგუფის წევრები:

1. სოლომონ რამაზაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
2. ქეთევან ხმალაძე - ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური ხელმძღვანელი;
3. მანანა ბეჟანიშვილი - კანცელარიის უფროსი;
4. კესო სახიაშვილი - სტუდენტი;
5. ჯუმბერ მაილაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
6. სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ჯგუფის ძირითადი მიზანი იყო ინფორმაციის შეკრება და ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში, შემდეგი საკითხების შეფასება:

1.უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობები სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებაში;

2.უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან;

ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს უნივერსიტეტში მოქმედი დამხმარე სტრუქტურული ერთეულების სამსახურების ფუნქციები და მათი შესაძლებლობები სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნების მიღწევის პროცესში. უნივერსიტეტში ახლად განხორციეებული სტრუქტურული ოპტიმიზაციის შედეგები გააზრებულ იქნა ავტორიზაციის სტანდარტების ჭრილში, შესაბამისად მოხდა გარკვეული საკითხების დაზუსტება და დახვეწა.

სამუშაო ჯგუფმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მისცა რეკომედაცია შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შესახებ. შედეგა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოაწესრიგა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და შრომის უსაფრთხოების ნორმები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებდა სამუშაო ჯგუფების ერთმანეთთან კოორდინაციას.
თვითშეფასების პროცესი წარიმართა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობის ფონზე. სამუშაო ჯგუფის წევრები საკითხებთან სხვადასხვაგვარ მიდგომას იჩენდნენ, მაგრამ სამუშაო პროცესში სწორი პოზიცია ყალიბდებოდა. თვითშეფასების პროცესი მიმდინარეობდა ჯგუფებს შორის ინტენსიური კომუნიკაციის პირობებში, რამაც განაპირობა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის წინა პლანზე წამოწევა და მათი მოგვარების გზების დასახვა შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

თვითშეფასების ფორმა უნდა ასახავდეს დაწესებულების საქმიანობის ანალიზსა და შედეგების შეფასებას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს. სტატისტიკურ მონაცემთა და სხვა ფაქტობრივი ინფორმაციის მეტი სიცხადისთვის, დაწესებულებას შეუძლია ტექსტში ჩანართის სახით გამოიყენოს კონტექსტთან შესაბამისი, სათანადო გრაფიკული გამოსახულებები.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1. უსდ-ის მისია
• უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
აღწერა და შეფასება უნივერსიტეტის მისიაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რაც ეხმიანება საერთშორისო და ლოკალურ დონეზე არსებულ გამოწვევებს უმაღლესი განათლების სფეროში. მისიაში ასახულია ის ძირითადი მახასიათებლები, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის სპეციფიკას და პრიორიტეტულ მიმართულებებს სწავლებასა და კვლევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტის მისიაა: უმაღლესი განათლების სამივე საფეხურსა და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების თანამედროვე სწავლების მეთოდებზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების დანერგვით, აკადემიური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვადასხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის

გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს მისიით დასახული მიზნების შესრულების მონიტორინგს, თვითშეფასების პროცესის მეშვეობით. შესაბამისად, უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის მიერ ინიცირებულ იქნა მისიაში ცვლილების შეტანის საკითხი ფაქტობრივი და საკანონმდებლო გარემოებების გათვალისწინებით. მისიაში 2023 წელს განხორციელდა მცირე ცვლილება, რაც უკავშირდება პროფესიული განათლების საკითხის ახლებურ გააზრებას.

უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთადერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კახეთის რეგიონში და მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებას ხელი შეუწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტიდან. მითუმეტეს, როდესაც პროფესიული განათლების კუთხით ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა, უზრუნველყო მნიშვნელოვანი პროგრესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, მისიის დონეზე, გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებას, ვინაიდან შრომის ბაზარი უსდ-სგან სწორედ ამ მიმართულების განვითარებას მოითხოვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ის აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი)
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

აღწერა და შეფასება

- თესაუს შემუშავებული აქვს განვითარების შვიდწლიანი და სამოქმედო სამწლიანი გეგმები, რომლებში ასახული მიზნებიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, მისიაში განსაზღვრული პრიორიტეტებიდან, არის მიღწევადი, დროში გაწერილი, მათი განხორციელების შედეგები გაზომვადია და გაზიარებულია საზოგადოების მიერ. თესაუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების წესის შესაბამისად. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება განხორციელდა

უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან, სტრუქტურული ერთეულიდან, სტუდენტური თვითმმართველობიდან და სტუდენტური საინიციატივო ჯგუფებიდან.

- პროცესში ჩართულები იყვნენ: დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, საზოგადოების აქტიური წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა. დოკუმენტი ერთობლივი ფორმულირებით ყალიბდება ადმინისტრაციის ყველა რგოლის უშუალო ჩართულობით. თესაუს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ათი ძირითადი მიზანი მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს; სამოქმედო გეგმით კი განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობები, ვადები და საჭირო რესურსი.

უნივერსიტეტს საკუთარი წვლილი შეაქვს:

ადგილობრივი საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში; უნივერსიტეტის მიერ ამ მიზნით განხორციელებული აქტივობები ყოველთვის პასუხობს რეგიონის საზოგადოებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, გარემოსდაცვითი განვითარებისა და სხვა მიმართულებებს.

- უნივერსიტეტის **პროფესორები საზოგადოების ფართო წრეებს მუდმივად აცნობენ საკუთარი კვლევის შედეგებს.** გასული წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მკვლევრებმა უახლესი კვლევების შედეგები წარუდგინეს დაინტერესებულ საზოგადოებას. კვლევები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:
- ტურიზმი;
- აგრარული;
- ეთნიკური უმცირესობები;
- განათლება;
- ჰუმანიტარული.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს **დასაქმების გამოფენაში,** სადაც საზოგადოებას საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას აწვდის.

- სოფლის მეურნეობის ლაბორატორიებში განხორციელებული კვლევების საფუძველზე, **ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობაა ჩამოყალიბებული კახეთის რეგიონის ფერმერებთან.** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული მიმართულების აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ატარებს საინფორმაციო ტრენინგებს ფერმერთათვის მევენახეობის მიმართულებით და კვლავ უსასყიდლოდ იკვლევს დაინტერესებულ პირთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგს და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს.

- **სოციალური აქტივობების განხორციელების კუთხით,** ინტენსიურად მუშაობენ თესაუ-ს სტუდენტები. საქველმოქმედო კონცერტებითა და შემოწირულობებით, ისინი საკვები

პროდუქტებითა და აუცილებელი მოხმარების ნივთებით პერიოდულად ეხმარებიან მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

- უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საზოგადოებისათვის საინტერესო პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. ისინი ესწრებიან საკრებულოს სხდომებს და სვამენ მათთვის საინტერესო შეკითხვებს.
- უნივერსიტეტის სტუდენტები რამდენჯერმე შეხვდნენ აზროვნების აკადემიის ლექტორებს, რომლებმაც ახალგაზრდებთან ისაუბრეს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, საზოგადოებრივი და სოციალური პასუხისმგებლობის, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განათლების როლის, გლობალურ პროცესებში საქართველოს ადგილის შესახებ. ზემოთნახსენებულ შეხვედრებში ჩართული იყო ფართე საზოგადოება, რომელმაც უნივერსიტეტის ხელშეწყობით, არამხოლოდ საინტერესო საკითხებზე შეძლო დიკუსია, არამედ მიიღო სრულიად ახალი ინფორმაცია.
- მნიშვნელოვან კონტრიბუციას ახორციელებს უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკა. რომელმაც პირველად საქართველოში მეწარმეობით დაინტერესებული პირების ინფორმირების პროექტი დაიწყო. აღნიშნული პროექტი ხორციელდება USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.
- დიდია უნივერსიტეტის წვლილი კახეთის რეგიონის კვალიფიციური პედაგოგებით უზრუნველყოფის საკითხში. თესაუს მომზადებულ ახალგაზრდა პედაგოგებს უკვე შეაქვთ საკუთარი კონტრიბუცია მომავალი თაობების აღზრდის პროცესში. გაძლიერდა უნივერსიტეტის და სკოლების თანამშრომლობა. აკადემიურ პერსონალთან ერთად აღნიშნულ პროცესებში ჩართულები არიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და 60 კრედიტიანი) სტუდენტები, რომლებიც სკოლის ბაზაზე დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ერთად ახორციელებენ პრაქტიკის კვლევებს, ხოლო მოსწავლეთა მონაწილეობით - სხვა არაერთ აქტივობას, რაც მიმართულია მოსწავლეთათვის კვლევითი უნარების, წიგნიერების, გუნდური მუშაობის და რიგი სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ UNICEF- ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდა სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგების გადამზადება სხვადასხვა მოდულების მიხედვით.
- სხვადასხვა ქვეყნების ელჩების, უცხოური ორგანიზაციების, ქვეყნის შიგნით საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი საჯარო დაწესებულებების ინტერესი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, უფრო და უფრო მზარდია. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ვიზიტით იმყოფებოდნენ ლიეტუვის რესპუბლიკის, შვედეთის, უკრაინის ელჩები, რომელმაც შემდგომი დაახლოებისა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.
- უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **გარემოსდაცვით საქმიანობას**. თესაუ-ს სტუდენტები და თანამშრომლები აწყობენ დასუფთავების აქციებს, მონაწილეობენ კონკურსებში.
- **სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში,** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო კონფერენციას „სკოლა და უნივერსიტეტი“. კონფერენციაში მონაწილე საჯარო სკოლის მოსწავლეები თემებს

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და დოქტორანტების ხელმძღვანელობით ამზადებენ. მოსწავლეთა ციფრული ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში ასევე ეწყობა კონფერენცია „ჩვენ ბუკელები ვართ.“ ასევე, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური და სკოლის მოსწავლეების ეკო-საგანმანათლებლო სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება“.

- უნივერსიტეტი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას სამეცნიერო ფესტივალებში, სადაც წარადგენს საკუთარ სამეცნიერო მიღწევებს.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები რეგიონის სწორი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.
უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის: უნივერსიტეტის პერსონალი (აკადემიური, ადმინისტრაციული), სტუდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციისა და/ან საზოგადოების წარმომადგენლები. მონიტორინგის ჯგუფი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე და ყოველწლიურად, იანვარ-თებერვალში, აწარმოებს მონიტორინგს სამწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული მიზნების/ამოცანების შესრულებაზე; შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დასკვნას სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმებით გათვალისწინებული მიზნების/ამოცანების შესრულების საკითხებზე.
აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში გათვალისწინებული უნდა იყოს: ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ; მონიტორინგის ჯგუფის შეფასების დასკვნის საფუძველზე აკადემიურ საბჭოს შეუძლია რეაგირება მოახდინოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ დასმულ საკითხზე.

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდებოდა ყოველწლიურად. შესაბამისი ინფორმაცია თავს იყრიდა მონიტორინგის ჯგუფში, ჯგუფი შესაბამისი ანგარიშით მიმართავდა აკადემიურ საბჭოს. აკადემიურ საბჭოზე განხილვის შედეგად იგეგმებოდა სამომავლო ღონისძიებები სტრატეგიული მიზნების შესრულების მიზნით. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ამგვარმა მეთოდმა ხელი შეუწყო დასახული მიზნების 95 %-ით შესრულებას.
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშების საფუძველზე 2023 წლის ნოემბერში დამტკიცდა ახალი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები (2025-2031). სადაც აისახა ახლებურად გააზრებული მიზნები, მიღწევის გზები და შესრულების ვადები.

საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება

- ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების გაგრძელება;
- უნივერსიტეტში ჩატარებული ახალი კვლევების შედეგების გაზიარება საზოგადოებისათვის;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებები;
- სტუდენტების უფრო აქტიურად ჩართვა საზოგადოებისთვის საჭირო საკითხებში (სოციალური აქტივობები, შემეცნებითი საქმიანობა, სპორტული და კულტურული

ღონისძიებები და სხვა.). უნივერსიტეტი გეგმავს კახეთის რეგიონის საჯარო სკოლებთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას, რაც გულისხმობს სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით საქმიანობაში (ერთობლივი კონფერენციები, ერთობლივი კვლევები, ერთობლივი კვლევითი-სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებები.). • საზოგადოებისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების სისტემის სრულყოფა; • საერთაშორისო პროექტებში მიღებული გამოცდილების გაზიარება რეგიონში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის; • რეგიონის ტურისტული ორგანიზაციებისთვის მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება; • ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა (2018-2025) და სამწლიანი სამოქმედო გეგმები (2018-2020) 2. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა (2025-2031) და სამწლიანი სამოქმედო გეგმები (2025-2027) 3. უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების წესი 4. უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის შესახებ კონტრიბუცია.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები 1. მიზნების მიღწევადობის შესაძლებლობები; 2. რეგიონის განვითარებაზე ორიენტირებული პრიორიტეტები; 3. დროში რეალისტურად გაწერილი აქტივობები; 4. მიზნების მიღწევზე ორიენტირებული ამოცანები 5. მიზნის მიღწევისთვის საჭირო რესურსების სწორად განსაზღვრა; 6. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პრინციპი.
გასაუმჯობესებელი მხარეები 1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა; 2. ფინანსური რესურსების მოზიდვა.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი;
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას;
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის განსახორციელებლად უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები და მართვის ორგანოები დაკავშირებულნი არიან ფუნქციონალურად აგებული სტრუქტურის საფუძველზე, სუბორდინაციისა და კოორდინაციის პრინციპების გათვალისწინებით. სტრუქტურა აგებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების და სხვა რეგულაციების გათვალისწინებით. დაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის განსაზღვრული უფლებამოსილებანი მკაფიოდ გამიჯნულია. სტრუქტურული ერთეულებისათვის დაკისრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია შესაბამის დებულებებში, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.

საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის სრულყოფა;
- კონკურენტუნარიანი და კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული პერსონალის მოზიდვა;
- ხელფასის რანჟირების პროცესის განვითარება;
- საერთაშორისო გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვა უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულების საგამანათლებლო პროგრამებისათვის;
- სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკისა და ქცევის წესების რეგულაციის გაუმჯობესება;
- შიდა კონტროლის მექანიზმების განვითარება;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ტრენინგების ჩატარება მართვის პროცესებში ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.

უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი; უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფორმირება ხდება არჩევნების საფუძველზე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად. არჩევნები ტარდება ღია კონკურსის წესით და შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. მართვის ორგანოების არჩევნები ცხადდება წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. არჩევნებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსდება. ასარჩევ პირებს, დებულებით დადგენილ ვადაში, საარჩევნო კომისიაში წარსადგენი დოკუმენტების დაზუსტების, არჩევნების შედეგების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობა ეძლევათ. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ასარჩევ თანამდებობაზე წარდგენილი ყველა კანდიდატისათვის თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნას, მათ შორის, კანდიდატების მიერ ჩამოყალიბებული ხედვისა და გეგმის სამართლიან და თანასწორ გარემოში წარმოდგენის შესაძლებლობას. უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში განსაზღვრულია სტუდენტური ქვოტა, რომლის შევსება ასევე არჩევნების გზით ხორციელდება. არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მართვის ორგანოების არჩევნებზე, წინასწარი რეგისტრაციის გზით, დამკვირვებლის სტატუსით დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

• უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას;

უნივერსიტეტის მართვის ორგანოები აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ დროულად, კანონით დადგენილი წესით და ვადებში. განსახილველ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას განისაზღვრება შესასრულებელ საკითხებზე პასუხისმგებელი და კონტროლის განმახორციელებელი პირები.

მართვის სისტემის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს „საქმის წარმოების ერთიანი წესი“ და „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“. ამის გარდა, უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ თანამედროვე ტექნოლოგიებს: დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (eflow.emis.ge) და განათლების მართვის ელექტრონულ სისტემას (ea.tesau.edu.ge; tunels.tesau.edu.ge). უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადრესატისათვის გაცნობა ხდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის გამოყენებით. უნივერსიტეტში წარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრი, რომელშიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია აისახება. პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შემოწმების მიზნით, უნივერსიტეტში არსებობს „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესი“, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებსა და მისი განხორციელების ეტაპებს. უნივერსიტეტში მოქმედი საქმის წარმოების წესები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტში დასაქმებული პირებისათვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს-უწყვეტობის გეგმა (ბუგი), რომელიც შეესაბამება თესაუს ბიზნეს-უწყვეტობის პოლიტიკას და მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის შეუფერხებლად მუშაობისათვის. ბუგი ასახავს გარემოში მიმდინარე ცვლილებებს, რაც გავლენას ახდენს თესაუზე. ბუგი ითვალისწინებს:

• კრიტიკული ღონისძიებების იდენტიფიცირებას;
• ბიზნეს-შეფერხებების თავიდან ასაცილებლად საჭირო რესურსების დადგენას;
• ბიზნეს-პროცესის უწყვეტობას და მინიმალურ დროში ჩვეულებრივ რეჟიმში დაბრუნებას.

ბუგი მოიცავს უსაფრთხოების, სწავლა-სწავლება-კვლევის, ბიზნეს საქმიანობის მხარდამჭერ ქმედებებს, რაც თესაუს ადამიანური რესურსების, სტუდენტების, ქონების დაცვის შესაძლებლობას აძლევს და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.
უნივერსიტეტს აქვს ერთიანი, უწყვეტი და კონკრეტული მოქმედებების გეგმა, რომელიც საფრთხის შემთხვევაში რისკების შესამცირებლად გამოიყენება. ბუგის შესრულებაზე პასუხისმგებელი გუნდი აფასებს რისკებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით. ამის შემდეგ გუნდი ახორციელებს მოქმედებებს ბიზნეს-პროცესის მოსალოდნელი შეფერხებისა და შესაძლო რისკების შესამცირებლად. თესაუს ბუგში მოცემულია კრიტიკულ სიტუაციებში მინიმალური დანაკარგებით მომწოდებლების ალტერნატიული წყაროების მოძიება.
თესაუს აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის მიზანია უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობიერების ამაღლება. ის სრულად პასუხობს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას, მისიასა და მიზნებს. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის არსებობა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და იყვნენ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ კვლევითი პროექტების მონაწილეები, საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად.
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ქმნის შესაძლებლობას უნივერსიტეტმა დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა დონორებთან, მოიძიოს საერთაშორისო ფონდები საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობებისთვის, ჰქონდეს აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებსა და პერსონალთან, სიახლეების (გაცვლითი პროგრამები, სტაჟირებები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალები, კვლევები) შესახებ დროული ინფორმირების მიზნით.

2023 წლის ბოლოს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო გამოცდილების საზოგადოებისთვის გაზიარება და უნივერსიტეტის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის მახასიათებლების გაზრდა. ავტორიზაციის პერიოდში, 2018 წლიდან, განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულების საერთაშორისო პროექტები.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი მხარს უჭერს იმ აქტივობების განხორციელებას, რომელიც აამაღლებს ინსტიტუციის ცნობადობას საერთაშორისო დონეზე. ამ მიზნის მისაღწევად, დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდა. ამისათვის, ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური სისტემატურად იძიებს და ავრცელებს ინფორმაციას საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, საზაფხულო თუ ზამთრის სკოლების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელებში; სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან რეგულარულად ტარდება შეხვედრები საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით; ტარდება აგრეთვე ინდივიდუალური კონსულტაციები. შეასაბამისად, სამსახურში მატულობს დაინტერესებული სტუდენტებისა თუ აკადემიური პერსონალის მომართვიანობა ზემოთ აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოაწყო საერთაშორისო კონფერენციები:

1. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის - EPSY-ის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია - ,,სტუდენტური ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხები.“ კონფერენცია ჩატარდა 2023 წლის 6 ოქტომბერს. მოხსენებები წარადგინეს საქართველოს, იტალიის, პოლონეთის და რუმინეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა.

https://tesau.edu.ge/siaxle1/22250-telavis-saxelmtsifo-universitetis-tsarmomadgenlebi---erazmus-proeqtis-finalur-konferencias-daestsrnen.html

2. 2023 წლის 24 ოქტომბერს ილიას უნივერსიტეტისა და თელავის უნივერსიტეტის თანადაფინანსებით ჩატარდა კონფერენცია თემაზე - ,,აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში", რომელსაც ესწრებოდნენ ტურნიტინის წარმომადგენლებიც ბრიტანეთიდან. https://tesau.edu.ge/siaxle1/22101-saertashoriso-konferencia-akademiuri-ketisindiserebis-shesaxeb.html

3. ამავე წლის 25 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტისა და თელავის უნივერსიტეტის თანადაფინანსებით თელავის უნივერსიტეტმა უმასპინძლა კონფერენციას - „მეცნიერება, განათლება, ინოვაციები და ქიმიური ტექნოლოგიები - იდეიდან განხორციელებამდე." კონფერენციას ქართველი მომხსენებლების გარდა ესწრებოდნენ იაპონიის, იტალიის, ვარშავის, ყაზახეთის პარტნიორი ინსტიტუციების წარმომადგენლები. https://conference23iice.ge/.

4. 2024 წლის 9-11 თებერვალს თელავის უნივერსიტეტის თანაორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ." კონფერენცია დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, ხოლო თანაორგანიზატორები იყვნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ალკალას უნივერსიტეტის მეწარმეობის სკოლა (ესპანეთი) და დეგენდორფის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (გერმანია). პროექტის პარტნიორები - სააგენტო "აწარმოე საქართველოში", მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA), გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი - UN Global Compact Network Georgia, ფინანსური განათლების პორტალი „ფინედუ". https://tesau.edu.ge/siaxle1/22225-inovaciebisa-da-metsarmeobis-shesaxebsaertashoriso-samecniero-konferenciisquot-daxurva-tesaushi

ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ეროვნულ ფორუმებსა და საინფორმაციო შეხვედრებში, რაც იწვევს უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას. გაიზარდა შემოთავაზებები საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მიზნით.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება თანამშრომლობა უცხო ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. იზრდება გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობაც. დღემდე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 34 თანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორთან.



აღნიშნული აქტივობების განხორციელების შედეგად, გაიზარდა საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროექტებში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა. ასევე გაიზარდა თესაუში ჩამოსული უცხოელი პროფესორებისა თუ სტუდენტების რაოდენობა.

2018 წელს საერთაშორისო განვითარების პროექტებში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 30-ს, 2019 წლისთვის კი 49-მდე გაიზარდა. 2020 წელს პროექტებში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა იყო - 51; 2021 წელს ასეთი პერსონალის რაოდენობა 60-მდე გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს ევროკომისიას არ ჰქონდა განვითარების პროექტებისთვის კონკურსი გამოცხადებული 2022 წელს პროექტებში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა იყო - 57. 2023 წელს პროექტებში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობამ ისევ მოიმატა და გახდა 66.



დადებითი დინამიკის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია ის, რომ თელავის უნივერსიტეტი გახდა სანდო პარტნიორი და განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუცია პარტნიორებისათვის.

ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური მუდმივად აქვეყნებს საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროექტების შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. სამსახურის ინიცირებით, იმართება საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტის

თანამშრომლებთან. გარდა ამისა, დაინტერესებული პირები ინფორმაციას და რეკომენდაციებს იღებენ ინდივიდუალური კონსულტაციების საშუალებით. სამსახური ჩართულია ბენეფიციარებისთვის სამგზავრო თუ მობილობისთვის საჭირო სხვა ოფიციალური დოკუმენტაციის მომზადება-მოწესრიგების პროცედურებში, მუდმივ კონტაქტშია საელჩოებთან და საკონსულოებთან. სამსახური დიდ ძალისხმევას დებს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მოწვევასა და სასწავლო პროგრამებში მათი ჩართულობის საქმეში. ყოველივე ეს ხორციელდება თესაუ-ს პრიორიტეტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში თელავის უნივერსიტეტის პროფესორების ინიციატივით და სამსახურის ძალისხმევით, მოწვეულნი იყვნენ ევროკომისიის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის - VITAGLOBAL-ის პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორები როვირა ი ვირჯილის უნივერსიტიდან (ესპანეთი) და ქეიფ პენინსულას უნივერსიტეტიდან (სამხრეთ აფრიკა). აღნიშნული პროფესორები ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში. ესპანელი პროფესორი კი არის ამავდროულად პროგრამის თანახელმძღვანელი. ერაზმუს + KA107 ინტერინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში, მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი სტუდენტებისთვის ლექციები ჩაატარეს პოჟეგის უნივერსიტეტის პროფესორებმა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა უნგრელ MATE-ს (HUNGARIAN UNIVERSITY OF AGRICULTURE AND LIFE SCIENCES, HUNGARY) პროფესორებთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაზე. ასევე, იგეგმება ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება შვედეთის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტთან SLU (The Swedish University of Agricultural Sciences).

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ეფექტური მუშაობის შედეგად გაიზარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობაც. სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით, სამსახური მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროექტების შესახებ, გასცემს რეკომენდაციებს საზღვარგარეთ სწავლასა და სტაჟირების შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში, ეხმარება მათ ყველა საჭირო პროცედურის წარმართვაში, სავიზო თუ სამგზავრო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საელჩოებთან, საკონსულოებთან, ავია კომპანიებთან. მჭიდრო ურთიერთობების შედეგად, საელჩოები უნივერსიტეტს სთავაზობენ ახალ საპარტნიორო წინადადებებს. მაგალითად, საფრანგეთის საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშემ ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორების ინიციატივით, უნივერსიტეტი დააკავშირა შვედ კოლეგებს მევენახეობა-მეღვინეობისა და ბიოინფორმატიკის მიმართულებით. აქტიური მუშაობის შედეგად 2022 წლის ივლისიდან შვედურმა ინსტიტუტმა (Swedish Institut) დააფინანსა პროექტი „ProGriCC (Production of Grapes in a Changing Climate). სხვა სამეცნიერო-სასწავლო აქტივობებთან ერთად, პროექტი მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების 1 სემესტრიან გაცვლებსაც მოიცავდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, თელავის უნივერსიტეტის ორგანიზებით, 2023 წლის ოქტომბერში, გაიმართა „ზამთრის სკოლა.“ ღონისძიებაზე პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა და დარგის მოწვეულმა ექსპერტებმა (მეღვინეობის სექტორიდან) საკუთარი კვლევის შედეგები წარმოადგინეს; ზამთრის სკოლის ფარგლებში დაიგეგმა ახალ, ფართომასშტაბიან ერთობლივ პროექტებზე მუშაობა. აღნიშნული პარტნიორობით, 2024 წელს ოთხი ახალი საპროექტი განაცხადი შემუშავდა და სხვადასხვა ფონდს წარედგინა დაფინანსების მიზნით.

საელჩოებთან წარმატებული ურთიერთობების კიდევ ერთი მაგალითია თელავის უნივერსიტეტისა და იტალიის საელჩოს მიერ ერთობლივად განხორციელებული იტალიური ენის სწავლების პროექტი. საელჩოს მხრიდან ამ აქტივობაზე გამოყოფილი თანადაფინანსება ყოველწლიურად იზრდება.

პროექტების წერის უნარების გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ კუთხით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პერსონალს პერიოდულად სთავაზობს ტრენინგებს. შედეგად,

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტეტის კოორდინირებით მომზადდა პროექტი - Promoting of Value Education and Media Literacy Integrated Curricula in South Caucasus HEIs (PROVE)/ „ღირებულებითი განათლებისა და მედია წიგნიერების ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში სამხრეთ კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში“, რომელიც დასაფინანსებლად შევიდა ევროკომისიაში. პროექტმა წარმატებით გაიარა ტექნიკური შეფასება, თუმცა გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა შინაარსობრივი კუთხით. ანალიზის შედეგად, მოხდა აღნიშნული ხარვეზების დარედაქტირება-დახვეწა და 2024 წელს პროექტი კიდევ ერთხელ შევიდა ფონდში, დასაფინასებლად.

ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ეფექტურობის ზრდა აისახა ასევე დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების რიცხვზეც, რაც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით წარდგენილი პროექტების დაახლოებით 20% ფინანსდება, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს საერთაშორისო პროექტებით მიღებული შედეგების მდგრადობა. ასეთებია:

1. **585841 EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP (2017 – 2961 / 001 – 001)** „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში"/ **Academic Integity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia” (INTEGRITY)** პროექტის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა პლაგიატის გამოწვევებზე საუნივერსიტეტო გარემოში. გადატრენინგდნენ პროფესორები, სტუდენტები, ჩატარდა შეხვედრები თელავის სკოლების ქართული ენის მასწავლებლებთან, პროფესიული კოლეჯის სტუდენტებთან. შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც პლაგიატთან ბრძოლის, პრევენციის და სანქციების ერთობლიობას წარმოადგენს. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიურად გამოიყენება TURNITIN. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით და ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ინიციატივით გაფორმდა ხელშეკრულება ტურნიტინის წარმომადგენლობასთან პროექტის დასრულების შემდეგ, საჭირო ლიცენზიების შესყიდვის თაობაზე. პროექტი დასრულდა 2020 წელს და უნივერსიტეტი ყოველწლიურად, უწყვეტად უზრუნველყოფს ლიცენზიების შესყიდვას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

2. 585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP – „ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტთა სწავლის გამოცდილების გაღრმავების მიზნით „Change in Classroom: Promoting Innovative Teaching and learning to Enhance Student Learning Experience in Eastern Partnership Countries” (PRINTEL). აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებით, უნივერსიტეტის პერსონალი გადამზადდა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა პროფესიული განვითარებისა და ინოვაციური სწავლების ცენტრი. ცენტრი პერიოდულად ახდენს მასწავლებელთა გადატრენინგებას, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის მიმართულებით. კონკრეტულად:

   1. „Active Learning: Technology Enhanced Collaborative learning“/„აქტიური სწავლა: ტექნოლოგიებით გაძლიერებული კოლაბორაციული სწავლება“.
   2. “Active learning and ICT-enhanced teaching: M-learning a gamification“/„აქტიური სწავლა და ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება: მობილური ტელეფონით სწავლება და თამაშები“ .

3. “Active learning in the Flipped Classroom”/„აქტიური სწავლება შებრუნებულ საკლასო ოთახში “.
4. “Blended / Hybrid learning”/ „შერეული/ჰიბრიდული სწავლა “.
5. Videos – a learning tool for teachers and students”/„ვიდეო, როგორც სწავლების ინსტრუმენტი.“

გარდა ტრენინგებისა, უნივერსიტეტში შეიქმნა ხმის და ვიდეოს ჩამწერი ლაბორატორია, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის პროფესორებს, როგორც ვიდეო ლექციების ჩამწერი სტუდია და იქმნება ელექტრონული რესურსები სტუდენტებისთვის.

3. 598507-EPP-1-2018-1-ES-EPPKA2-CBHE-JP - „გლობალური ქსელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და მევენახეობა-მეღვინეობისთვის: ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი პროგრამების მეშვეობით/A Global Network for Agricultural Sciences and Viniviticulture: Internationalising through Joint Programmes “(VITAGLOBAL). პროექტის პარტნიორები გარდა ევროპული უნივერსიტეტებისა, იყვნენ ლათინო ამერიკის (ჩილე, ურუგვაი, არგენტინა) და სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტები. პროექტის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტი მონაწილეობდა 2 მოდულის შემუშავებაში: 1. „ახალი ტენდენციები მიკრობიოლოგიაში, ღვინის დაძველება და უსაფრთხოება“ (პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა კურსისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, მომზადებულ იქნა და ითარგმნა შესაბამისი რიდერი), 2. ,,ღვინის ტურიზმის ინოვაციები“. ამ ეტაპისთვის ორივე კურსი დანერგილია აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

4. 609741-EPP-1-2019-1-GE-EPPKA2-CBHE-SP - ”უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში / Role of Universities in the Regional Development (RURD). პროექტი იყო ეროვნული ინიციატივა, რომლის ერთ-ერთი მიზანიც იყო პარტნიორი უნივერსიტეტების როლის გაძლიერება რეგიონების განვითარებაში. პროექტის ფარგლებში დაარსდა რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენცია, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო. რექტორთა კონფერენციას ხელი მოეწერა 2021 წლის 9 ივლისს. პროექტის ფარგლებში განახლდა მემორანდუმები თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან, საკრებულოსთან და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან.
5. 609949-EPP-1-2019-1-PT-EPPKA2-CBHE-JP „სწავლების ოპტიმიზაცია და აკადემიური ინკლუზია დისტანციური სწავლისა და სწავლების გამოყენებით“/„Learning Optimization and Academic Inclusion via Equitative Distance Teaching and Learning” (LOVEDISTANCE). უნივერსიტეტში არსებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ეთნიკური, რელიგიური, დასაქმებული) პროექტის ფარგლებში შემუშავდა დისტანციური კურსები. პროექტის ფარგლებში შეთავაზებული ტრენინგებისა და შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობის დახმარებით, თავისთავად მოხდა კურსების დისტანციურ რეჟიმში შეთავაზება, არა მხოლოდ პროექტით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფის სტუდენტებისთვის, არამედ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის. პროექტის ფარგლებში შეძენილმა ტექნიკამ გაამდიდრა უნივერსიტეტის ჩამწერი სტუდია.

6. 609719-EPP-1-2019-1-DE-EPPKA2-CBHE-JP - “საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების განათლება ყველასათვის”/“ Educating Science Teachers for All” (ESTA). პროექტის ფარგლებში გაიხსნა და აღიჭურვა თანამედროვე მულტიმედია და ლაბორატორიული ხელსაწყოებით ბუნებისმეტყველების ლაბორატორია, შემუშავდა ორი ახალი სასწავლო კურსი („ქართული ენის, როგორც მეორე ენის და ბუნებისმეტყველების

ინტეგრირებული სწავლება“ და „ინგლისური ენის, როგორც მეორე ენის საგანთან ინტეგრირებული სწავლება“) მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამისთვის. სასწავლო კურსები აგებულია სწავლების თანამედროვე მიდგომებზე - კვლევაზე დაფუძნებული სწავლა, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება და ენობრივი გაძლიერება ბუნებისმეტყველების სწავლებაში. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 20 ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონებიდან (პანკისი და ლაგოდეხი) და 18 სტუდენტი, რომლებმაც მოახდინეს შემუშავებული მასალის პილოტირება სკოლაში. ასევე, ითარგმნა და დაიბეჭდა სასწავლო მასალები სტუდენტებისათვის, რომელიც ხელმისაწვდომია თესაუს ბიბლიოთეკაში.

7. 609736-EPP-1-2019-1-GEEPPKA2-CBHE-JP - “ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად" / “Curriculum Innovation for Social Inclusion“ (CISI). პროექტის ფარგლებში მოხდა სამი კურსის შემუშავება და დანერგვა მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიან პროგრამაში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად. აქტიური კონსულტაციები გაიმართა თელავის სკოლის დირექტორებთან, პედაგოგებთან, სპეცმასწავლებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელებიც ინკლუზიის მიმართულებით მუშაობენ და დიდი გამოცდილება აქვთ. მათი რეკომენდაციები სრულიად იყო გათვალისწინებული კურსების შემუშავების პროცესში. კურსები მიზნად ისახავს სკოლებში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზით, ხელი შეუწყოს შშმ პირთა სოციალურ ჩართულობას, რომელიც მომავალ პედაგოგებს უზრუნველყოფს სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის საჭირო ცოდნით და უნარებით. ეს კურსებია: 1.დასწავლის უნარის დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია; 2. ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია; 3. ენის, მეტყველების და კომუნიკაციის დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია.

8. 618766-EPP-1-2020-1-EE-EPPKA2-CBHE-JP - ,,ტექნოლოგიებზე დამყარებული სწავლა-სწავლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში“/“Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs“ (DITECH). პროექტის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ტექნოლოგიით გაძლიერებული სწავლა-სწავლების განვითარებისა და დანერგვის გზით. პროექტის დაწყება დაემთხვა კოვიდ 19 პანდემიის პერიოდს და ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლა-სწავლება მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროფესორებისა და სტუდენტებისთვის. ჩატარდა ტრენინგები პროფესორებისთვის, სკოლის მასწავლებლებისთვის და ონლაინ ინსტრუქტორებისთვის. შეიქმნა ორი კურსი: ,,ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ტექნოლოგიით გაძლიერებული სწავლების ტენდენციები განათლებაში ბაკალავრი სტუდენტებისთვის“ და ,,საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში მაგისტრანტი სტუდენტებისთვის“. სტუდენტები კურსების გავლის შემდეგ უფრო მეტად კონკურენტუნარიანები გახდნენ შრომის ბაზარზე.

9. 617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP - ,,ფსიქოლოგიური სერვის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში“/“Establishment of Psychological Counseling Centers at Georgian HEIs for Students” (**E-PSY).** პროექტის ფარგლებში გადატრენინგდნენ უნივერსიტეტის ფსიქოლოგები. უნივერსიტეტში შეიქმნა სტუდენტთა ფსიქოლოგიური სერვის ცენტრი. შეძენილი იქნა პროფესიული ფსიქოლოგიური ტესტები, რომლებიც ითარგმნა და სტუდენტთა საჭიროებისთვის აქტიურად გამოიყენება.

ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ხელშეწყობით ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. 2023 წლის 1 თებერვლიდან ოფიციალურად დაიწყო ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი - ETHICS - ,,Responsible Conduct of Research - Research Integrity and Ethics in Georgian Universities"/,,კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა-კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში". პროექტი 4 წლიანია. პროექტის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი პროექტის ფარგლებში. კერძოდ: კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების, კვლევის სანდოობისა და კეთილსინდისიერი კვლევის პრაქტიკის დანერგვა, ზემოხსენებულ პრინციპებზე დამყარებული კულტურის გაძლიერება და დიდი კვლევითი პროექტებისთვის (Horizon Europe) უნივერსიტეტის მომზადება. პროექტის ფარგლებში უკვე შეიქმნა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი, რომელიც იქნება პროექტის მიზნების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

2. DUGEOR - " Strengthening capacities for the implementation of dual education in Georgian higher education"/,,ქართულ უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება". პროექტი ოთხწლიანია. პროექტის ფარგლებში ხორციელდება პროექტის ევროპელი პარტნიორების (ავსტრია, გერმანია, სერბეთი) გამოცდილების გაზიარება, დუალური უმაღლესი განათლების მიმართულებით. ქართული შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის შედეგები გაზიარებულია ფართო აუდიტორიისთვის. პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით. პროექტის ფარგლებში უკვე დასრულებულია ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა. შეძენილია მინი სასწავლო ღვინის ქარხანა, რომელიც უკვე დამონტაჟდა უნივერსიტეტში.

3. Erasmus + European Energy Efficiency towards Mutually Reinforcing Partnership with Georgia, Azerbaijan, and Ukraine „ (project ID-01128576)/,,ევროპის ენერგოეფექტურობა საქართველოს, აზერბაიჯანის და უკრაინის პარტიორობის მხარდასაჭერად" (3E Partnership). პროექტი დაიწყო 2023 წლის 1 დეკემბერს და გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში. პროექტის ფარგლებში უნივერსტეტის აკადემიური პერსონალის მიერ უნდა შემუშავდეს 3 სასწავლო კურსი, რომელიც დაინერგება ეკოლოგიის და მევენახეობის სასწავლო პროგრამებში. პროექტის ფარგლებში შეძენილი მზის პანელები გამოყენებულ იქნება განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით ლაბორატორიების საერთაშორისო ქსელის ფორმირებისთვის. ასევე, დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები მსხვილი კვლევითი პროექტების განხორციელების, სასწავლო მასალებისა და კურსების შემუშავების, ცნობიერების ამაღლების და ტრენერების გადამზადებისთვის.

4. Erasmus +EDU-2022-CBHE-STREND2 - ,,Designing Green Tourism Concepts Through Learning" (Project ID 101082919) (ENRICHER-hubs). პროექტი 2024 წლის 1 იანვრიდან ხორციელდება უნივერსიტეტში. პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს ტურიზმის მიმართულებით აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების გაუმჯობესება, რომლებიც დაკავშირებულია მწვანე ტურისტული სერვისების განვითარებასთან და ექსპერიმენტულ სწავლებასთან. პროექტი ხელს შეუწყობს უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის შეუსაბამობის აღმოფხვრას. თელავის უნივერსიტეტი იქნება მწვანე ტურისტული ჰაბის ერთ-ერთი შემქმნელი, პროექტის სხვა ქართველ და მოლდოველ პარტნიორებთან ერთად.

5. ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ეფექტური მუშაობის შედეგად აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა უკვე დასრულებული პროექტების ევროპელ პარტნიორებთან. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული თანამშრომლობა გაგრძელდა პროექტ VITAGLOBAL-ის პარნტნიორებთან, რომელთაც შემოგვთავაზეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - International wine tourism WINTOUR ასოცირებული წევრობა. პროექტმა ევროკომისიისგან მიიღო 6 წლიანი გრანტი. ეს თელავის უნივერსიტეტისთვის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული წევრობის პირველი შემთხვევაა. პროგრამა 3 უძლიერესი უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება: ესპანეთის როვირა ე ვირჯილის უნივერსიტეტი, საფრანგეთის ბორდოს უნივერსიტეტი და პორტუგალიის პორტოს უნივერსიტეტი.

6. თელავის უნივერსიტეტი 2023 წელს გახდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი პროექტის - Artificial intelligence for Cybersecurity- AI4CyberSec (design measure) წევრი. პროექტის ფარგლებში 15 თვის გამავლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი იმუშავებს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შექმნისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჭიროებათა ანალიზი.

2018 წლიდან 2024 წლამდე ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილი პროექტების სტატისტიკა ასეთია:
2018 წელს დასაფინანსებლად წარდგენილი იყო 12 პროექტი.
2019 წელს დასაფინასებლად წარდგენილი იყო 12 პროექტი.
2020 წელს დასაფინასებლად წარდგენილი იყო 15 პროექტი.
2021 ევროკომისიას არ გამოუცხადებია კონკურსი ერაზმუს + პროექტების დაფინანსებაზე, რადგან ეს წელი იყო ერთი ციკლის დასასრული და ახალი ციკლის დასაწყისი და განკუთვნილი იყო შეცვლილი სტანდატრების შემუშავებისთვის. ამიტომ, 2021 წელს თელავის უნივერიტეტს განაცხადი არ გაუკეთებია ერაზმუს + პროგრამის კონკურსისთვის.
2022 წელს დასაფინანსებლად წარდგენილი იქნა 14 პროექტი.
2023 წელს დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 14 პროექტი.
2024 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით სულ წარდგენილი იქნა 17 საპროექტო განაცხადი.
საბოლოო გადაწყვეტილებები პროექტების დაფინანსების ცნობილი გახდება 2024 წლის აგვისტოში.

გარდა პარტნიორობისა, 2021 წლიდან თელავის უნივერსიტეტის აპლიკანტობით ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილი იყო 1 ერაზმუს + განვითარების პროექტი. 2024 წელს უნივერსიტეტის აპლიკანტობით წარდგენილ იქნა 2 ერაზმუს+ პროექტი.
განვითარების პროექტების (capacity building) მიხედვით 2021 წლის მონაცემების გაანალიზების შედეგად, ერასმუს + ეროვნული ოფისის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში არსებული ერასმუს+ პროექტებში მონაწილე 46 უნივერსიტეტიდან თელავის უნივერსიტეტს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობის მიხედვით, მეოთხე ადგილი უკავია, ხოლო რეგიონული უნივერსიტეტების მასშტაბით ის მეორე ადგილს იკავებს. თუ ამ მონაცემებს 2022 და 2023 წლის დაფინანსებულ პროექტებს დავამატებთ, თელავის უნივერსიტეტი ინარჩუნებს მეოთხე ადგილს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. http://erasmusplus.org.ge/services/statistics
გარდა განვითარების პროექტებისა, რომელსაც ევროკომისია აფინანსებს, თელავის უნივერსიტეტმა ჩეხ კოლეგებთან ერთად, ბრნოს უნივერსიტეტიდან გააკეთა განაცხადი COST action მიმართულებით.

თელავის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ხელშეწყობით, უცხოელი პარტნიორები მოიძებნა CIF-ის პროექტებისთვის. თელავის უნივერსიტეტის აპლიკანტობით 2023 წელს დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 5, ხოლო 2024 წელს - CIF-ის 3 პროექტი.

ავტორიზაციის პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოახდინა ინტერნაციონალიზაციის მიმართულების დივერსიფიკაცია და ევროკომისიის, როგორც ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებლის გარდა, ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა ამერიკული ფონდებიდანაც.

2020 წელს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ხელი მოეწერა თელავის უნივერსიტეტისთვის გრანტის მინიჭების ხელშეკრულებას. 2020 წლიდან დღემდე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებით, უნივერსიტეტმა უზრუნველყო მასწავლებელთა მომზადება პროფესიული განვითარების რეფორმის შესაბამისად, ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა თუ განხორციელების ცვლილებების მხრივ, რაც ორიენტირებულია მოსწავლეთათვის წიგნიერებისა და მათემატიკის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამ აქტივობების განხორციელებამ თავის მხრივ შექმნა ბაზისი ამ მიმართულებით შემდგომი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისა და შედეგიანი ცვლილებებისათვის. პროგრამა ხორციელდება ამ ეტაპზეც.

პროგრამის ფარგლებში გაძლიერდა სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობა, განხორციელდა/ხორციელდება არაერთი აქტივობა, სადაც აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულები იყვნენ და არიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ერთწლიანი 60 კრედიტიანი) სტუდენტები, რომლებმაც სკოლის ბაზაზე დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ერთად განახორციელეს პრაქტიკის კვლევები, ხოლო მოსწავლეთა მონაწილეობით, განახორციელეს და ახორციელებენ არაერთ აქტივობას, რაც მიმართულია მოსწავლეთათვის კვლევითი უნარების, წიგნიერების, გუნდური მუშაობის და რიგი სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

ამავდროულად, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა ყველა აქტივობის განხორციელებაში, რაც დაგეგმილი იყო პროგრამის ფარგლებში და მოიცავდა: დაწყებითი საფეხურის მათემატიკის და ქართულის პედაგოგთა, ასევე, სკოლის დირექტორთა დატრენინგებას, გაკვეთილებზე დასწრება-შეფასებას, უკუკავშირის მიცემას, სამუშაო შეხვედრების ჩატარებას, მათთვის მხარდაჭერას სწავლა-სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვა-განხორციელებაში, რესურსების შექმნასა და მის პოპულარიზაციაში და სხვა.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ის ქმედითი ღონისძიებები და აქტივობები, რაც მიმართული იყო/არის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (და შესაბამისად მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის) მოდერნიზებისკენ. პროგრამის ფარგლებში მოხდა ინტეგრირებული პროგრამის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება არკანსანსის უნივერსიტეტის პროფესორის და საერთაშორისო ექსპერტის მაიკლ მილერის მიერ. შედგა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო შეხვედრები მაიკლ მილერთან, შედეგად განხორციელდა ახალი სასწავლო კურსების, სილაბუსების შექმნა და მოქმედ სასწავლო კურსებში საკითხების ინტეგრირება.

გარდა აღნიშნულისა, საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის გუნდის მიერ ითარგმნა 5 მეთოდურ/პედაგოგიური რესურსი და აღიარებული სამეცნიერო პუბლიკაციები (100 გვერდი), რაც მნიშვნელოვნად წაადგება მასწავლებლის მომზადების პროგრამების განვითარებას.

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით ამავე პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის მუშავდება ახალი სასწავლო კურსი - ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება დაწყებით კლასში.

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე UNICEF-ს მხარდაჭერით თანამედროვე სტანდარტების დონეზე შეიქმნა და აღიჭურვა ,,ბავშვთა უფლებების ცენტრი'', სადაც სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობები ტარდება.

ფაკულტეტზე, ასევე საერთაშორისო პროექტის ფარგლებში გაიხსნა და სრულად აღიჭურვა სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, რომელიც საუნივერსიტეტო საჭიროებებს მოემსახურება.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, ESTA-ს ფინანსური მხარდაჭერით ფაკულტეტის ისტორიაში პირველად შეიქმნა ბუნებისმეტყველების ლაბორატორია და აღიჭურვა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მულტი-მედია საშუალებებითა და ლაბორატორიული ხელსაწყო-იარაღებით.

გარდა ამისა, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით ფაკულტეტზე დაიწყო მასიური სარემონტო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს შენობის სახურავის, ფანჯრებისა და ფასადის მოდერნიზებას.

რაც შეეხება ლიტერატურას, CISI – სა და UNICEF-ის მხარდაჭერით უნი-ს ბიბლიოთეკას გადმოეცა თანამედროვე ავტორების მიერ გამოცებული 100-მდე დასახელების ასობით ბეჭდური წიგნი, რომლებიც ძვირფასი შენაძენია პროგრამისათვის. პერსონალისა და სტუდენტებისათვის ასევე ხელმისაწვდომი გახდა დამატებით ელექტრონული ლიტერატურა, რომელიც აახლებს და სრულყოფილს ხდის კურსების სილაბუსებს.

გარდა ამისა, UNICEF-მა ფაკულტეტს გადასცა ლეპტოპები, პროქტორები, სმარტ-ტელევიზორი, რომელიც მთლიანად სტუდენტებისა და ლექტორების განკარგულებაშია.

უნივერსიტეტი წლიდან წლამდე აუმჯობესებს ურთიერთობებს ამერიკის საელჩოსთან, რის შედეგადაც იზრდება ამერიკელი მკვლევრებისა და მოხალისეების დაინტერესება უნივერსიტეტისადმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022-2023 წლებში უნივერსიტეტში იმყოფებოდა ფულბრაიტის ბენეფიციარი სამანტა კელი, რომელიც ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ატარებდა ლექციებს პარტნიორ პედაგოგებთან ერთად. **2022 წლის ოქტომბერში** იგი იყო- ERASMUS + ფარგლებში სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის ინგლისური ენის საგამოცდო კომისიის წევრი; **2023 წელს კი** პროექტის „წერის უნარების განვითარება მოსწავლეებში“ თანაორგანიზატორი და კოორდინატორი თესაუს პროფესორ მანანა ღარიბაშვილთან ერთად. პროექტის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა სოფელ დუისში (Roddy Scott Foundation).

2024 წელს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული მშვიდობის კორპუსის მოხალისე Jerry Blitefield (დოქტორი ლინგვისტიკის მიმართულებით), რომელიც აგრეთვე არის შემდეგი აქტივობების ინიციატორი უნივერსიტეტში:

- **2023-2024 ს/წ** - ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლექციების ჩატარება პარტნიორ პედაგოგებთან ერთად.
- **2023-2024 ს/წ (გაზაფხულის სემესტრი)** - ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსის ფარგლებში, საუბრის უნარ-ჩვევების განმავითარებელი ლექციის წაყვანა პარტნიორ პედაგოგებთან ერთად;
- **2023 წლის ოქტომბერი** - ERASMUS + ფარგლებში სტდუენტთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის საგამოცდო კომისიის წევრი;
- **2023 წლის 20 დეკემბერი** - კონფერენცია სკოლა და უნივერსიტეტი IV „ვიკვლიოთ და ვისწავლოთ ერთად“; სტუდენტის მოხსენების თანახელმძღვანელი;
- **2024 წლის აპრილი** - ივნისი - პროექტი „კრიტიკული აზროვნების განვითარება მოსწავლეებში“; პროექტის ორგანიზატორები და კოორდინატორები - პროფ. მანანა ღარიბაშვილი; ვალენტინა დორენი და ჯერი ბლაითფილდი (მშვიდობის კორპუსის მოხალისე); პროექტის ჩატარების ადგილი - სოფ. დუისი; Roddy Scott Foundation

- **2024 წლის 14 მარტი** - ინგლისური ენის ოლიმპიადა სკოლის მოსწავლეებისთვის; პროექტის ორგანიზატორები და კოორდინატორები - პროფ. მანანა ღარიბაშვილი და მშვიდობის კორლუსის მოხალისე ჯერი ბლაითფილდი;
- **2024 წლის მაისი** - ინგლისური ენის ოლიმპიადა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტდუენტებისათვის; პროექტის ორგანიზატორები და კოორდინატორები - პროფ. მანანა ღარიბაშვილი და მშვიდობის კორპუსის მოხალისე ჯერი ბლაითფილდი;
- **2023-2024 ს/წ გაზაფხულის სემესტრი** - საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი კურსის პედაგოგი (პარტნიორ პედაგოგთან ერთად);
- **2023-2024 ს/წ** - ინგლსიური ენის სწალების მეთოდიკის მიმართულებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგების შეხვედრების ორგანიზატორი;
- **2023-2024 ს/წ** - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტდუენტებისათვის სასაუბრო კლუბის ორგანიზატორი;

ინგლისური ენის პროგრამის გაძლიერებას ეხმარება Fulbright-ის პროგრამის წარმომადგენელი ვალენტინა დორენი (Valentina Doren) რომელმაც **2023-2024 სასწავლო წელს** ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, კერძოდ: ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლექციების ჩატარება პარტნიორ პედაგოგებთან ერთად; ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსის ფარგლებში, საუბრის უნარ-ჩვევების განმავითარებელი ლექციის წაყვანა პარტნიორ პედაგოგებთან ერთად; ERASMUS + ფარგლებში სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის საგამოცდო ტესტის ავტორობა და ორგანიზატორობა; ERASMUS + ფარგლებში სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის საგამოცდო კომისიის წევრობა; კონფერენცია სკოლა და უნივერსიტეტი IV „ვიკვლიოთ და ვისწავლოთ ერთად"; სტუდენტის მოხსენების თანახელმძღვანელობა; ამერიკის კუთხის ხელშეწყობით, რამდენიმე პროექტის ორგანიზატორობა, რომელიც უზრუნელყოფს თელავის სახლემწიფო უნივერსიტეტსა და კახეთის რეგიონის სკოლის მოსწავლეებს შორის მჭიდრო კოორდინაციას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ცდილობს უცხოელ პროფესორებთან გრძელვადიან ურთიერთობას. 2023- 2024 სასწავლო წელს უნივერსიტეტში მოწვეული დოქტორის სტატუსით თანამშრომლობს ჯონ ნიკერსონ ვენდელი (John Nickerson Wendel). მისი ჩართულობით ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსები ინგლისური ენის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

უნივერსიტეტი ჩართულია UCBP II ფაზის პროექტში (უნივერსიტეტის შესაძლებლობების განვითარების პროგრამა (UCBP), რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს საელჩოს მიერ თბილისში და ადმინისტრირებას ახდენს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები უნივერსიტეტის კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნულ საბჭოსთან (NCURA) პარტნიორობით. მეორე ეტაპის პროგრამის მიზანია კვლევის ადმინისტრირების ხელშეწყობა უნივერსიტეტში, ამერიკული გამოცდილების გაზიარების გზით. პროექტის პირველი ეტაპი 2022 წელს წარმატებით განხორციელდა, თელავის უნივერსიტეტი შერჩეულ იქნა სასწავლო ვიზიტისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა ჯორჯ მეისონოს უნივერსიტეტის ექსპერტი მეწარმეობისა და კვლევების კომერციალიზაციის

მიმართულებით, რომელმაც გამართა შეხვედრები უნივერსიტეტის პროფესორებთან. პროექტის შედეგების მდგრადობის შენარჩუნებისთვის, უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, დააარსა სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი. ამავე პროგრამის მონაწილე შერონ სკანელს (Sheron Scannel) შესთავაზა უნივერსიტეტში ვიზიტი, რომელმაც მიმართა fullbright-ის პროგრამას განაცხადით. უნივერსიტეტი არ წყვეტს ამერიკელ ექსპერტებთან თანამშრომლობას და 2024 წლის აპრილის თვეში იგეგმება მარტი კაჟუბოვსკის (Marty Kaszubovski) განმეორებითი ვიზიტი. პროექტის მონაწილეები არიან NCURA-ს სრულუფლებიანი წევრები და სარგებლობენ ქსელის ყველა არსებული რესურსით.

რადგან ევროკომისია ეროვნული ოფისების საშუალებითაც ახდენს სხვადასხვა მიმართულების პროექტების დაფინანსებას, თელავის უნივერსიტეტმა, თავისი პრიორიტეტული მიმართულებებით, მოიპოვა შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის რუმინეთის ეროვნული ოფისის მიერ დაფინანსებული პროექტები: BSB 908, BSB 831 და კვიპროსის ეროვნული ოფისის მიერ დაფინანსებული პროექტი PACT4SKILL.

პროექტი PACT4SKILL კვიპროსის ეროვნულმა ოფისმა დააფინანსა როგორც თანამშრომლობითი პარტნიორობა (cooperation parrnership). "Tackling the challanges of the European Education Area by building resilient, inclusive and forward-looking training to upskil HED students face the transformations in digital culture with new e-skills, intercultural and enterpreneual competences"/"ევროპული განათლების სივრცის გამოწვევებთან გამკლავება მდგრადი, ინკლუზიური და პერსპექტიული, ციფრული კულტურის, ელექტრონული უნარებით, ინტერკულტურული და სამეწარმეო კომპეტენციებით გაჯერებული მაღალკვალიფიციური ტრენინგების შეთავაზებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის." პროექტი 2023 წლის 31 იანვარს დასრულდა. თელავის უნივერსიტეტის პროფესორებმა გააკეთეს მუზეუმების და ტურიზმის სფეროში არსებული უნარების კვლევა. რადგან პროექტის ერთ-ერთი შედეგი სამუზეუმო სფეროს და ტურიზმთან დაკავშირებული მიმართულებების თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოება იყო, თელავის უნივერსიტეტის მხრიდან შერჩეულ იქნა ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმი და შესაბამისად, პროექტის ყველა რესურსი ერეკლეს მუზეუმის შესახებ თამაშის შექმნისკენ მიემართა. პროექტში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულები იყვნენ სტუდენტებიც. https://ivetagr.org/p4s/?fbclid=IwAR0suSRJw0SZI7br7-ZxaNksmE-xg4ldnS0qAr3l8AQom3eVJwDlY7JlC0

თელავის უნივერსიტეტი შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროექტებში საქართველოდან ერთადერთ პარტნიორად იყო ჩართული. შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი პროექტი ეხებოდა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სექტორების ციფრულ ტრანსფორმაციას. (Jointly preparing the conditions in the agricultural and connected sectors in the BSB area for the digital transformation –Black Sea Basin smart farming (ჭკვიანი მეურნეობა). პროექტის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა ტრანსფორმირებული მოდელი, მომზადდა პირობები ციფრული ტრანსფორმაციის უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ სექტორებში. მან ხელი შეუწყო ციფრულ ტრანსფორმაციას სასოფლო-სამეურნეო და მასთან დაკავშირებული სექტორების მზადყოფნას მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, სოფლის მეურნეობის, საზოგადოების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ინდუსტრიის და მეწარმეების შესაძლებლობების გაუმჯობესებას ტრანსსასაზღვრო სავაჭრო შესაძლებლობების განვითარებისთვის. ასევე, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სექტორების საერთო ტერიტორიული გამოწვევების დაძლევას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ერთიანი პლატფორმა, სადაც განთავსდა პროექტის მონაწილე ქვეყნების მეწარმეების შესახებ ინფორმაცია, სამომავლო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საბერძნეთსა და სომხეთში კახეთის რეგიონის მეწარმეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტი, ინფორმაციის გაცვლისა და სამომავლო პარტნიორობის დამყარების მიზნით.

შავი ზღვის აუზის მეორე პროექტი ეხებოდა იუნესკოს ძეგლების ტურისტული კორიდორის შექმნას, შავი ზღვის აუზის ქვეყნებში („გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება მემკვიდრეობის ძეგლების განახლებისა და ტურიზმის, ასევე შავი ზღვის აუზის იუნესკოს მიერ დასახელებული კულტურული და შემოქმედებითი მრეწველობის ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად"/"Establishing Long-lasting partnerships to upgrade heritage – based offers and create new inversment opportunities in tourism and the cultural and creative industries at UNESCO designated areas in the Black Sea Basin"). პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა იუნესკოს დაცული ძეგლების და მასთან კონტაქტში მყოფი 10 გეოლოკაციის ტურისტული კორიდორი. შეიქმნა ისეთი ტურისტული პროდუქტი, რომელიც ერთნაირად საინტერესოა ყველა ასაკის ტურისტისთვის. დაიბეჭდა სასწავლო ვიზიტების კრებული. საქართველოში იუნესკოს მიერ დაცული ძეგლებიდან შერჩეული იყო მცხეთის ისტორიული ძეგლები და პოლიფონიური სიმღერები. პროექტში ჩართულმა ქართველმა პროფესორებმა შეარჩიეს 10 ქართული ლოკაცია (სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, სამთავროს მონასტერი, შუამთა, ღვთისმშობლის ტაძარი, ერეკლეს მუზეუმი/ისტორიული მუზეუმი, 900 წლის ჭადრის ხე, ერეკლე მეორის ძეგლი, ქართული სუფრის ტრადიციები, სადაც შერწყმული იყო ქვევრის ღვინის დამზადების ტექნოლოგია და პოლიფონიური სიმღერები). აღნიშნულ ლოკაციებზე გადაღებულ იქნა ნახევარ საათიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც წარდგენილი იყო 2023 წლის ბერლინის საერთაშორისო ტურიზმის გამოფენაზე (IT BERLIN). საქართველოს მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა და რამდენიმე კომპანიამ და საერთაშორისო დონის ჟურნალისტმა გამოთქვეს საქართველოში - თელავის უნივერსიტეტში ვიზიტის სურვილი, რათა ადგილზე ენახათ პროექტის ფარგლებში შექმნილი ტურისტული პროდუქტი. მათი ვიზიტი 2023 წლის მაისში შედგა.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური ეფექტურად მუშაობს სტუდენტებისა და პერსონალის ორმხრივი მობილობის მიმართულებითაც. საერთაშორისო მობილობასა და პროექტებში მონაწილე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

2018-2019 სასწავლო წელს თელავის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 22 სტუდენტმა; 2019-2020 სასწავლო წელს - 14-მა სტუდენტმა (მონაწილეთა სიმცირე განაპირობა კოვიდ პანდემიამ); 2020- 2021 საწავლო წელს - ევროპის ქვეყნებში მობილობით გაემგზავრა 16 სტუდენტი. 2021-2022სასწავლო წელს - 23 სტუდენტი, 2022-2023 - 22 სტუდენტი, ხოლო 2023-2024 სასწავლო წელს - 26 სტუდენტი. გარდა მობილობისა, 7 სტუდენტს საშუალება მიეცა გაევლო საწარმოო პრაქტიკა იტალიაში, 2023 წლის ზაფხულში. ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადიებრივ საქმეთა სამსახური ცდილობს, რომ მობილობა იყოს ორმხრივი. სამსახურის ეფექტური მუშაობის შედეგად ვორმსის (გერმანია) უნივერსტეტის სტუდენტებმა გამოთქვეს თელავის უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოსვლის სურვილი. იმის გამო, რომ გერმანელი სტუდენტების თელავის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სწავლის დასრულების შემდეგ მინიჭებული კრედიტების აღიარების პროცესი გამარტივებულიყო, მოხდა უნივერსიტეტებს შორის ხელშკრულების გაფორმება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, მობილობის განხორციელება. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჩამოვიდნენ ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები ევროპიდან და ერთი სემესტრი ისწავლეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისინი თეორიული ლექციების პარალელურად, გადიოდნენ პრაქტიკებს უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში. მათი მობილობა 2021 წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ პარტნიორობას თელავისა და ვორმსის უნივერსიტეტებს შორის საფუძველი ჩაეყარა მრავალი წლის წინ განხორციელებული SuToMa-ს პროექტის ფარგლებში, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სწრაფვას პარტნიორებთან მდგრადი ურთიერთობების შენარჩუნებაში.

2019-2020 წელს 3-თვიანი პრაქტიკის გავლის მიზნით ხორვატი სტუდენტები იმყოფებოდნენ KA 107 პროგრამის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტში.
2020-ის გაზაფხულისთვის თესაუ-ში დაგეგმილი იყო 23 სტუდენტისა და 2 პროფესორის ვიზიტი პაულ ბოკუსას უნივერსიტეტიდან (ლიონი, საფრანგეთი). თესაუ სტუდენტებს სთავაზობდა ღვინის ტურიზმთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებსა და ვიზიტებს უნივერსიტეტის პარტნიორ საწარმოებში. პანდემიის გამო აღნიშნული ვიზიტი შეიცვალა ონლაინ ფორმატის ლექციებით. თელავის უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა ფრანგ სტუდენტებს შესთავაზეს ინტენსიური კურსი "Responsible and ethical management". ფრანგ სტუდენტებს გადაეცათ კურსის დასრულების სერტიფიკატი.
2023 წელს 10 ყაზახი სტუდენტი, ევრაზიის უნივერსიტეტიდან, საზაფხულო პრაქტიკის გასავლელად ჩამოვიდა თელავის უნივერსიტეტში. მათ ჩაუტარდათ ლექციები მენეჯმენტის, მარკეტინგის და ეკონომიკის მიმართულებით.
2023 წლის შემოდგომაზე უკვე 42 სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა/ სტაჟირება ონლაინ. სტაჟირება მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს, გაცნობით ტურებს უნივერსიტეტის პარტნიორ საწარმოებში.
თესაუში გაიზარდა ვიზიტორი სტუდენტების რაოდენობა. 2018-2019 სასწავლო წელს იყო მხოლოდ 2 ვიზიტორი სტუდენტი, 2020 წელს პანდემიის გამო შეჩერდა ვიზიტორი სტუდენტების ჩამოსვლის პროცესი და ამ პროცესმა ონლაინ რეჟიმში გადაინაცვლა, შესაბამისად 2021 წელს ვუმასპინძლეთ 17 ონლაინ ვიზიტორ სტუდენტს, 2022-2023 წელს კი 52 ვიზიტორი სტუდენტი გვყავდა.



ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ სამსახურის ეფექტური მუშაობის შედეგად გაიზარდა ვიზიტორი პროფესორების რაოდენობაც: 2018 წელს თესაუ-ში ვიზიტით იმყოფებოდა 20 უცხოელი პროფესორი; 2019 წელს - 22; 2020-ს პანდემიიდან გამომდინარე, უცხოელი პროფესორების ვიზიტები არ განხორციელებულა; 2021 წელს თესაუს სტუმრობდა 4 პროფესორი; 2022 წელს - 45 პროფესორი; ხოლო 2023 წელს - 57 ვიზიტორი პროფესორი. მათ ჩაატარეს ლექციები კონკრეტული მიმართულების პროგრამებზე. მათი ვიზიტების დროს დაიგეგმა სამომავლო ურთიერთობებიც.



2018-2019 წლებში საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა უცხოურ უნივერსიტეტებში იყო - 27, 2019-2020 წლებში - მხოლოდ 4 ვიზიტი შედგა, პანდემიის გამო. ნაწილი ვიზიტებისა გაუქმდა, ნაწილი კი ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ან სამომავლოდ გადაიდო. 2021-2022 სასწავლო წელს - 18, 2022-2023 წელს - 15, 2023-2024 სასწავლო წელს - 52.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის კომპონენტში ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებელი ფიქსირდება:



უნივერსიტეტი ზრუნავს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე და ინტერნაციონალიზაციის შედეგების თესაუ-ს საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებაზე. ამ მიდგომის შედეგად, გავხდით შემდეგი საერთაშორისო ასოციაციის წევრები:

ENAI (European Network for Academic Integrity) https://www.academicintegrity.eu/wp/pages/members/

NCURA US National Council of University Research Administrators (NCURA) https://btu.edu.ge/inovatsia-metsarmeoba/teq-transpheri/

OBREAL https://obreal.org/members/

AVAKE- https://avake.iliauni.edu.ge/partners/

ENRICHER Global- https://www.enrich-global.eu/members/

თუ შევაჯამებთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ, აღწერილ და დაგეგმილ აქტივობებს, ნათელია, რომ ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ეფექტურობა მნიშვნელოვნად

გაზრდილია. ამას მოწმობს უნივერსიტეტის მზარდი საერთაშორისო პროექტებისა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ორმხრივი მობილობის რაოდენობა.

საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

1. თესაუს საერთაშორისო ცნობადობის უფრო მეტად ამაღლება;
2. საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობების გაფართოება კვლევით პროექტებში მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვისთვის;
3. გაცვლით პროექტებში სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
4. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან პროექტების წარდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის სტრუქტურა;
2. სტრუქტურული ერთეულების დებულებები: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ დებულება;
3. საქმისწარმოების წესი ;
4. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა;
5. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
6. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
7. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი;
8. პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით.

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას;
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა თავსებადია საქართველოში არსებულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს მენემჯმენტის რგოლს, რომელიც კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მუშაობას და მათ თავსებადობას ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებთან.

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს **„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“** ციკლს, რაც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის შემდეგ სქემას:

ა) „დაგეგმე“ – აღნიშნულ ეტაპზე იგეგმება:

- უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება;

- კურიკულუმებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება;
- აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება (მათი სრულყოფისა და ხარისხის ამაღლების მიზნით და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვებისთვის);
- შიდა და გარე შეფასების პროცედურებისთვის მომზადება;

ბ) „განახორციელე“ – აღნიშნულ ეტაპზე ხორციელდება:

- დაგეგმილი შეფასება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;

გ) „შეამოწმე“ – აღნიშნულ ეტაპზე მოწმდება:

- რა მექანიზმი მუშაობს ან არ მუშაობს და შესაბამისად, ხდება მიზეზების დადგენა;

დ) „განავითარე“ – აღნიშნულ ეტაპზე ჯამდება:

- განხორციელების შედეგები;
- განისაზღვრება სუსტი და ძლიერი მხარეები;
- დგინდება მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით მუშავდება სათანადო რეკომენდაციები.

ე) შეფასების მოსამზადებელი ეტაპი – რამდენიმე საფეხურიანია და მოიცავს:

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის მიხედვით;
- შეფასების პროცედურის შემუშავება;
- შეფასების შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება;
- შეფასების შედეგების წარდგენა აკადემიური და/ან წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას;
- პროგრამის განხორციელების შეფასებას;
- სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას;
- პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები; კურსდამთავრებულები) აზრისა და დამოკიდებულებების კვლევას.
- პროგრამების შეფასებისთვის ყოველ სემესტრში დგინდება შესაბამისი საჭიროება

რის ირგვლივაც იგეგმება შესაბამისი კვლევები კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ნაწილში (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა).

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების სისტემა

ა) საგანმანათლებლო პროგრამების და მისი სტრუქტურული ელემენტების – მოდულებისა თუ ცალკეული სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შეფასებისათვის არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემდეგი საშუალებები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისათვის, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების ფორმას და საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურებს;
    - სილაბუსის ფორმა;
    - შეფასებისთვის შემუშავებული კითხვარი.

ბ) პროგრამების შეფასებისას ყურადღება ექცევა პროგრამის დადგენილი სტრუქტურის ერთეულების არსებობასა და ასპექტებს შორის თანხვედრას, ანუ რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები და სხვა.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენება:

- თვითშეფასება – უნივერსიტეტი არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ამზადებს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება);
- კომპეტენციები – დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები შესაბამისი უნდა იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების ანალიზი – პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის/მოწვეული პროფესორების/მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები:
- დამსაქმებელთა გამოკითხვა შემუშავების პროცესში და განხორციელების შეფასება შემდგომ ეტაპზე;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამაში მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;

- პროგრამაში მონაწილე სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი;
- პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო ქულა /GPA;
- სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტების რაოდენობა;
- სწავლების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
- პროგრამის მონაწილე სტუდენტების სპეციალობის და/ან არასპეციალობის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის, ფაკულტეტის საბჭო, კლასტერის ლოგიკის მიხედვით, ადგენს შესაბამის კრიტერიუმებს და ამტკიცებს შესაბამისი დოკუმენტის სახით;
- პროგრამის განვითარებისთვის საჭირო სხვა ინდიკატორები/შედეგების ანალიზი;

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება:

ა) სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის ანალიზის საფუძველზე;

ბ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე;

გ) დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე;

დ) გარე შეფასების საშუალებით (აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესში);

ე) გარე ექსპერტის პერიოდული შეფასების საფუძველზე;

ვ) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება მოიცავს უნივერსიტეტის (სტუდენტები, პერსონალი) საზოგადოების და გარეშე პირების (დამსაქმებლები, არასამთვრობო ორგანიზაციები, ექსპერტები) პირდაპირ და ირიბ ჩართულობის პროცესს. მათი მოსაზრებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით იგეგმება ახალი აქტივობები, რომელსაც კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მონიტორინგს უწევს -აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისია.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ეფექტურობის შემოწმების მიზნით, უნივერსიტეტი დამატებით იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექნიზმს;

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასებაში ჩართულნი არიან განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით (ადგილობრივი/საერთაშორისო) საექსპერტო გამოცდილების მქონე ორგანიზაციები/პირები;

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გულისხმობს:

- უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების, შიდა სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თავსებადობის შემოწმებას ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო და სასწავლო აქტივობების ღირებულების შეფასებას;
- სტუდენტის კანონიერი ინტერესების დაცულობის შეფასებას;
- ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება ხდება სამწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პერიოდის დასრულების შემდეგ, რათა შეფასდეს მიმდინარე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ხარისხი და გავლენა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე და დაიგეგმოს მომდევნო პერიოდისთვის განსაზღვრული აქტივობები.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება წინ უსწრებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესს. აღნიშნული ხელს უწყობს თვითშეფასებამდე არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრის მიზნით დასაგეგმ აქტივობების ეფექტურად განსაზღვრას;

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების შედეგებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებისკენ;

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს ასახული ყველა ის მიგნება, რაც გაუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფას უნივერსიტეტში:

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების შედეგები წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს/აკადემიურ საბჭოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აღნიშნული შედეგები გამოიყენოს უნივერსიტეტის განვითარების მიზნით და შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება ხდება ყოველი პროგრამის ფარგლებში. პერიოდულობას ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო;

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასებაში ჩართულ ორგანიზაციებთან/პირებთან შესასრულებელი სამუშაოს პირობები და ვადები აისახება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში.

გარე შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტის ჩართულობით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე.

1. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა მისაღები რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის კონტიგენტის ზღვრული რაოდენობისა და ყოველწლიური მისაღები ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის სპეციფიკის მიხედვით. პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობების

თანაფარდობების გათვალისწინებით. უნივერსიტეტი კონტიგენტის დაგეგმვის დროს ხელმძღვანელობს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გათვალისწინებით. პროგრამები ხორციელდება შესაბამისი დარგის/მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობით. პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან, დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

ა) სტუდენტი იღებს ხარისხიან განათლებას;
ბ) სტუდენტს აქვს საშუალება შეუფერხებელი კომუნიკაცია დაამყაროს უნივერსიტეტის პერსონალთან და მიიღოს სტუდენტისთვის საჭირო ხარისხიანი მომსახურება;
გ) სალექციო/სასემინარო/პრაქტიკული/ლაბორატორიული/სასესიო/შემოქმედებითი პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად კომფორტულ გარემოში, ცხრილები შედგენილია გამართულად, პერსონალს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის შესაძლებლობა აქვს;
დ) ფორსმაჟორულ სიტუაციაში უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხო ევაკუაციას შესაბამისი საევაკუაციო სამოქმედო გეგმით.

2. სტუდენტთა სერვისებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია აუდიტორიები, სასადილო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ღია მოედანი, შემოქმედებითი წრეები, სპორტული წრეები, დამხმარე ფართები და სხვა.
3. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს:
   ა) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს/ბაზებს (უძრავი და მოძრავი ქონება, საბიბლიოთეკო რესურსი);
   ბ) ადამიანურ რესურსს (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული, დამხმარე პერსონალს და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირებს);
   გ) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას;

განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტში გატარებულმა პოლიტიკამ პოზიტიური შედეგი გამოიღო. ამაზე მეტყველებს სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები. მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში ითამაშა ახალი ელექტრონული პროგრამების დანერგვამ (Moodle, ea.tesau.edu.ge; tunels.tesau.edu.ge და testing.tesau.edu.ge და სხვა), რამაც განაპირობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის ზრდა და საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა დამუშავების მაღალი ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები;
2. გამოკითხვები და მათი შედეგები;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
4. პროგრამის შეფასების ფორმები;
5. პერსონალის შეფასების ფორმები;
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები;
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

აღწერა და შეფასება

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის შემუშავებულია და მოქმედებს ეთიკის კოდექსი. დოკუმენტი შექმნილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ადგენს უნივერსიტეტის ეთიკის პრინციპებსა და სტანდარტებს, უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, იცავს რწმენის, გამოხატვის, დისკუსიისა და კვლევების თავისუფლებას, პერსონალს და სტუდენტებს აწვდის იმ სახელმძღვანელო პრონციპებს, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკის სტანდარტების შესაბამისად.

უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს შესაბამისი რეაგირების პროცედურებს, ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში. უნივერსიტეტის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტი. საჩივარი პარალელურად გადაეცემა ადრესატსაც.

ეთიკის კომიტეტის შემადგენლობაში შედის ყოველი ფაკულტეტის წარმომადგენელი (2 აკადემიური პერსონალი და 1 სტუდენტი). ეთიკის კომიტეტი საქმის განხილვიდან 20 კალენდარული დღის ვადაში შეიმუშავებს წერილობით დასკვნას ეთიკის ნორმების დარღვევის ან ფაქტის არარსებობის შესახებ და წერილობით აცნობებს მხარეებს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში პერსონალისა და სტუდენტებისათვის მოქმედებს შესაბამისი სანქციები.

ავტორიზაციის ექსპერთა რჩევების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა გადაამუშავა ეთიკის კოდექსი, რის შედეგადაც ფაკულტეტზე ეთიკის კომიტეტის წევრთა არჩევა ხდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე, 4 წლის ვადით; ასევე, ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის წევრები ირჩევენ 4 წლის ვადით; პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან გაეცნონ დოკუმენტს, რომლებიც ეგზავნებათ უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტებზე.

ეთიკის კოდექსის შესახებ ცნობიერების გაზრდის თვალსაზრისით, მუდმივად ტარდება შეხვედრები და ტრენინგები სტუდენტებისა და პესონალისათვის, რომლსაც კოორდინირებას უწევს ეთიკის კომიტეტი.

კოდექსი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საავტორიზაციო პერიოდში უნივერსიტეტმა გადაამუშავა ასევე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესი. შემუშავდა კვლევის ეთიკის კოდექსი (საერთაშორისო პროექტის „ETHICS“ ფარგლებში), რომელიც აამაღლებს კეთილსინდისიერების სტანდარტს უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევების მიმართულებით.

პლაგიატის თავიდან ასაცილებლად და კეთილსინდისიერი კვლევითი მუშაობის განსახორციელებლად უნივერსიტეტი ჩართულია აღნიშნული მიმართულების საერთაშორისო პროექტებში და მუდმივად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს და ტრენინგებს პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ასევე, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ტურნიტინის ცენტრალურ ოფისთან ლიცენზიების შესყიდვის კუთხით, რითაც უზრუნველყოფს პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის მექანიზმების ეფექტურობას.

უნივერსიტეტმა პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირებისას დააწესა უფრო მაღალი სტანდარტი. კერძოდ, პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაცვლად გაფრთხილებისა, პირს მიეცემა საყვედური.

პლაგიატის გამოვლენის მიზნით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში სტატიის გამოსაქვეყნებლად სავალდებულოა ნაშრომის ელექტრონული შემოწმება პლაგიატზე. ნაშრომი იტვირთება TURNITIN-ის ელექტრონულ პლატფორმაზე და მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი მოწმდება დარგის სპეციალისტის მიერ. პლაგიატის აღმოჩენისას, დარგის სპეციალისტი საკითხს განსახილველად გადასცემს პლაგიატის შემსწავლელ კომისიას. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, პლაგიატის შემსწავლელი კომისია უბრუნებს ნაშრომს დაინტერესებულ პირს, შესაბამისი დასკვნით, და მიმართავს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს სათანადო დისციპლინური სანქციის გამოსაყენებლად.

ნაშრომში პლაგიატის დადგენის შემთხვევაში პერსონალისთვის მოქმედებს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობა:

ა) საყვედური;

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტა.

ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი განიხილება გარემოებების შესწავლის საფუძველზე და გადაწყდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

TURNITIN-ის ელექტრონულ პროგრამაში მოწმდება ასევე სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები შუალედური და ფინალური შეფასებისას; აგრეთვე, სასწავლო კურსების გარკვეული ტიპის წერითი დავალებები.

პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტის ნაშრომი არ შეფასდება და უბრუნდება მას შესწორებისათვის. სტუდენტის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში, საქმეს გადაეცემა პლაგიატის შემსწავლელ კომისიას. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში კი სტუდენტს ეკისრება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობა:

ა) საყვედური;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

გ) ბაკალავრის/მაგისტრის/ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ჩამორთმევა. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ჩამორთმევის საკითხი დღის წესრიგში დადგება იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატი გამოვლინდა აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდგომ.

უნივერსიტეტის თანამშრომლები ეთიკის კოდექსაა და პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და

რეაგირების წესს ეცნობიან უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას.
ადმინისტრაცია, ეთიკის კოდექსს და პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესს მუდმივად აწვდის პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესი, ასევე, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასთვის.

პირველკურსელები აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტებს ეცნობიან უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებისას, რომლებიც ჩარიცხვისთანავე ეგზავნებათ ელექრონულ ფოსტებზე. გარდა ამისა, მუდმივად ხდება სტუდენტთა და თანამშრომელთა ინფორმირება ეთიკის ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების შესახებ. ტარდება თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვაც, თუ რამდენად კარგად იცნობენ ისინი ეთიკის კოდექსაა და პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესს.

აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების ასამაღლებლად უნივერსიტეტმა შექმნა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი, რომლის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისათვის საჭირო საქმიანობის განხორციელება; უნივერსიტეტის მკვლევარებისა და სტუდენტთა კვლევის პასუხისმგებლობიანად ჩატარებისა და აკადემიური წერის უნარებით აღჭურვის ხელშეწყობა.
აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების თვალსაზრისით, ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა და მკვლევარებისათვის ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და კვლევის სანდოობისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვას, საჭირო ინსტრუქციების, სასწავლო და დამხმარე მასალების მომზადებას და სხვ.
აკადემიური თავისუფლება, როგორც ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულება, დეკლარირებულია უნივერსიტეტის წესდებაში, ფაკულტეტების დებულებებში და თესაუს სტრატეგიული განვითარების გეგმაში. ფაკულტეტის დებულების ჩამოყალიბებაში, ფაკულტეტის საბჭოს საშუალებით, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები მონაწილეობენ.
ფაკულტეტების დებულებები თესაუს ვებ-გვერდზე, ხოლო უნივერსიტეტის წესდება, როგორც ვებ-გვერდზე, ასევე საკანონმდებლო მაცნეშია გამოქვეყნებული.

საავტორიზაციო პერიოდში უნივერსიტეტში იგეგმება:

- მაღალი ეთიკური ნორმების დაცვით გამორჩეული თანამშრომლების და სტუდენტების გამოვლენის მექანიზმების დანერგვა და მათი წახალისება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ეთიკის კოდექსი ;
2. პლაგიატის, პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესი;
3. აკადემიური კეთლსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის დებულება;
4. ეთიკის კოდექსის ცოდნის შეფასების გამოკითხვის შედეგები;

5. ხელშეკრულება TURNITIN - ის პროგრამის მომსახურების შესახებ.
6. შინაგანაწესი

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

1. ორგანიზებული სტრუქტურა;
2. მართვის ორგანოების არჩევის გამჭვირვალე წესი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მექანიზმები;
4. ეთიკის კოდექსი;
7. პლაგიატის, პრევენციის გამოვლენისა და რეაგირების წესი;
5. TURNITIN-ის ელექტრონული პლატფორმის დანერგვა, პლაგიატთან ბრძოლისათვის;
6. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის შექმნა;
7. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის კოდექსის ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრების ჩატარება.
8. პროექტებისა და საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა.

გასაუმჯობესებელი მხარეები

1. თვითშეფასების კულტურა;
2. ეთიკის ნორმების დარღვევაზე რეაგირების ფაქტების რაოდენობა;
3. ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულისათვის გამოყენებულია მიდგომა: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.

პროგრამის შემუშავების დაგეგმვა ხდება შესაბამის დეპარტამენტში. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას ამყარებს სხვადასხვა ფაქტორები: ცვალებად შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები, უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნების მიღწევა და სხვა სასწავლო/კვლევით გარემოში არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობა.

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის შემუშავებამდე, ატარებს ბაზრის კვლევას. კვლევაში მონაწილეობას იღებენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაცია, პოტენციური დამსაქმებლები, პოტენციური აბიტურიენტები, სტუდენტები / კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა სამიზნე ჯგუფები. კვლევის შედეგებს წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში და ამის შემდეგ, დეპარტამენტი განიხილავს პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას ადამიანური და მატერიალური რესურსის მიხედვით. პროგრამის განხორციელების შესახებ დადებითი შეფასების შემთხვევაში დეპარტამენტის ინიციატივით, პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც თავის მხრივ, დაადგენს პროგრამის განხორციელების საჭიროებისა და შესაძლებლობის საკითხების შესაბამისობას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამა რეკომენდაციებისთვის/შეფასებისთვის განიხილება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, ხოლო შემდგომ, პროგრამა გადაეცემა აკადემიურ საბჭოს. საბჭო შესაბამისი პროცედურების დაცვით ამტკიცებს მას. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამა აკრედიტაციის პროცედურებისთვის წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში პროგრამა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის მუდმივად განვითარებას, განახლებას შემდეგი ფაქტორების გათვალსწინებით:

- ახალი ლიტერატურით და საგანმანათლებლო/კვლევითი რესურსით გამდიდრება;
- კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა / არსებული პერსონალის კვალიფიკაციის განვითარება;
- ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება;
- ადგილობრივი და საერთშორისო პრაქტიკის გაზიარება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- სწავლა-სწავლებისა და კვლევითი კომპონენტების პერმანენტული დახვეწა/სრულყოფა პროგრამის საჭიროებების და/ან ცვალებადი საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.
- შიდა და გარე შეფასება: სტუდენტების, პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების შედეგების, გარე ექსპერტისა და უცხოელი კონსულტანტების რეკომენდაციების ასახვა პროგრამებში;
  უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაცია ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების და განვითარების მხარდაჭერას.

პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების ზემოთ აღწერილი პროცედურები მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული რეგულაციით (აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ ინსტრუქცია).

პროგრამის განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები:

ა) შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნების მიღწევა და სხვა კვლევით/სასწავლო გარემოში არსებული გამოწვევების გადალახვა;

გ) პროგრამის ხელმძღვანელი, სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე, პროგრამის თვითშეფასების მიზნით, ატარებს კვლევას. კვლევაში მონაწილეობას იღებენ განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაცია, პოტენციური დამსაქმებლები, პოტენციური აბიტურიენტები, სტუდენტები / კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა საჭირო სამიზნე ჯგუფები.

დ) კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი დეპარტამენტი ხელს უწყობს პროგრამის შემუშავებას ადამიანური და მატერიალური რესურსის გამოყოფით. დეპარტამენტის ინიციატივით, პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, განიხილავს პროგრამის განხორციელების საჭიროებისა და შესაძლებლობის საკითხს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამა რეკომენდაციებისთვის/შეფასებისთვის განიხილება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, პროგრამა განიხილება აკადემიურ საბჭოზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ამტკიცებს მას. აკადემიური საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, პროგრამა წარედგინება აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცედურებისთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ე) აკრედიტაციის მიღების შემდეგ პროგრამა ხორციელდება კანონმდებლობის თანახმად. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს მის მუდმივად განვითარებას: ახალი ლიტერატურით და საგანმანათლებლო/კვლევითი რესურსით გამდიდრებას, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას / არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

ვ) ადმინისტრაცია ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების და განვითარების მხარდაჭერას.

პროგრამის განხორციელების პროცესში პერმანენტულად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით ტარდება პროგრამის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რასაც მოსდევს შედეგების საერთო ანალიზი და შესაძლო დასკვნები/რეკომენდაციები პროგრამების და/ან ცალკეული კურსების განვითარებისათვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის შეფასება მრავალი კომპონენტის მიხედვით. ყოველი წლის ბოლოს ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. მუდმივად ხორციელდება ბაზრის მოთხოვნათა კვლევა, დამსაქმებლებთან შეხვედრებისა და უკუკავშირის ყურადღებით შესწავლა და პროგრამებში შესაძლო ასახვა. უნივერსიტეტს აქვს მუდმივი და განახლებადი კავშირები და კონსულტაციები პროფესიულ ორგანიზაციებთან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თესაუ ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას, არსებულის განვითარებას/მოდიფიცირებას; საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაზიარებით ახდენს პროგრამებში სხვადასხვა კომპონენტების სრულყოფას.

პროგრამების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი პროცედურების დაცვით:

- ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილება;
- აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, არფუნქციონირების, ან გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება იღებს ვალდებულებას პროგრამაზე დარჩენილი სტუდენტები უზრუნველყოს შემდგომი განათლებით. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი არ იქნება საგანმანათლებლო პროგრამის ალტერნატიული პროგრამის შეთავაზება უნივერსიტეტის ბაზაზე, სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის აუცილებელი კრედიტების ასათვისებლად ეძლევა შესაძლებლობა, სწავლა გააგრძელოს საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ხორციელდება ალტერნატიული პროგრამა მობილობის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები;
- შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებლი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღწერა და შეფასება

თესაუ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS – კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით, რის საფუძველზეც თესაუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები დაფუძნებულია გამჭვირვალე სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ზოგადი, ე.წ. ტრანსფერული უნარების შეძენაზე.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს;

თესაუ ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე თითოეული კურიკულუმი არის სასწავლო კურსების/მოდულებისგან შემდგარი დოკუმენტი.

თითოეული პროგრამა მოიცავს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას; მასში კრედიტები გადანაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული კომპონენტის მიხედვით და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისათვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს, გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას (1 კრედიტი (ECTS) 25 საათია).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა და მონაცვლეობა - სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსი, მოდული, კონცენტრაცია, პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები) სრულად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას და ნათლადაა ჩამოყალიბებული; წარმოდგენილია შესაბამის სილაბუსებში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. ასევე, შესაბამის დებულებებში (სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებასა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში); ხოლო პროგრამაში გაწერილია სწავლის შედეგების რუკის სახით.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში აღწერილ უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

თესაუ-ში ხორციელდება აგრეთვე რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა სწავლის შედეგები ეყრდნობა სამართლის და მასწავლებლის მომზადების დარგობრივ მახასიათებლებს.

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომლებიც გარკვეული ლოგიკითაა შერჩეული და სემესტრების მიხედვით განაწილებული.
უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები შემუშავებულია შედეგზე ორიენტირებული ლოგიკური თანმიმდევრობით, ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს და შესაბამის კანონმდებლობას.

თითოეულ პროგრამას თან ერთვის კურსისათვის (აქტივობისათვის) დაშვების წინაპირობების ე.წ. პრერეკვიზიტების ცხრილი, სადაც ჩანს, თითოეული სალექციო კურსის, ან აქტივობის დაწყებამდე რა კრედიტები, ან სავალდებულო აქტივობა უნდა იყოს შესრულებული; ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და მოცულობა მორგებულია საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობაზე.

თესაუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია თავისუფალი არჩევითი კურსები (რომელთა კრედიტების რაოდენობა რეგულირდება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქციით) და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები, რომელთა კრედიტების რაოდენობა ინდივიდუალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამებში; თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე)

თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. აღნიშნული სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტს შეუძლია თავისი ინდივიდუალური და ინტელექტუალური გემოვნების დასაკმაყოფილებლად, პროფესიული და ზოგადტრანსფერული კომპეტენციების გასაძლიერებლად, კურიკულუმებისა და/ან სემესტრების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების (სასწავლო, კვლევითი, პრაქტიკა) მოცულობები განსაზღვრულია მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით:

1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ანუ საბაკალავრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტით და შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

- სახელმწიფოს მიერ არარეგულირებადი პროფესიებისათვის:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;
ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;
გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

- სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი პროფესიებისათვის:

საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიებისთვის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს/მოდულებს.

თავისუფალი კომპონენტები შეიძლება ჩაიშალოს თავისუფალი სავალდებულო (35 კრედიტი ეთმობა: აკადემიური წერა - 5 კრედიტი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი, შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში - 5 კრედიტი, უცხო ენა - 20 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი არაუმეტეს 25 კრედიტისა.

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, სადაც სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, რომელიც სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო პროგრამისთვის, არანაკლებ 30 კრედიტია, ხოლო სასწავლო კომპონენტი - არაუმეტეს 90 კრედიტი.
სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შინაარსი დაგეგმილი და განსაზღვრულია სწავლის შედეგების, სწავლის საფეხურისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. აქ ძირითადად მოიაზრება სამაგისტრო და სადოქტორო კვლევები.
სამაგისტრო დონეზე კვლევის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამის კურიკულუმებში და შესაბამის სილაბუსებში, სადაც დადგენილია კვლევის მოცულობა, შინაარსი, კვლევის სავარაუდო თემატიკა, შეფასების წესი და სისტემა.
გარდა ამისა, სამაგისტრო კვლევების ჩატარების და წარდგენის/გაფორმების ფორმატი რეგულირდება უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ“ დებულებით.
სადოქტორო დონეზე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის აღწერილობა, მოცულობა, შინაარსი, კვლევის სავარაუდო თემატიკა, შეფასების წესი და სისტემა მოცემულია შესაბამის კურიკულუმებში. სადოქტორო კვლევების ჩატარება რეგულირდება ასევე სადისერტაციო საბჭოს დებულებების შესაბამისად.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რომელიც ასევე ასახულია პროგრამის კურიკულუმში. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება; ვერბალური თუ წერითი მეთოდები, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზი და სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა, რომელიც მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შესაბამისად, პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მუშაობას; გ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; დ) სასწავლო–პრაქტიკულ ნაშრომზე მუშაობას; ე) რეფერატების მომზადება-პრეზენტაციას; ვ) სასწავლო-პრაქტიკული ნაშრომის დაცვას; ზ) საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობას და სხვა.
საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას თესაუ-ს საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამის კატალოგი ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია თესუ-ს ვებგვერდზე. ასევე პერიოდულად ტარდება პიარ-კამპანია საჯარო სკოლებში, ვრცელდება საინფორმაციო ბუკლეტები, ტარდება ღია კარის დღეები. პროგრამების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ასევე ფაკულტეტების შესაბამის დეკანატებსა და დეპარტამენტებში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით თესაუ უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას. ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

თესაუ-ს კურიკულუმები სწავლების ყველა საფეხურზე ისეა შედგენილი, რომ მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტის განსხვავებულ მოთხოვნებს, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და აკადემიურ მომზადებას. ყველა კურიკულუმს გააჩნია სავალდებულო კურსებთან ერთად ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი და საუნივერსიტეტო თავისუფალი არჩევითი კურსები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, გაიძლიერონ ცოდნა სპეციალობაში და/ან დაიკმაყოფილონ ინტელექტურალური გემოვნება და მოთხოვნილება. შესაბამისად, ყველა სტუდენტისათვის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კურიკულუმები განსხვავებულია და მათ ინტერესებზეა მორგებული.

გარდა ამისა, მობილობის (შიდა და გარე), სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კომისია შეიმუშავებს დასკვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს თესაუ-ს რექტორს. პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს კრედიტების შესაბამისობას, აჯამებს კრედიტების რაოდენობას და გაწერს ინდივიდუალურ სასწავლო გრაფიკს.

დასკვნა-შუამდგომლობაში მკაფიოდაა ასახული, რომელი სასწავლო კურსები ჩაეთვალა სტუდენტს ათვისებულად მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით (შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების მითითებით) და რომელი სემესტრიდან შეიძლება დაიშვას ის სწავლის გასაგრძელებლად. დასკვნაში ეთითება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობა, პროგრამის დასრულებისათვის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დგება სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური გრაფიკი.

თესაუ-ს გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს შშმ და სსსმ სტუდენტების შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო, კვლევით და სოციალურ პროცესებში. უნივერსიტეტში, კერძოდ, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მუშაობს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია შესაბამისი დახმარება გაუწიოს, ან სწორად გადაამისამართოს სსსმ პირი. ასევე, აკადემიური პერსონალის დიდმა ნაწილმა გაიარა საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას ადგილზე გაუწიონ დახმარება ასეთ სტუდენტებს. იგეგმება ბიბლიოთეკის კომპიუტერული ცენტრის აღჭურვა შესაბამისი პროგრამებით (ხმოვანი პროგრამები, ლიტერატურა ბრაილის შრიფტით და ა. შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, რომელიც ასახულია სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის სილაბუსებში და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში;

- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია;
- აკადემიური კალენდარი;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (http://tesau.edu.ge/saganmanatleblo-programebis-katalogi).

3.3. სწავლის შედეგების შეფასება

- უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმები და კომპონენტებია: შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები და შეფასების კომპონენტები - ზეპირი, წერითი გამოკითხვა (ტესტი, კაზუსი, ქეისი, ღია და დახურული კითხვები, ესსე და ა.შ), ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შუალედური, დასკვნითი გამოცდა.

სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. შეფასების კომპონენტები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და მიმართულია იმავე სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევადობაზე. მაგალითად: პრეზენტაციის კომპონენტის ფარგლებში ფასდება საკითხის ცოდნა, კრიტიკული ანალიზის უნარი, ინტერაქციულობა და ვიზუალიზაციის ხერხების გამოყენების უნარი; რეფერატის კომპონენტით მოწმდება მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის ცოდნა და მისი გადმოცემის/ანალიზის უნარი; ტესტის კომპონენტით ფასდება კონკრეტული საკითხების ცოდნა; გამოცდის კომპონენტით ფასდება საკითხის ცოდნა, ინფორმაციის გაცნობიერებისა და გააზრების ხარისხი და სხვა.

პროგრამებში გამოყენებულია შეფასების ის ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდოლოგია, რაც უნივერსიტეტში დღემდე აპრობირებულია. ამასთანავე, შიდა რეგულაციები სრულყოფას განიცდის. ის გარკვეულ რედაქტირებას ექვემდებარება ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისას და ქვეყნდება თესაუ-ს ვებ-გვერდზე. შიდა რეგულაციები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სემესტრის დასაწყისში გაეცნოს სილაბუსების ბეჭდურ და/ან ელექტრონულ ვერსიებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. განათლების მართვის ელექტრონული სისტემის (https://tunels.tesau.edu.ge/) მეშვეობით სემესტრის განმავლობაში სტუდენტს საშუალება აქვს, თვალი ადევნოს საკუთარ შეფასებებს, იქონიოს მუდვივი კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. თესაუ-ში არსებული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა (https://ea.tesau.edu.ge/) ლექტორებსაც ეფექტური უკუკავშირის საშუალებას აძლევს. ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ სტუდენტის მომზადების დონესთან დაკავშირებით ანალიზი გააკეთონ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა რეგულირდება, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა (№3, 05.01.2007) და უნივერსიტეტის შესაბამისი დებულების (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის) მიხედვით.

თესაუ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისას ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS – კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით. სტუდენტის სასწავლო კომპონენტი ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებით. ყველა სილაბუსში შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც არ აღემატება შესაბამისი შეფასების ფორმით განსაზღვრული ქულის 60%-ს.

შეფასების მეთოდები და ფორმები არის ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან ისე, რომ ისინი უზრუნველყოფენ პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია და განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ლექტორის მიერ ჩამოყალიბებული სტუდენტის შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტი განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, აძლევს სტუდენტს ინფორმაციას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. კერძოდ, შეფასების თითოეული კრიტერიუმი მოიაზრებს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას: რას დაეუფლა, რას ფლობს ნაკლებ დონეზე და/ან რა კომპეტენციების დემონსტრირებას ვერ ახდენს ჯერ.

გარდა ამისა, შეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა ურთიერთ და თვითშეფასებები, რომელიც პირდაპირი (მაგრამ არა ერთადერთი) სტრატეგიული ინსტრუმენტია სტუდენტებისათვის ზოგადი (ტრანსფერული) უნარების განსავითარებლად (კომუნიკაციის, ეთიკური, სწავლის საჭიროებების განსაზღვრის, აზრის წარდგენისა და გაზიარების, ლიდერული, ჯგუფში ეფექტური მუშაობის უნარები).

ლექტორის მიერ სტუდენტთათვის შეთავაზებული შეფასების ეს ფორმატი, სტუდენტის პროფესიული ზრდის ეტაპების დაფიქსირებას, პროგრესის (ან რეგრესის) დინამიურობის დადგენას უწყობს ხელს. ეს კი სწავლა-სწავლების ხარისხის ერთგვარი გაუმჯობესების ხელშემწყობი პირობაა.

შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და მთლიანად სტუდენტების ინტერესებზეა მორგებული. აქ მონაცვლეობით გვხვდება წერითი და ვერბალური კომუნიკაციები, შეფასების ჯგუფური და ინდივიდუალური ფორმები, ურთიერთ და თვითშეფასებები, რომლებიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, სრულად წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა და დარგობრივი კომპეტენციები.

სტუდენტებს აქვთ იმის საშუალებაც, რომ მიღებული ქულა გააპროტესტონ და ხელმეორედ გადაამოწმონ /შეცვალონ თავიანთი შედეგი.

სტუდენტი სრულადაა ინფორმირებული უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ;

ის ინფორმაციას ნახულობს უნივერსიტეტის განათლების მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის დებულებაში, საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში, სილაბუსებში. ზეპირსიტყვიერად დეკანატში, ლექტორთან აუდიტორიულ თუ საკონსულტაციო შეხვედრებზე.

თესაუ-ში არსებობს სტუდენტის შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა, რომელიც რეგულირდება გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კერძოდ, **თესაუ-ს სტუდენტს უფლება აქვს:** მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი. (სხვა კომპონენტის შედეგის გასაჩივრება ხდება ფაკულტეტზე. შესაბამისი საკითხის გადაჭრის მიზნით ფაკულტეტის დეკანი ქმნის კომისიას. კომისიის მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილებები); უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების, გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესების მიხედვით სტუდენტს უფლება აქვს: 1. შედეგის გამოქვეყნებიდან დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი)დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (შესაძლებელია ელექტრონული ბაზის საშუალებითაც) და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე. ანალოგიური პროცედურა განხორციელდება შეფასების სხვა კომპონენტებზე. 2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური განცხადების ან/და საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს: ა) სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობას; ბ) ფაკულტეტის უფლებამოსილ თანამშრომელთან იმ სტუდენტთა ნაშრომების გადაგზავნას, რომელებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვას. 3.ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია ერთი სამუშაო დღის განმავლობაში განმარტებისათვის/გასასწორებლად გადასცეს ისინი ლექტორს/ სააპელაციო კომისიას, რომელიც თავის მხრივ 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს აპელაციის დასკვნის მიწოდებას ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის. 4. ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომელი ერთ სამუშაო დღეში ნაშრომის ასლს უბრუნებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. 5. პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი აპელაციის დასკვნასთან ერთად უბრუნდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რომელიც შედეგს აფიქსირებს საგამოცდო უწყისში.ლექტორინ ქუკას აფიქსირებს ელექტრინულ ბაზაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები; • უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები • უნივერსიტეტში არსებული პროგრამის შემუშავებისა და განვითარების უწყვეტი ციკლის: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - არსებობა; • პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა;

• სტუდენტის, დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე ორიენტირებული კურიკულუმები; • კურიკულუმებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ობიექტური, გამჭვირვალე, სამართლიანი და სტუდენტის განვითარებაზე მორგებული მეთოდოლოგია.
გასაუმჯობესებელი მხარეები • **სსსმ და შშმ პირებისთვის** ადაპტირებული სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; • საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტის გაზრდა; • დამსაქმებელთან კავშირების გაძლიერება.

4. უსდ- პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე

4.1. პერსონალის მართვა
• უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას; • უსდ უზრუნველყოფს აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
აღწერა და შეფასება უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. მართვის პოლიტიკას ადამიანური რესურსი შესაბამისობაში მოჰყავს უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მიმართულია უნივერსიტეტის სტრატეგიის, ფუნქციონალური მიზნების მიღწევის ხელშეწყობისაკენ. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა და გამჭვირვალობა. პერსონალის მართვის პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: შრომითი რესურსების დაგეგმვა, რეკრუტირება/მოზიდვა/ შერჩევა, პერსონალის განვითარება (ხელფასისა და შეღავათების განსაზღვრა; ადაპტაცია; სწავლება), შრომითი საქმიანობის შეფასება და შედეგების მიხედვით შესაბისი რეაგირება (დაწინაურება, გათავისუფლება და ა.შ). უნივესიტეტში აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ შესაბამისად, კონკურსის საფუძველზე. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსის დამატებითი პირობები, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მოთხოვნებისა, დგინდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე განხილვების გზით. კონკურსის დამატებით პირობებს საბოლოოდ განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგნლობითი საბჭო. კონკურსის ჩატარებამდე, კანონით განსაზღვრული ვადის მიხედვით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და მედია საშუალებებში ქვეყნდება განცხადება კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განთავსდება უნივერსიტეტის

საინფორმაციო დაფაზე. აკადემიური თანამდებობის გათვალისწინებით, დიფერენცირებულია კონკურსანტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და პირობები. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კონკურსანტებისათვის გათვალისწინებულია კონკურსის შედეგების გასაჩივრების უფლება. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი დარგის/საგნის დოქტორები და მასწავლებლები. აღნიშნული პირების მოწვევის პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის დეპარტამენტი, რომელთა მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ფორმდება რექტორის ბრძანება, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პირის მოწვევის შესახებ.

დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების წესი და მოთხოვნები განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი დებულებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ “. უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების, კანდიდატებისა და უნივერსიტეტის ინტერესების, კონკურსის საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. უნივერსიტეტის პერსონალის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით. განცხადება კონკურსის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე. საკონკურსო კომისიას ქმნის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით. საკონკურსო კომისია ამოწმებს კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან. პერსონალის სამსახურში მიღებისას დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელსაც განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. კონკურსის დასრულების შემდეგ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. პერსონალის სამსახურში მიღება შესაძლებელია კონკურსის გარეშე, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ან შტატგარეშედ გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად.

აკადემიური პერსონალი განსაზღვრავს თავის აფილირებას უნივერსიტეტთან, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი. უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში უნივერსიტეტის სახელით და დაკავებულია სხვადასხვა აქტივობით. უნივერსიტეტი საათების განაწილებისას უპირატესობას ანიჭებს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს. აგრეთვე, აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადაში, საათების სიმცირის ან არარსებობის შემთხვევაში, ვადაზე ადრე შრომითი ხელშეკრულება შეუწყდება არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს. აფილირებული პერსონალის მიმართ, უნივერსიტეტის მხრიდან, დამატებით შესაძლებელია წახალისება.

აკადემიური პერსონალისათვის უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობა, რაც გამოიხატება ფაკულტეტის საბჭოს წევრობით, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში მათი არჩევით, უნივერსიტეტში კოლეგიური ორგანოების სხდომებზე დასწრების და სათათბირო ხმის უფლების გამოყენებით.
უნივერსიტეტი ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, პერიოდულად ტარდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ღონისძიებები. უნივერსიტეტში ტარდება გამოკითხვები საჭიროებების დასადგენად, რომლის მიხედვითაც იგეგმება კონკრეტული

ტრენინგები სამიზნე ჯგუფების მიხედვით. ასევე, იგეგმება უწყვეტი განათლების სხვადასხვა ტრენინგ პროგრამის შემუშავება და შეთავაზება.

უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის საშტატო ნუსხა და თითოეულ თანამდებობაზე განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების ოდენობა. ანაზღაურება დიფერენცირებულია სამსახურებრივი პოზიციისა და შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. პერსონალის წახალისების ფორმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და პერსონალის შეფასების წესში. სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია); თანამდებობრივი სარგოს ან თანრიგის ამაღლება; დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა.
ο უნივერსიტეტი ზრუნავს ახალი თანამშრომლების ადაპტაციაზე - სამუშაო გარემოში ინტეგრაციასა და სამუშაო პროცესებში ჩართვაზე. სამსახურში მიღებულ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება, გამოსაცდელი ვადით. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეხმარება ახალ თანამშრომელს სტრუქტულ ერთეულებთან ადაპტაციაში, რომლებთანაც მას ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა ექნება. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს წარუდგენს ჯგუფს, საჭიროების შემთხვევაში მიამაგრებს მას გამოცდილ თანამშრომელს, რომელიც გააცნობს მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტებს, დაეხმარება სამუშაო პროცესის ორგანიზებაში და სხვა.

ο უნივერსიტეტში პერსონალის პირადი მონაცემები მუშავდება ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის რეესტრის ადმინისტრატორის მიერ. პერსონალის შესახებ მუშავდება სტატისტიკური მაჩვენებლები დასაქმებულთა ასაკისა და სქესის მიხედვით, აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან თანაფარდობის მიხედვით, აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა რაოდენობასთან თანაფარდობის მიხედვით; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობის მიხედვით. აგრეთვე, უნივერსიტეტში მუშავდება ინფორმაცია პერსონალის შენარჩურების მაჩვენებლების შესახებ.

მართვის მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კითხვარები ორი მიმართულებით: 1. უნივერსიტეტში დასაქმებულის (ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, მოწვეული პერსონალის) მხრიდან შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია; 2. უშუალოდ ხელმძღვანელის შეხედულების მიხედვით მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის შეფასება. იგეგმება უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება მართვის პროცესში.
ο უნივერსიტეტი, პერსონალის მიერ შესრულებული საქმიანობის გათვალისწინებით, ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს პერსონალის სუსტი მხარეების გამოსწორებაზე. ატარებს ღონისძიებებს პერსონალის სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად, ზრუნავს პერსონალის პროფესიულ გადამზადებაზე ან საქმიანობის გამოსწორების მიზნით, აძლევს გონივრულ ვადას.
უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს ადმინისტრაციული თანამდებობის/აკადემიური პერსონალის /მოწვეული/ დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით: უნივერსიტეტის წესდებაში, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დებულებაში; სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ ინდივიალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება პროფესიონალების მოწვევა რეგიონის კერძო და საჯარო სექტორებიდან. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია

მხარს უჭერს აღნიშნული აქტივობის განხორციელებას.

მოწვევები განხორციელდა აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების, განათლების მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტებზე. საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შრომითი ხელშეკრულებები გაუფორმა ბიზნეს სექტორში, ტურიზმისა და ეკონომიკის, განათლებისა და საჯარო სექტორებში დასაქმებულ პრაქტიკოს პროფესიონალებს. ამან კიდევ უფრო გაზარდა შანსი, რომ კურიკულუმების თეორიული და პრაქტიკული ნაწილები დაეახლოვებინა გამოყენებად ცოდნასთან.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადების მიზნით მოხდა ბიუჯეტის გაზრდა 40% -ით. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა საერთშორისო პროექტებში, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდებში. ამ პროექტების ფარგლებშიც გადამზადდა უნივერსიტეტის 97 პერსონალი. მათ შორის PRINTEL-ის ფარგლებში 44 და INTEGRITY-ის ფარგლებში 53 თანამშრომელი, რომლის ღირებულებაც დაახლოვებით 7517 ლარს შეადგენს. ასევე, განხორციელდა პერსონალის გადამზადება საერთშორისო პროექტის LOVEDISTANCE ფარგლებში.

სამომავლოდ იგეგმება პერსონალის ტრენინგები კვლევის ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით.

ცვლილებები შევიდა აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესში, რომლის მიხედვითაც საკონკურსო პირობები გახდა მეტად გამჭირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1.უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოთა აღწერილობები
3. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები
4. პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
5. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პროფესორებისა და ლექტორების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის სქემა განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო დატვირთვის ნორმებს, კერძოდ, სასწავლო წლის განმავლობაში მათი წლიური დატვირთვის ოდენობას, სასწავლო მუშაობასთან დაკავშირებული ცალკეული აქტივობის საათობრივ ნორმებს.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა შეადგენს წელიწადში 1000 საათს.

საათების რაოდენობა გადანაწილებულია სემესტრების მიხედვით და ყოველი სემესტრის დასაწყისში ივსება კონკრეტული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა, რომლის შედარებაც ხდება სემესტრის ბოლოს ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოსთან.

აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის და მოწვეული პროფესორებისა და ლექტორების წლიური დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია სასწავლო დატვირთვა და სამეცნიერო მუშაობა.

დეპარტამენტების, ფაკულტეტის დეკანების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სასწავლო წლის ბოლოს, განიხილავს და აფასებს აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული სასწავლო და სამეცნიერო წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს. უნივერსიტეტში განსაზღვრულია, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის სასწავლო-კვირეული დატვირთვა. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის თანახმად, დაუშვებელია უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის კვირეული სასწავლო სააუდიტორიო დატვირთვა თესაუ-სა და სხვა უსდ-ში აღემატებოდეს 22 საათს, ხოლო კვლევითთან ერთად - შრომითი კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (79 პირი) აფილირებულია თესაუ-სთან. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 80-ს. უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა არის 24. პერსონალის თანაფარდობა პროგრამების მიხედვით, განისაზღვრება დაახლოებით 4/1. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა იძლევა სასწავლო და კვლევითი პროცესის გამართულად წარმართვის შესაძლებლობას. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი ადგენს ერთი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალურ რაოდენობას. საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება: • აფილირებული აკადემიური პერსონალის წახალისება სამეცნიერო მუშაობის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით; • ტრენინგი ლექტორებისთვის ,,სწავლის თანამედროვე მეთოდებზე“ და უცხო ენებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი უფასო კურსების შეთავაზება • უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების მაღალი რეიტინგის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება; • უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. აფილირების წესი; 2. აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები • აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა; • მოტივირებული და პროფესიულად მზარდი ადმინისტრაცია; • აკადემიური პერსონალის მოქნილი და ეფექტური დატვირთვის სქემა; • გამოცდილი აკადემიური პერსონალი • პერსონალის სამსახურში მიღების გამჭირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა.
გასაუმჯობესებელი მხარეები • უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

• მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციების რაოდენობა.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვა;. სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
• უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები; • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
აღწერა და შეფასება უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის უფლებების მარეგულირებელი ნორმები, რომლებშიც ასახულია უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და აღიარების წესები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). წესები შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10/ნ ბრძანების - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) #3 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №98/ნ ბრძანების (საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ) და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა სტუდენტებისათვის და მათი ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე სტუდენტს შეუძლია მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და დეტალურად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია მათი აკადემიური შეფასების და არსებული დავალიანებების შესახებ ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული პროგრამის - განათლების მართვის ელექტრონული სისტემის (tunels.tesau.edu.ge) საშუალებით. სტუდენტების სტატუსთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება ხდება კანონით დადგენილ ვადებში, უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow.emis.ge) საშუალებით. სტუდენტებს ინდივიდუალურად ეცნობებათ მათ შესახებ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და განემარტებათ გასაჩივრების წესი. სტუდენტების მიმართ სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დაწყებულ წარმოებაში უზრუნველყოფილია სტუდენტების ჩართულობა, მათ შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები წარმოების პროცესთან დაკავშირებით და სურვილისამებრ წარადგინონ შესაბამისი პროცედურის რელევანტური დოკუმენტები. მოთხოვნის

შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოძიებას, დამუშავებას და გაცემას კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საქმის წარმოების ერთიანი წესის და პროცედურების დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება; 3. თესაუ-ს შინაგანაწესი; 4. სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
• სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება; • უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით; • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას; • უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
აღწერა და შეფასება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვს საერთაშორისო მობილობის, პროექტების და პროგრამებში მონაწილეობის საშუალება. ამ მიზნით თესაუ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების/კონფერენციების შესახებ საინფორმაციო შეხვედრებს ატარებს. გარდა ამისა, ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ, გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ და ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის Facebook გვერდებზე. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ერაზმუს + საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სასწავლებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში მიემგზავრებიან და პროექტით დაგეგმილ აქტივობებში ერთვებიან. მათ აგრეთვე ეძლევათ საშუალება რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტში განხორციელდა რამოდენიმე საერთაშორისო პროექტი, რომელთა მიზანიც სტუდენტების ჩართულობა იყო. ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის (Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia.) ფარგლებში მოხდა სტუდენტების ჩართვა აკადემიურ კეთილსინდისირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. მათთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისირების შესახებ. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის მიერ მოწყობილ საინფორმაციო შეხვედრაზე მიღებული ინფორმაციის შედეგად, 2018 წელს 10-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, 2019 წელს 10-მა სტუდენტმა, 2020 წელს 10-მა სტუდენტმა, 2021 წელს 10-მა სტუდენტმა, 2012 წელს 10-მა სტუდენტმა, 2013 წელს კი რაოდენობა გაიზარდა 22მდე.



ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, საერთაშორისო პროექტებში მონაწილე სტუდენტური კონტიგენტი ყოველწლიურად იზრდება.

2018-2019 სასწავლო წელს თელავის უნივერსიტეტის 22 სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით, როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკული კომპონენტებით. 2019-2020 სასწავლო წელს - 14-მა სტუდენტმა, თუმცა ადგილების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. (კოვიდ 19-ის პანდემიის გამო სტუდენტებმა თავი შეიკავეს ევროპაში ვიზიტზე) , 2020- 2021 საწავლო წელს 16 სტუდენტი წავიდა ევროპის ქვეყნებში 2021-2022- 23 სტუდენტი, 2022-2023- 22 სტუდენტი, ხოლო 2023-2024- 26 სტუდენტი. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ საწარმოო პრაქტიკაზეც წასულიყვნენ იტალიაში 2023 წლის ზაფხულში. პრაქტიკით ისარგებლა 7 -მა სტუდენტმა.



ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური აქტიურად თანამშრომლობს გაცვლითი პროგრამების კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებთან, ორგანიზებას უკეთებს მათი გამგზავრების წინ საორიენტაციო შეხვედრებს, აქტიურ კონტაქტშია მათთან მობილობის პერიოდშიც და პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში ეხმარება მათ აღმოფხვრაში. მობილობიდან უკან დაბრუნებული სტუდენტებს სამსახური კრედიტების აღიარების პროცედურაშიც ეხმარება. დაარსდა გაცვლითი პროგრამებიდან დაბრუნებული სტუდენტების (ალუმის) კლუბი. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები აბიტურიენტებისა და სხვა სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მოტივაციის ამაღლებაში.

უნივერსიტეტი მხოლოდ გაცვლით პროექტებს არ სთავაზობს სტუდენტებს. უნივერსიტეტში ხორციელდება ისეთი პროექტებიც, რომელიც სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობებში

ჩართულობას ითვალისწინებს. ერთ -ერთი ასეთი პროექტია თანამშრომლობითი პარტნიორობის პროექტი Pact4skills, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ და ეხება მუზეუმებისა და ტურიზმის მიმართულების სფეროებში სერვისების გაციფრულებას. პროექტის ფარგლებში 10 სტუდენტი იქნა შერჩეული ამსტერდამის სასწავლო ვიზიტისთვის. ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის ივნისში. ამ ვიზიტს წინ უძღოდა სტუდენტებისთვის შეთავაზებული ონლაინ ტრენინგები და MOOC კურსები. ინფორმაცია განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე https://tesau.edu.ge/gancxadebebi1/21797-turizmis--specialobis-studentebis-sakuradghebod.html.
სტუდენტებმა კვიპროსის თავისუფალი უნივერსიტეტის და საფრანგეთის სერჟის უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად შეიმუშავეს მუზეუმებისთვის რეკომენდაციები და წარუდგინეს ფართო საზოგადოებას https://tesau.edu.ge/siaxleebi1/22013-telavis-universitetshi-proeqt-Pact4skillis-farglebshi-gacnobiti-xasiatis--ghonisdzieba-gaimarta.html. პროექტის ფარგლებში სტუდენტემა გაიარეს აგრეთვე თამაშის შექმნის ტრენინგი და პროექტში ჩართულ პროფესორებთან ერთად ერთად შექმნეს ონლაინ თამაში ერეკლეს მუზეუმის შესახებ. თამაში შემეცნებითი სასწავლო ხასიათისაა და ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე https://ivetagr.org/p4s/?fbclid=IwAR1pJm8E0KABkCicSbhFwMDSwCB-zJrLcrE5fbk4cihjFPDQ3M0OdJEh-B4
უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც იმართება სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად. სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას უნივერსიტეტის მართვასა და სხვა ღონისძიებებში. სტუდენტები წარმოდგენილნი არიან ფაკულტეტისა და წარმომადგენლობით საბჭოებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვასა და გათვალისწინებას. მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში სამწლიანი პანდემიის მიუხედავად სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

1. ყოველწლიურად სტუდენტური თვითმართველობის მიერ იგეგმება და ხორციელდება „ველქამ ფართი“ პირველკურსელი სტუდენტებისათვის, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფ და მეგობრულ ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში. ასევე ეწყობა კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამოები.
2. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ იგეგმება და ხორციელდება ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობის გაზრდასა და ინტელექტუალური აზროვნების განვითრებას.
3. 2022 წელს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა საშემოდგომო ფესტივალი. ფესტივალი მიზნად ისახავდა ხელოვანი და მეწარმე სტუდენტების საქმიანობის წარმოჩენას უნივერსიტეტში და მათი ჩართულობის ხარისხის ამაღლებას სტუდენტური თვითმმართველობის ღონისძიებებში;
4. უნივერსიტეტის თვითმართველობა ცდილობს სტუდენტების შემოქმედებით გართობაზე, რაც მოიაზრებს ინტელექტუალური თამაშების კლუბ- "თავსატეხში " მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფას, სამაგიდო თამაშების მოწყობას, შემეცნებითი ფილმების ჩვენებას, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზებას.
5. ბოლო წლებში უნივერსიტეტის თვითმართველობა ცდილობს ფეხი აუწყოს საერთაშორისო ტენდენციებს და ამ მიზნით აწყობს სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

6. სტუდენტური თვითმმართველობა, ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა აქტივობებში, კერძოდ: კალათბურთი, ფუტსალი, მკალვჭიდი, ძალისმიერი სამჭიდი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეინთბოლი, ტირი, ჭადრაკი, ფრენბურთი და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა განაპირობებს სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სტუდენტთა შორის ურთიერთობების გაღრმავებას.
7. თვითმმართველობის მიერ ყოველწლიურად იგეგმება და ხორციელდება საშობაო და საახალწლო ღონისძიებები, რაც მოიცავს შემდეგ აქტოვობებს:
    - საშობაო საქველმოქმედო „ალილო“;
    - საახალწლო კონცერტები;
    - საახალწლო კარნავალები და სხვ.
8. სტუდენტური თვითმმართველობა მხარს უჭერს სტუდენთა სამეწარმეო უნარების განვითარებასა და მათში ინოვაციური იდეების გენერირებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში, ტექნო პარკთან და თელავის მერიასთან თანამშრომლობით ეწყობა სხვადასხვა ტრენინგები და ღონისძიებები.
9. სტუდენტური თვითმმართველობა ხშირად აორგანიზებს ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. რაც ეხმარება სტუდენტებს ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში.
10. სტუდენტური თვითმმართველობა ცდილობს ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენასა და მათ მხარდაჭერას. აღნიშნულთან დაკავშირებით ეწყობა შემოქმედ სტუდენტებთან შეხვედრები და კულტურული საღამოები.
11. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ხორციელდება ღონისძიებები, , რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში პატრიოტიზმის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტრადიციული დარგების მიმართ პატივისცემისა და ინტერესის გაღვივებას. ასეთებია:
    - ისტორიული ძეგლების დასუფთავების აქცია (ალავერდი, ჯვარპატიოსანი და სხვ.);
    - ერეკლეობის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა მცხეთაში;
    - ალავერდის ტური (ზეთისხილის კრეფა);
    - უნივერსიტეტის რთველში მონაწილეობა.
12. სტუდენტური თვითმმართველობა მხარს უჭერს სტუდენტების ურთიერთობას გამოჩენილ ადამიანებთან.

უნივერსიტეტში 2023 წლის 22 სექტემბერს დაფუძნდა სტუდენტური დამოუკიდებელი კლუბი „ერეკლე II”. დაფუძნების ინიციატორები იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები. უნივერსიტეტმა წაახალისა სტუდენტების ინიციატივა, გამოუყო შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ოთახი. აღსანიშნავია, რომ კლუბი გამოირჩევა აქტიურობით და საინტერესო ინიციატივებით და მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მხოლოდ საუნივერსიტეტოს სივრცეში, არამედ ფართო საზოგადოებაში.

2023 წლის სექტემბერიდან დღემდე კლუბის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. შემეცნებითი ექსკურსიები საქართველოს ღირშესანიშნავ ადგილებში: სამცხე-ჯავახეთში (აბასთუმნის ობსერვატორია, ვარძია), ქუთაისში (საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაგრატისა და გელათის ტაძრები) და შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში;
2. ეროვნული კულტურის ფესტივალი. თესაუს პირველ კორპუსში გაიმართა ეროვნული კულტურის ფესტივალი. საფესტივალო გარემო დატვირთული იყო გამოფენებით. საგამოფენო სივრცეში განთავსებული იყო: ტრადიციული ხელსაქმის, ეროვნული სამოსის და საბრძოლო აღჭურვილობის სტენდები. ღონისძიება ასევე

ითვალისწინებდა მხიარულ აქტივობებს სტუდენტებისათვის. წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები: მეღვინეობის, მეფუტკრეობის და მარცვლეული კულტურების სახით, სადაც სტუდენტები მოწვეულ სტუმრებს აცნობდნენ ისტორიებს ამ ძირძველი დარგების შესახებ.

3. ქართლ-კახეთის მეფის - ერეკლე მეორისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მოხსენებები წარადგინეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.
4. ტრენინგები. კლუბის ინიციატივით უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაიმართა ტრენინგები: ,,თვითმოტივაციის ამაღლება“ და “საერთაშორისო ორგანიზაციები და ეროვნული სახელმწიფოები”, რამაც ახლგაზრდებში დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია.
5. მუსიკის ფესტივალი თელავის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლების (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი “წინანდალი”, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი “ნანინა”, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი “პატარა კახი”), სტუდენტებისა და ჯგუფი “ბანი”-ის მონაწილეობით.
6. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების კამპანია. კამპანიის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრები, სახალხო დამცველის ოფისის და მერსი კორპის წარმოამდგენლები სტუდენტებს შეხვდნენ და ესაუბრნენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, ასევე ნაადრევი ქორწინების დაუშვებლობის თაობაზე.
7. ფილოსოფიური საუბრები. კლუბის ორგანიზებით უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა გამართა ქართველმა სასულიერო პირმა, ჯვართამაღლების სატაძრო კომპლექსის წინამძღვარმა და თეოლოგიის დოქტორმა - დეკანოზმა თეოდორე გიგნაძემ, თემაზე - “ქრისტიანობა და თანამედროვე გლობალური სამყარო”. აღნიშნული შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა კითხვა პასუხის რეჟიმში.
8. აზროვნების აკადემიის ტურნე. აზროვნების აკადემიის შემეცნებითი ტურნეს ფარგლებში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა ფილოსოფოს ანა ქირიასთან, თემაზე - „ახლისა და მომავლის ფილოსოფია".
9. შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. სტუდენტებთან შეხვედრა გამართა და საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრმა, თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხის მაჟორიტარმა ირაკლი ქადაგიშვილმა.

სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. მათ შორის აღსანიშნავია თელავის ტექნოპარკი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კონსულტანტი პროექტების და სტუდენტური სტრატაპების მართვის საკითხებში, სტუდენტებს აქტიურად აწვდის ინფორმაციას ტექნოპარკში მიმდინარე საგრანტო კონკურსებთან და პროექტებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტების მოტივირებისთვის, გაიგონ მეტი მეწარმეობის მიმართულებით, განივითარონ თავიანთი უნარ-ჩვევები და წამოიწყონ საკუთარი საქმიანობები. ტექნოპარკთან ურთიერთობების ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ შემდეგ პროექტებში:

- 2023 წლის 3 აგვისტოს კახეთის რეგიონში გაიმართა ანტრეპრენერთა ფორუმი. ღონისძიების 250-მდე სტუმარს შორის იყვნენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, სტარტაპერები, ,,ანგელოზი ინვესტორები", მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლები. ღონისძიება მოიცავდა პრეზენტაციას საქართველოში სტარტაპების დაფინანსების მექანიზმების შესახებ, პანელურ დისკუსიას - ქართული წარმატებული სტარტაპების გზა და რჩევები დამწყებ მეწარმეებს და სტარტაპების ფიჩებს;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით კახეთის რეგიონში ჩატარდა პრე-აქსელერატორის პროექტი. პროექტის მიზანი იყო რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდა ადამიანებში ინოვაციური აზროვნების, იდეაციის და სტარტაპის შენების ძირითადი უნარების განვითარება, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდა ინოვატორების ჩართლობის ზრდა საქართველოს ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემაში და რეგიონული სტარტაპების ფორმირება/განვითარება. პროექტში მონაწილეთა 40%-ს შეადგენდნენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.
- 2023 წლის დეკემბრის თვეში გაიმართა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროგრამა- „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის". პრე-აქსელერატორში გადამზადებული სტუდენტებიდან სამმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საგრანტო კონკურსში, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა მოიპოვა გრანტი - თესაუ-ს სტუდენტმა რატი თეგერაშვილმა და მისმა გუნდმა შექმნეს სტარტაპი-„**რობოტ-ა: შენი პირველი რობოტი",** რომელიც მიზნად ისახავს პროგრამირების და რობოტიკის შესწავლას რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის.
- 2023 წლის განმავლობაში სტუდენტები ჩაერთნენ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ისეთ პროექტებში, როგორებიცაა:
    - Startup Intern- პროექტის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარების გზით კახეთის რეგიონში სტარტაპ საქმიანობის პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში მონაწილეები შეხვდნენ საქართველოში წამყვანი სტარტაპის დამფუძნებლებს. მონაწილეთა 42%-ს შეადგენდნენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები;
    - ტექნოლოგიური ბანაკი სტუდენტებისთვის - 2023 წლის 11-17 დეკემბერს 7 დღიან ბანაკში მონაწილეობა მიიღო 50-მა წარმატებულმა სტუდენტმა მთელი საქართველოს მასშტაბით. მონაწილეებს შორის იყვნენ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც.
- 2023 წლის 18 დეკემბერს სტუდენტებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრას წარუძღვნენ მოწვეული სპიკერები ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა: „სოფლის განვითარების სააგენტო", „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო". წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, საგრანტო კონკურსების შესახებ;
- 2024 წლის იანვრის თვეში სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ სურვილი, დაიწყონ საკუთარი ბიზნესი, გაიმართა ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები. დაინტერესებულ სტუდენტებს შეხვედრები ჩაუტარა რექტორის კონსულტანტმა პროექტების და სტუდენტური სტრატაპების მართვის საკითხებში და გააცნო მათ როგორ დაიწყონ და განავითარონ საკუთარი ბიზნესი, როგორ შექმნან ბიზნესგეგმა;
- რექტორის კონსულტანტის ხელშეწყობით 7 ოქტომბერს თელავში ღვინის ფესტივალის ფარგლებში გამართულ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის სტუდენტმა, რომელსაც აქვს თავისი მცირე მეწარმეობა - „რირია". ფესტივალზე მან საკუთარი წარმოების ღვინო წარადგინა. უნივერსიტეტის ხელშეწყობით ,,რირიას" წარმომადგენელი ჩაერთო პროექტში - „ქალთა ეკონომიკური განვითარება ელექტრონული

კომერციის მეშვეობით“, რომელსაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ახორციელებდა; • 2024 წლის 26 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაიმართა უფასო სოციალური მედია მენეჯმენტის კურსი. კურსის ფარგლებში სტუდენტებმა შეისწავლეს ციფრული და სოციალური მედია სტრატეგიის შემუშავება, ციფრულ და სოციალურ მედიაში კამპანიისგან მიღებული შედეგების გაანალიზება, თითოეული სოციალური ქსელისთვის კონტენტის სწორად შერჩევა და შექმნა. პროექტი განხორციელდა ადგილობრივი კერძო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1.ფაკულტეტების დებულებები; 2.საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; 3. ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული ზრდის სამსახურის დებულება; 4. ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის დებულება ; 5. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; 6. სპორტის და კულტურის კოორდინატორების საქმიანობის წესები; 7. განხორციელებული სტუდენტური ინიციატივები/პროექტები 8. სწავლის საფასურის გადახდის წესი; 9. თესაუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება; 10. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით; 11. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის შედეგები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები • სპორტული და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; • სტუდენტური კლუბების მხარდაჭერა; • სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა; • განახლებული და მრავალფუნქციური ელექტრონული პროგრამები.
გასაუმჯობესებელი მხარეები • სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები; • მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდული მოძრაობა; • სტუდენტთა ჩართულობის ხარისხი სტუდენტურ აქტივობებში.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1. კვლევითი საქმიანობა
• უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას; • სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა; • უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
აღწერა და შეფასება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სასწავლო-კვლევით ორგანიზაციას, რომელიც, მისიიდან და დარგ(ებ)ის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელს უწყობს სწავლებისა და კვევის ინტეგრირებას ეკონომიკურ პროცესებთან, ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რითაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. დღეისათვის, სამეცნიერო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია ოთხი სხვადასხვა მიმართულების დეპარტამენტი: 1. აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების; 2. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის; 3. განათლების მეცნიერებათა; 4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა. შესაბამისად, თითოეულ დეპარტამენტში განსაზღვრულია ძირითადი კვლევითი პროფილები: აგრარული მეცნიერებები; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის; ფილოსოფიის, სამართლის, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები; განათლების (პედაგოგიკა, ინკლუზიური განათლება), საგანთა სწავლების, ფსიქოლოგიის; ქართული და ინგლისური ფილოლოგიის, ისტორიის მეცნიერებები. დასახელებული კვლევითი პროფილებიდან უნივერსიტეტისათვის, რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, მისიითა და სტრატეგიული გეგმით პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს: **აგრარული, ტურიზმისა და განათლების მიმართულებები.** უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს: **კავკასიის კვლევების ცენტრი,** სადაც მიმდინარეობს როგორც კავკასიის რეგიონის, ისე მეზობელი ქვეყნების ისტორიის პრობლემატური საკითხებისა და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესწავლა; **ქიმია-ტექნოლოგიის ლაბორატორია,** სადაც იკვლევენ ღვინოს, ყურძენს და დაკონსერვებულ პროდუქტს; **სოფლის მეურნეობის ლაბორატორია**, რომელიც ემსახურება რეგიონის ნიადაგების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, სასუქების და პესტიციდების კვლევას; **ბიოლოგიის ლაბორატორია**, რომელიც ემსახურება მიკროორგანიზმების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ/დაავადებების კვლევას და კიდევ ერთი **კვლევითი ლაბორატორია,** რომელიც ძირითადად იკვლევს არომატულ კომპონენტებს, მაგ.: ღვინო, წვენი, ღვინომასალების მიკროორგანიზმები; უნივერსიტეტის განკარგულებაშია საცდელი კვლევითი და სადემონსტრაციო ნაკვეთები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ინოვაციების განსახორციელებლად. 2023 წელს შეიქმნა **„სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის და ინოვაციების განვითარების ცენტრი",** რომელიც მიზნად ისახავს უახლოეს მომავალში უნივერსიტეტის თანამშრომლობის გაღრმავებას ბიზნეს სექტორთან და ისეთი ინოვაციური კვლევითი საქმიანობის გამრავალფეროვნებას, რომელიც, უდავოდ, შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის შემდგომ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ წინსვლა-განვითარებას. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია, რომლის გათვალისწინებითაც ახორციელებს და გეგმავს კომპლექსურ სამეცნიერო კვლევით აქტივობებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში (მაგალითად: ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა, ორგანიზება/ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა და მათი სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ორგანიზება; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზენტობა; სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში

მონაწილეობა; სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია/რეცენზენტობა; კერძო სექტორში (კომპანიები) კვლევის შედეგების დანერგვა; სკოლებთან აქტიური თანამშრომლობა მოსწავლეთა მოზიდვისა და სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საქართველოს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ერთობლივი პროექტებისა თუ პუბლიკაციების განხორციელების მიზნით).

უნივერსიტეტისათვის, როგორც სასწავლო-კვლევითი ინსტიტუციისათვის, მთავარი გამოწვევა და მიზანია განვითარებაზე ორიენტირებული კვლევითი პოლიტიკის დანერგვა-შენარჩუნება და მისი ინტეგრირება უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ აქედან გამომდინარე, 2018 წლის ავტორიზაციის შემდგომ, ჩვენი უპირველესი სტრატეგია მე-6 სტანდარტთან მიმართებით, ძირითადად დაეფუძნა ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებას - მათ ანალიზს და შესრულების მექანიზმების შემუშავებას, რაც დღეისათვისაც აქტიურად გრძელდება.

6.1.- ის რეკომენდაციების საფუძველზე, უნივერსიტეტმა უპირველეს მიზნად დაისახა რამდენიმე ამოცანა:

- სოფლის მეურნეობის (მევენახეობისა და მეღვინეობის) და ტურიზმის კვლევების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის კიდევ უფრო მეტად გააქტიურება, წინ წამოწევა და შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაზე ორიენტირება;
- კვლევის ნაყოფიერების ამაღლება და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების გაზრდა, რაც უფრო მეტად შეუწყობდა ხელს სამეცნიერო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის განვითარებას რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე;
- საუნივერსიტეტო პუბლიკაციებისა და სადოქტორო ნაშრომების/აკადემიური კვლევის მაღალი სტანდარტების განსაზღვრა, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება/დახვეწა და დამკვიდრება, რათა სასწავლო პროცესში მათმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს კვლევის სტანდარტების არასწორი გაგება.

აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და გაძლიერდა/შემუშავდა შესაბამისი მექანიზმები.

ზოგადად, კვლევების, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის (მევენახეობისა და მეღვინეობის) და ტურიზმის კვლევების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის გააქტიურებისა და უფრო მეტად წინ წამოწევის მიზნით, უნივერსიტეტმა ერთ-ერთ ეფექტურ გზად დასახა **სამეცნიერო პროექტების დაფინანსების გაზრდა.** კერძოდ: 2019 წელს შიდასაუნივერსიტეტო გრანტით დაფინანსდა პროექტი აგრარული მიმართულებით: ,,თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ერთი ჰექტარი ვენახის გაშენება ზოგიერთი ტრადიციული-სამრეწველო და იშვიათად გავრცელებული ვაზის ჯიშების დარაიონებით“, ხოლო 2020-2021 წლებში ორი პროექტი - ერთი აგრარული მიმართულებით: ,,კახეთის სამრეწველო და პერსპექტიული ვაზის ჯიშების სხვადასხვა სქემით განაშენიანების გავლენა ღვინომასალების ქიმიურ შედგენილობაზე“ და ერთიც ტურიზმის მიმართულებით: ,,თელავი და ინოვაციური ტურისტული მარშრუტები“. ამ კვლევითი საქმიანობის შემოქმედებითობაზე ორიენტირებას ცხადყოფს პროექტის ფარგლებში შექმნილი სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) პუბლიკაცია ,,თელავის ინოვაციური ტურისტული მარშრუტები (*გზამკვლევი)“* (ოთხი ტური განთავსებულია ინგლისურენოვან Android/iOS მობილურ აპლიკაციაში Biliki, სამენოვან ქართულ, ინგლისურ, რუსულ ელექტრონულ ტურისტულ გზამკვლევ ში Android/iOS, მობილურ აპლიკაციაში TravelGIS და ვებსაიტზე travelgis.ge და 2021-2022 წელს აგრარული მიმართულებით საგრანტო დაფინანსებით განხორციელებული პროექტი: ,,მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა ყურძნის პროდუქტიულობაზე“;

უნივერსიტეტი ამ მიმართულებით დღესაც ინტენსიურად განაგრძობს საქმიანობას - **2023 წელს** დაფინანსდა და განხორციელდა აგრარული მიმართულების პროექტი: ,,ვაზის თანამედროვე შპალერის მოწყობა", ხოლო 2024 წლისათვის დაფინანსებულია პროექტი - ,,საირიგაციო წყლის ნორმების დადგენა ალუვიური ნიადაგისათვის კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“.

ვფიქრობთ, ტურიზმის კვლევების განვითარებას შეუწყობს ხელს და უნივერსიტეტის როლს წინ წამოწევს შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით 2018-2019 წლებში შესრულებული პროექტები: ,,თელავი - ისტორია და თანამედროვეობა“ (კვლევა გამოქვეყნებულია 4 წიგნად); ,,ალავერდის

საკათედრო ტაძრის ნეკროპოლის წარწერები“ (გამოქვეყნებულია კვლევა - კატალოგი); და ასევე 2021-2022-2023 წლებში კავკასიის კვლევების ცენტრის პროექტები: ,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - ლეკები (ხუნძები - ავარები)”; ,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში-უდიები"; ინტერდისციპლინური პროექტი - ,,ვაზი და ღვინო - ქართული მენტალობის გამომხატველი კონცეპტები (ლინგვოკულტუროლოგიური ძიებები)" და 2024 წლისათვის დაფინანსებული პროექტები: ,,თელავის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლები - ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო (ისტორია და თანამედროვეობა)“; „თელავის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“.

სოფლის მეურნეობის (მევენახეობისა და მეღვინეობის) კვლევების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის გააქტიურების შედეგია ის, რომ **2023** წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა უნივერსიტეტის მხარდაჭერით მომზადებული და წარდგენილი აგრარული მეცნიერებების მიმართულების ორი პროექტი:

❖ **,,საქართველოს ტერიტორიაზე საფერავის ვაზის ჯიშისგან წარმოებული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისთვის Saccharomycescerevisiae საფუარის სუფთა კულტურების გამოყოფა და მათი სპეციფიკური თვისებების შესწავლა“** (განხორციელების წლები: 2023-2025);
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნინო ვეფხიშვილი (აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)

❖ **,,მეცნიერება აგრარული დარგის წარმატებული მომავალი“** - მეცნიერების პოპულარიზაცია, საგრანტო განაცხადი პროექტის შიფრი SPG-23-1449, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის ბრძანება N129 **14.08.2023,** სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. პროფ. მანანა კევლიშვილი (აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)

რუსთაველის ფონდის დაფინანსებით 2018-2021 წლებში შესრულდა ასევე სამეცნიერო პროექტი - „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (I-II ტომები)“ №FR17_257 (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

აღსანიშნავია, რომ თესაუს პერსონალი, მკვლევრის სტატუსით ჩართულია სხვა უნივერსიტეტების მიერ რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტების განხორციელებაშიც, მაგალითად:

ასოც. პროფ. ნათელა ბაღათრიშვილი, პროექტი: ,,საბუნებისმეტყველო განათლების აქტუალობა_მეორე (ROSES). განათლება, საბუნებისმეტყველო განათლება“. 2023-2025, თსუ, პროექტის ხელმძღვანელი - პროფესორი, დოქტორი მარინა კაპანაძე; პროექტის კოორდინატორი - პროფესორი ნინო ჯავახიშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სრული პროფესორი, უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;

ასოც. პროფ. შორენა ძამუკაშვილი, პროექტი: “მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“, #3869, 2021 წლის 12 აპრილის №33 ბრძანება), 2021-2024, თსუ, პროექტის ხელმძღვანელი - პროფესორი თამარ მახარაძე,

ასოც. პროფესორი ლალი ელანიძე, პროექტი: ,,იმუნიტეტის კორელაცია ფიტოალექსინ - სტილბენო იდებთან“ (RF17_86), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, პროექტი უნდა დამთავრებულიყო 2020 წლის 19 დეკემბერს, კოვიდ პანდემიის გამო ვადები გახანგრძლივდა 2021-2022 წლის ჩათვლით.

სტრატეგიულად უნივერსიტეტის როლის მნიშვნელოვნად წინ წამოწევას, განვითარებასა და შემოქმედებითობას შეუწყო ხელი **კერძო სექტორთან, საწარმოებთან (ღვინის ქარხნებთან) კონტაქტების/ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება-გაფართოებამ**: ახალგაზრდა, პრაქტიკოსი მკვლევრების უნივერსიტეტში მოწვევამ (როლანდ ბურდიაშვილი; თეა ხოსიტაშვილი, ლევან შავაძე, მანუჩარ მესხიძე) და უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების კვლევითი მიღწევების საწარმოებში დანერგვამ. მაგალითად: ღვინის კომპანია ,,შუმში“ დაინერგა ასოცირებული პროფესორის ნინო ვეფხიშვილის მიერ სტუდენტებთან ერთად შემუშავებული ,,ჩურჩხლის თანამედროვე

ტექნოლოგია“, რაზედაც კომპანიამ, ნინო ვეფხიშვილთან ერთად, მოიპოვა პატენტი/გამოგონება; როლანდ ბურდიაშვილმა ღვინის კომპანია ,,შუხმანში“, ხოლო გია გამტკიცულაშვილმა ,,ტყუპების მარანში“ დანერგეს თავიანთი სადოქტორო კვლევის შედეგები. მეღვინეობა-მევენახეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებმა, 2023 წელს, თავიანთ მიერ შემუშავებული თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით, დაამზადეს (და უკვე მიმოქცევაშია) სხვადასხვა სახის ღვინოები - ნიკა აზნიაშვილმა საკუთარ საწარმოში; ნინო ჯავახიშვილმა - გორის ,,ხარებაში“, ხოლო გიორგი ერგემლიძემ საგარეჯოში - შპს ,,ბატონოში“.
აღსანიშნავია, რომ 2023 წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს შპს ,,მზეთამზე - გემოვანი პურის“ დამფუძნებელმა ირაკლი ჩავლეიშვილმა და მთავარმა ტექნოლოგმა ზვიად ხარბედიამ, რომლებმაც დამსწრეთ წარუდგინეს მოხსენება ,,ქართული ხორბლის მნიშვნელობა და წარმოების განვითარების პერსპექტივები“ და მოაწყეს ბიოპურის პრეზენტაცია.

უნივერსიტეტი დინამიურად ავითარებს ურთიერთობებს დონორ ორგანიზაციებთან სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების მოპოვების მიზნით. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ტურიზმის მიმართულებით დაფინანსებული მიმდინარე (2023-2024წ.წ.) პროექტის - „თელავის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“, დონორ ორგანიზაციას (15 000 ლარის ოდენობით) წარმოადგენს საქართველოს ბანკი.

გაფორმებულია მემორანდუმი საქართველოს ტურიზმის ასოციაციასთან, რომლითაც გათვალისწინებულია ერთობლივი სამეცნიერო თანამშრომლობა; მემორანდუმის ფარგლებში უკვე ჩატარდა გაცნობითი ხასიათის და ორი სამუშაო ონლაინ შეხვედრა/ვებინარი საკითხებზე: ,,ყატარის ავიახაზების უსაფრთხოების ზომები პანდემიის პირობებში“; „ტურიზმის პოსტპანდემიური გამოწვევები“.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს **დასაქმების გამოფენებში, სამეცნიერო ფესტივალებსა თუ კვირეულებში,** სადაც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის როლსა და შესაძლებლობებზე განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობისა თუ ტურიზმის მიმართულებით.

ტურიზმის მიმართულებით უნივერსიტეტი ჩართული იყო საერთაშორისო, ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტში (BSB 831. 2021-2023წ.წ.): "გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება მემკვიდრეობის ძეგლების განახლებისა და ტურიზმის, ასევე, შავი ზღვის აუზის იუნესკოს მიერ დასახელებული კულტურული და შემოქმედებითი მრეწველობის ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად". პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა იუნესკოს დაცული ძეგლების და მასთან კონტაქტში მყოფი 10 გეოლოკაციის ტურისტული კორიდორი; შეიქმნა ისეთი ტურისტული პროდუქტი, რომელიც ერთნაირად საინტერესოა ყველა ასაკის ტურისტისთვის; ჩატარდა კვლევები: ვიზიტორთა, საჭიროების, სერვისების, ხელოვნების ეკონომიკური გავლენისა და მომხმარებელთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; კვლევის შედეგების ანალიზი გაკეთდა თესაუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ.

საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის გააქტიურებისა და ცნობადობის ამაღლების შედეგია უკრაინაში, ოდესაში, კვების ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსზე - „შავი ზღვის მეცნიერებები“, საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომების გამოვლენის მიზნით, საორგანიზაციო კომიტეტისა და კომისიის წევრებად 2020, 2021, 2022 და 2023 წლებში თელავის უნივერსიტეტიდან სოფლის მეურნეობისა და ქიმიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების პროფესორების მიწვევა (ლალი ელანიძე, მანანა კევლიშვილი, მაგდა დავითაშვილი, თამარ ნადირაძე, მარიამ ხოსიტაშვილი, გაგა ბუიშვილი, ლევან შავაძე, დარეჯან მარგალიტაშვილი).

2018 წლის 27 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით, პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, პროფ. მანანა კევლიშვილი იმყოფებოდა თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში, სადაც ჩაატარა ტრენინგი აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალთან, დოქტორანტებთან და მაგისტრანტებთან საქართველოს ნიადაგების, ნიადაგური ტიპებისა და მათში მიმდინარე

ცვლილებების შესახებ. ბერძენ კოლეგებთან ერთად იგი მონაწილეობდა საბერძნეთის დამლაშებული ნიადაგების კვლევაში. ჩამოტანილი შედეგები შედარდა საქართველოს დამლაშებულ ნიადაგთან.

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მკვლევარმა, ასოც. პროფესორმა თეა ხოსიტაშვილმა 2020 წლის ნოემბერში, დისტანციურ რეჟიმში, მონაწილეობა მიიღო როგორც მთავარმა მომხსენებელმა ინდოეთში (ჯეინის უნივერსიტეტი, კოჩის კამპუსი, კერალა) ჩატარებული მენეჯმენტის კვლევებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საერთაშორისო საუბრების სერიაში (IQAC)-,,განათლების რეაბილიტაციის სტრატეგიები COVID-19, სხვადასხვა ერების პერსპექტივაში“.

მონიტორინგის შემდეგ (2022-2023 წ.წ.) კიდევ უფრო გააქტიურდა და ინტენსიური გახდა უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის დაკავშირება (თანამშრომლობა) საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით სტრატეგიული მიმართულებების/ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინებით. მაგალითად: 2022 წლის 15 მაისიდან 20 მაისის ჩათვლით, პროფ. მანანა კევლიშვილი და ასოც. პროფ. ლევან შავაძე იმყოფებოდნენ ორანჟში (საფრანგეთი), აგრარულ ლიცეუმში, სადაც, კვლევითი გამოცდილების გაზიარების მიზნით წაიკითხეს მოხსენებები: „აგრარული განათლება და დარგში მიღწეული წარმატებები (მოპოვებულ პატენტზე „ვაზის თანამედროვე შპალერი"- Vine Trellis”); „მევენახეობა საქართველოში“ - ნიადაგურ-კლიმატური პირობების გავლენა ვაზის ბიომრავალფეროვნებაზე საქართველოში; მევენახეობის აგროტექნოლოგიური რეგლამენტი საქართველოში“.

2023 წლის 16 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, კლუჟ ნაპოკას (რუმინეთი) აგრარულ მეცნიერებათა და ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტში, პროფ. მანანა კევლიშვილმა სამეცნიერო თემაზე მაგისტრანტებთან ჩაატარა ლექცია: „კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა საქართველოს ნიადაგებზე“. დაიგეგმა სამომავლო სამეცნიერო თანამშრომლობა, რაც გამოიხატა ჰორიზონტი ევროპის საგრანტო პროექტში თანამონაწილეობით. ამავე პერიოდში, ასოც. პროფესორმა ლევან შავაძემ კლუჟ ნაპოკაში, ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ,,ვაზის გასხვლის ქართული წესის პრაქტიკის გაზიარება „Vine pruning Georgian style – practice sharing”. შეხვედრა ჩატარდა უნივერსიტეტის კვლევით ნაკვეთში და ესწრებოდნენ რუმინელი სტუდენტებიც. საერთაშორისო ვაზის ჯიშების მაგალითზე პრაქტიკულად განხორციელდა ვაზის ქართული (ცალმხრივი, ორმხრივი) შპალერული წესით სხვლა/ ფორმირება. აგრეთვე, განხილული იქნა ვაზის დატვირთვის განსაზღვრის მეთოდები და „მოსავლის მიღების დაჩქარებული ტექნოლოგია მევენახეობაში“ – “Acceleration technology of harvest in viticulture”, ასევე ახალშენი ვენახის მოვლის თანამედროვე აგროტექნოლოგია, ვაზის დაჩქარებული ზრდა-განვითარების და მოსავლის დაჩქარებულად მიღების მიზნით, ეკონომიკური ეფექტების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ხორვატიის პოჟეგას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებთან ვალენტინა ობრადოვიჩთან და იოსიფ მესიკთან ერთად აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ დაგეგმილია ერთობლივი კვლევების ჩატარება მევენახეობასა და მეღვინეობის სფეროში, ხოლო რუმინეთის კლუჟ ნაპოკას უნივერსიტეტთან ერთად იგეგმება ,,ვეტერინარიის“ ერთბლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დანერგავა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიხეილ ზუკოვის ფონდთან და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) პარტნიორობით, ასევე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლიდან ხორციელდება პროექტი - „თუშეთის ბიოსფერული რეზერვატის დაარსება აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურად მოწყვლად რეგიონში, კახეთში - დოკუმენტის მომზადება ნომინაციისთვის“. დღეისათვის წარმატებით მიმდინარეობს კვლევითი-საგანმანათლებლო სამუშაოები ამ მიმართულებით.

ბოლო წლების განმავლობაში ღია მეცნიერებამ შეიძინა დიდი მნიშვნელობა და მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოს მრავალ მკვლევართა შორის. ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის EOSC ასოციაცია მიზნად ისახავს ღია მეცნიერების ხელშეწყობას და მასთან დაკავშირებული სერვისების შემდგომ განვითარებას. ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით და მათთან კონსულტაციების საფუძველზე, საქართველოს სამეცნიერო–საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენამ”, როგორც ევროკავშირის შესაბამის პროექტებში მონაწილე

ორგანიზაციამ, მოამზადა ქვეყანაში ღია მეცნიერების ღრუბლის EOSC-ის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა და რომლის თანახმადაც, სხვა ორგანიზაციებთან ერთად ითანამშრომლებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო კვლევების/მიღწევების **პრეზენტაციები** ფართო საზოგადოებისათვის, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მიმართ, რეგიონის განვითარების თვალსაზრისით; საერთაშორისო დონეზე კი ოქსფორდის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) გია გამტკიცულაშვილმა მოაწყო პრეზენტაცია და წაიკითხა საჯარო ლექცია დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში მიღწეული კვლევის შედეგების შესახებ („ქვევრის შემადგენელი თიხამინერალების გამოკვლევა და მათი გავლენა ღვინის ხარისხზე); ამ საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდა არგენტინის მენდოზას უნივერსიტეტის წარმომადგენელი და გამოთქვა თელავის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი ერთობლივი კვლევების ჩატარების მიზნით, ქვევრის ღვინის საკითხებთან დაკავშირებით; ასევე, აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა ლალი ელანიძემ უკრაინაში, ოდესის ნაციონალურ ტექნოლოგიურ აკადემიაში/უნივერსიტეტში, წარადგინა კვლევა - „უძველესი ქართული ენდემური ხორბლის ჯიშები - დიკა, დოლის პური და შავფხა“, რომელიც დაითესა ეკოლოგიურად სუფთა ადგილზე, თუშეთის სოფელ ომალოში. 2020 წლის მოსავალის ნიმუშები გაიგზავნა ოდესის ტექნოლოგიურ აკადემიაში, რამაც გამოიწვია დიდი საერთაშორისო ინტერესი და მათთან ერთად დაიგეგმა აღნიშნული ნიმუშების ფართო და დეტალური ერთობლივი კვლევა;

პროფესორმა მაგდა დავითაშვილმა, ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ტუშას უნივერსიტეტში (ქ. ვიტერბო იტალია) ჩაატარა ლექციები და ვორქშოფები ეკოლოგიისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა და აგრარულ და ტყის მეცნიერებათა დეპარტამენტების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომელებმაც დიდი დაინტერესება გამოხატეს და 2019 წელს იგი მიიწვიეს მცენარეთა ბაქტერიული დაავადებების ბიოლოგიური კონტროლის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმზე, სადაც მან წარადგინა ნაშრომი „კარტოფილის ბაქტერიული პათოგენებისა და მათი ბიოლოგიური მტრების - ბაქტერიოფაგების გამოყოფა და შესწავლა“ (Davitashvili M. Isolation of active bacteriophages against phytopathogenic bacteria Erwinia carotovora and their study for bio-control purposes. Abstracts. 9-11 July 2019. University of Tuscia, Viterbo, Italy. 4th International Symposium on Biological Control of Bacterial Plant Diseases);

აღსანიშნავია აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების მიერ **ჩატარებული ტრენინგები** კახეთის რეგიონის ფერმერთა მომსახურების ცენტრისა და საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებისათვის. უნივერსიტეტის ლაბორატორია აქტიურად და უსასყიდლოდ, სისტემატურად ეხმარება ფერმერებს ნიადაგისა და საქართველოში დარაიონებული ხორბლის ახალი ჯიშების (ანაპო და აფინა) კვლევების ჩატარებაში და უწევს მათ შესაბამის კონსულტაციებს, რაც უნივერსიტეტის როლს, უდავოდ, ზრდის რეგიონულ და ეროვნულ დონეზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით; აღნიშნული აქტივობა ინტენსიურ რეჟიმში კვლავაც გრძელდება რუსთაველის ფონდის პროექტის ფარგლებში.

უნივერსიტეტის როლის წინ წამოწევის და გააქტიურების საკმაოდ ეფექტური მექანიზმი აღმოჩნდა **კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,** რაც გამოიხატა აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი სოფლის მეურნეობისა და ქიმია-ტექნოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვით - 2018 წელს შეძენილ იქნა ინფრაწითელი სპექტრომეტრი, ხოლო 2019 წელს გაზური და სითხური ქრომატოგრაფები ღვინისა და ღვინომასალების ქიმიური შედგენილობის გამოსაკვლევად; ამჟამად, ამ მიმართულებით ტარდება ტრენინგები აკადემიური პერსონალისათვის; აგრეთვე, ნიადაგისა და მცენარეების მიკროორგანიზმების კვლევისათვის შეძენილ იქნა: თანამედროვე ტიპის მიკროსკოპი; სანჯღრეველა ინკუბატორი; თანამედროვე ავტოკლავი; ამან შესაძლებლობა მოგვცა, 2020 წელს შექმნილიყო კიდევ ერთი ახალი „კვლევითი ლაბორატორია“, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ერთობლივი კვლევითი საქმიანობის გაფართოებას აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულებებით. მაგალითად, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი, ვაზის კულტურაზე გავრცელებული

სოკოების (ესკა, ეუტიპა) შესწავლასა და კვლევას და სხვა. აღსანიშნავია, რომ სწორედ უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, მოსწავლეთა მონაწილეობით, შესრულდა 268 ჰექტარი ნიადაგის ქიმიური კვლევები სოფელ წინანდლის აგროქიმიური კარტოგრამის შესაქმნელად (რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში);

უნივერსიტეტის თანადაფინანსებითა და ევროკავშირის პროექტის -"ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები (LLL) დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში"- ფარგლებში, 2021 წელს შეძენილ იქნა თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობა: ქიმიური ამწოვი, ბიოუსაფრთხოების კარადა (BSC 2), ავტოკლავი და სტერილიზატორი; ორი ცენტრი ფუგა და ორი სანჯღრეველა. პროექტში ჩართულნი არიან უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების პროფესორები: მაგდა დავითაშვილი, დარეჯან მარგალიტაშვილი, ლალი ელანიძე, ნინო ვეფხიშვილი, ლელა წიკლაური. აღნიშნული პერსონალი 2021 წლის 14-22 ივლისს გადამზადდა ტრენერებად; პროექტის ფარგლებში მაგდა დავითაშვილი 2021 წლის ნოემბერში გადამზადდა ასევე იტალიაში, მილანის უნივერსიტეტში (კლინიკური/ჯანდაცვის მიმართულების ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება) და ტერამოს უნივერსიტეტში (აგრარული/სურსათის მიმართულების ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება). 2022-2023 წლებში კი უკვე გადამზადებულმა ტრენერებმა კახეთის რეგიონში გადაამზადეს 70 ახალგაზრდა ბენეფიციარი ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით.
ასევე, კიდევ უფრო მეტად განახლდა 2023 წელს ქიმია-ტექნოლოგიისა და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიები თანამედროვე აღჭურვილობით.

კვლევის ნაყოფიერების ამაღლებისა და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების გაზრდისათვის უნივერსიტეტის კიდევ ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიად განისაზღვრა **ადამიანური რესურსების კვლევით განვითარებაზე კიდევ უფრო მეტად ზრუნვა;** ამ მიზნით განსაკუთრებით გაძლიერდა აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულტაციებისა და **ინფორმირებულობის მექანიზმი;** კერძოდ, მათ სისტემატურად მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია მაღალრეიტინგული, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების, მათი მოძიებისა და სტატიების გამოქვეყნების (სამეცნიერო პროდუქტის შექმნის) შესაძლებლობის შესახებ; სამეცნიერო პროექტების, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის, მობილობისა და კვლევითი ვიზიტების შესახებ; ასევე, ციტირების ინდექსის დადგენის და სამეცნიერო ბაზების გაფართოება-ხელმისაწვდომობის შესახებ; კვლევითი შესაძლებლობების განვითარების ხელშესაწყობად 2022 წლის 11.07-2022-17.07.2022წ. უნივერსიტეტის ორგანიზებით აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი: **„საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში"** (ტრენერი: ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი თამარ ხახუტაშვილი); მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის მიერ კვლევითი ნაშრომის დაფინანსება/ თანადაფინანსების თაობაზე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად (მაგ.: მხარდაჭერილი იქნა სტატიები აგრარული, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებით **SCOPUS**-ის ბაზაში განთავსებულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად) და სხვა.

ასეთმა სტრატეგიამ და მეთოდებმა მალევე გვიჩვენა კარგი რეზულტატი და ეფექტურობა. მკაფიოდ დადასტურდა კვლევის ნაყოფიერების ამაღლება და გაიზარდა კვლევითი ნაშრომების პუბლიკაციის, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებელი.

2018-2023 წლებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ავტორობით სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით გამოქვეყნდა მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მაგალითად: **დარეჯან მარგალიტაშვილი:** „საფერავის" ჯიშის ყურძნის წიპწიდან გამოყოფილი ზეთის მოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე", 2018 წ.; **ლალი ელანიძე:** „ყურძნისეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის „Georgian Vitae rimas XXI" ტექნოლოგია", 2019 წ.; **ზაურ გუმაშვილი, შალვა ჭკადუა:** „პანკისის ხეობა - ფაქტები, მოვლენები, ანალიზი", 2020 წ.; **ლელა წიკლაური:** „ლუდის წარმოების ტექნოლოგია", 2020 წ.; **ალექსანდრე მოსიაშვილი:** „ქართულ-აზერბაიჯანული

ურთიერთობების ასპექტები თანამედროვე ეპოქაში, ნაწილი I, 2020 წ.; **თენგიზ სიმაშვილი:** ,,ვინ მოკლა ილია? (ახლადმოძიებული საარქივო მასალები, ნაწილი I, 2020 წ.; **თამარ ნადირაძე:** ,,წინანდლის პარკის ხეები და ბუჩქები", 2020 წ.; **ლამარა ზურუშვილი, მაგდა დავითაშვილი:** „კვლევის მეთოდები ეკოლოგიაში", 2020წ.; **მაგდა დავითაშვილი:** „Erwinia sp. და Pseudomonas sp. კარტოფილის ბაქტერიული პათოგენებისა და შესაბამისი ბაქტერიოფაგების გამოყოფა და შესწავლა", 2020წ.; **თეა ხოსიტაშვილი, მარიამ ხოსიტაშვილი:** ,,აბორიგენული და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების წითელ ყურძენში სიმწიფის ინდექსის შესწავლა და გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე", 2020 წ.; **მარიამ ხოსიტაშვილი,** სასწავლო-სამეცნიერო ბროშურა ,,ცილის კონცენტრაციის განსაზღვრა", 2021წ.; **თენგიზ სიმაშვილი, ირმა შიოშვილი, ნინო კახაშვილი:** ,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - ლეკები (ხუნძები/ავარები), 2022წ.; განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის ავტორთა ჯგუფის მიერ: ,,აღმზრდელ-პედაგოგთა რეფლექსია ხარისხიანი ადრეული ინკლუზიური განათლებისათვის", 2022წ.; **ნინო კოჭლოშვილი, ნუნუ გელდიაშვილი:** ქართული მცირე პროზის ლიტერატურული და ლინგვისტური წახნაგები, 2023წ.; **ზაურ გუმაშვილი:** ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია (უძველესი დროიდან XV საუკუნის ჩათვლით); **მარიამ ხოსიტაშვილი:** თეთრი სუფრის ღვინოების ტექნოლოგიების სრულყოფა საფუვრების ლაზერული აქტივაციის საფუძველზე, 2023წ.; **ნინო მოდებაძე:** „ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია", 2023წ.; **შორენა ძამუკაშვილი:** ,,ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია" 2023წ.; **მარინე კვაჭაძე:** სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადევნებისა და იძულებით ქორწინების იძულების დანაშაულებზე (20218-2022წ), 2023წ.

2018-2023 წლებში, განსხვავებით წინა წლებისაგან, სტატიათა დიდი ნაწილი დაიბეჭდა საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ, **Impact Factor** -ის მქონე და საერთშორისო ბაზებში ინდექსირებულ **(SCOPUS; Web of Science;** ***Thomson Reuters, Elsevier,*** **ERIH PLUS, Crossref, Ebscohost,** ***Copernicus, DOAJ...*** **)** რეფერირებად ჟურნალებში. მაგალითად: ,,**EUROPEAN JOURNAL OF RESEARCH"**, ავსტრია, **Impact Factor: 5. 088**; **,,Novateur Publication, India",** ინდოეთი, **Impact Factor: 5.765**; ,,**სოციალური მეცნიერებებისა და ჰუმანიტარიის მე-6 აკადემიური საერთაშორისო კონფერენციის მასალები",** ოქსფორდის კონფერენციის სერია **AICSSH** (შრომების კრებული ინდექსირებულია **SCOPUS**-ის, **Web of Science-ის,** ***Thomson Reuters-ის, Elsevier-ის ბაზებში);*** **,,Cultural Intertexsts",** რუმინეთი, Galati-უნივერსიტეტი (შრომების კრებული ინდექსირებულია **ERIH+**-ის, **Ebscohost-ის,** ***Copernicus-ის, DOAJ-ის ბაზებში);*** **,,Balkanistic Forum"** ბულგარეთი (შრომების კრებული ინდექსირებულია **SCOPUS**-ის, **Web of Science-ის** (**ESCI**), **ERIH** ***PLUS-ის*** **ბაზებში**); ,,**ASIAN JURNAL OF RESEARCH",** იაპონია, **Impact Factor: SJIF 5.1** ***IFS 3.7*** (ინდექსირებულია **Crossref-ის** ბაზებში); **,,World Jurnal of Advanced Research and Reviews", ამერიკა, Impact Factor: 4.98** *(*ინდექსირებულია **Crossref-ის** ბაზებში)**; Scientific Journal AGRICULTURAL ENGINEERING,** University of **Belgrade,** Faculty of Agriculture, Institute of Agricultural Engineering (DOI: 10.5937/PoljTeh2101054K; Print ISSN 0554-5587, On line eISSN 2406-1123); **EUROPEAN SCIENCE,** (ISSN 2410-2865 (Print), ISSN 2541-786X (Online)); **Journal of Advanced Research in Dynamical and Control** ***Systems,*** ამერიკა (ინდექსირებულია **SCOPUS**-ის ბაზებში); **BRIDGE TO SCIENCE: RESEARCH WORKS,** ამერიკა, **EurAsian Journal of BioSciences,** თურქეთი,-Foundation for Enviromental Protection and Research (ინდექსირებულია: **SCOPUS,** AGRICOLA, EBSCOhost, ProQuest, SCImago, Zoological Record **(Thomson Reuters) etc.** All published articles are assigned to Digital Object Identifier (DOI)- CrossRef); **Institute of Integrative Omics and Applied Biotechnology (IIOAB)**; (ინდექსირებულია Academic Journals Database, ArgosBiotech, ALADIN, BIBSYS, BioChemWeb ,CAS, Connect Journals, CiteFactor, Dayang, EBSCO , Emerging Sources Citation Index **[THOMSON REUTERS],** Genamics JournalSeek ,GFMER, Google Scholar, HINARI-WHO, HOLLIS, Index Copernicus, J-Gate, KnowledgeWorks, NewJour,OpenJ-Gate,OAJSE, Primo Central, ProQuest,ROAR, SCImago Journal Ranking/SJR, Socolar, Summon,TROVE)**; World Journal of Advanced Research and Reviews;** National Institute of Science Communication and Information Resources (Council of Scientific and Industrial Research) New Delhi, India (Cross Ref DOI: 10.30574/wjarr, Copernicus**,** google,CrossMarc,CitaFactor, https://wjarr.com/content/role-r-plasmids-hospital-strains-proteus); **Journal of Chemistry Letters,** Published by the Chemical Society of Japan Online ISSN 03667022, 13480715; **NOVATEUR**

PUBLICATIONS Journal NX- A Multidisciplinary Peer Reviewed Journal, file:///C:/Users/user/Downloads/New%20Acceptance%20Journal%20of%20 Agrarian%20Change%20Paper1.pdf; **Journal of Agrarian Change**, ინდექსირებულია **SCOPUS** ბაზაში; **International Scientific Journal** *ISJ Theoretical & Applied Science,* თეორიული და გამოყენებითი მეცნიერებების საერთაშორისო აკადემია, ფილადელფია, აშშ; 2023, 01 (117), 636-643 (THOMSON REUTERS, Google scholar, cross ref, SOI, IP, DOI, Kudos, ISI, RSCI, RB, TEI, GIF, OAJI, GS, and others, **www.T-Science.org**); **International Scientific Journal ISJ Theoretical & Applied Science Philadelphia** (Philadelphia, USA; ISJ Theoretical & Applied Science; Published: 04.07.2023 http://T-Science.org07 (123), 17-19. **Scopus ASCC**: 1700 Soi: http://s-o-i.org/1.1/TAS-07-123-4 ; Doi: https://dx.doi.org/10.15863/TAS; Journal available by link: http://t-science.org/arxivDOI/2023/07-123.html); **European Journal of Humanities and Educational Advancements (EJHEA)** (Web of Scientists and Scholars; https://webofjournals.com/index.php/12/article/view/48); **Balkanistic Forum v.32,** N2, p.50-64. International University Seminar for Balkan Studies and Specialization, Bulgaria, 2023, Indexed in**: SCOPUS (SJR Q1), WEB of Science (ESC1), ERIH PLUS, РИНЦ, MIAR, https://www.ceeol.com/search/journal-detail?id=1069**...

ჟურნალების უმრავლესობას მინიჭებული აქვთ **DOI; ISSN; E-ISSN;** სტატიები ძირითადად ინგლისურენოვანია.

საგრძნობლად გაიზარდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომების ციტირების მაჩვენებელი. დასტურდება **Google Scholar-ის, Web of Science-ის, SCOPUS**-ის **H და G** ინდექსები.

❖

ამაღლდა პერსონალის კვლევითი ნაყოფიერება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზარზე. კერძოდ, უნივერსიტეტის პროფესორები მიწვეულნი არიან როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში (მაგალითად, პროფესორები მანანა ღარიბაშვილი და ნუნუ გელდიაშვილი მიიწვიეს განათლების მეცნიერებებისა და ლინგვისტიკის მიმართულებით **SCOPUS-ის, Web of Science**-ის, **EBSCOA-to-z-ს, Ulrich-ის, Googl Scolar**-ისა და **NSD**-ს ბაზებში ინდექსირებული ჟურნალის **„Universal Journal of Educational Research"** (ამერიკა) სარედაქციო კოლეგიაში რეცენზენტებად და რედკოლეგიის წევრად; პროფ. მანანა ღარიბაშვილი ასევე არის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის **„Research Journal of Education"** ასოცირებული რედაქტორი (გამოცემა, ქვეყანა - გერმანია) 2020 წლიდან დღემდე, ინდექსი - ონლაინ ISSN**:** 2413-0540 ბეჭდური ISSN**:** 2413-8886; პროფესორი თამარ ნადირაძე **არის „International Journal of Life Sciences (IJLS)"-** ის სარედაქციო კოლეგიის წევრი (e-ISSN: 2550-6986, p-ISSN: 2550-69940 (ამერიკა); ასოც. პროფ. ლალი ელანიძე საერთაშორისო პრაქტიკული სამეცნიერო კონფერენციის **„ANN UAL INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE Food and Feed Technologies"** - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და **SCOPUS**-ის, **Web of Science**-ის ბაზებში ინდექსირებული ჟურნალის - **„Food Science and Tecnology"** სარედაქციო კოლეგიის წევრი; ასევე **2022-2023 წლებში ჟურნალის „European Journal of Agricultural and Rural Education" ISJ Theoretical & Applied Science; International Academy of Theoretical & Applied Sciences** (**Publishers International Linking Association (USA)) ISSN:** 2308-4944 SOI: 1.1/TAS DOI: 10.15863/TAS საორგანიზაციო ბორდის წევრი;

ასოც. პროფ. ალექსანდრე მოსიაშვილი და პროფ. ნუნუ გელდიაშვილი რეცენზენტებად თანამშრომლობენ საქართველოში გამომავალ საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალთან „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია", ჟურნალი ინდექსირებულია სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის მქონე რამდენიმე საერთაშორისო ბაზაში: ERIHplus; Sherpa Romeo; ISI; RESEARCHBIB; EUROPUB; CEEOL; WorldCat; EZB; ZDB;

აღსანიშნავია, რომ ასოც. პროფესორმა თამარ მიქელაძემ, განათლების მეცნიერებების მიმართულებით მოიპოვა ევროკავშირის სტიპენდია პროექტში - ქართველ მკვლევართა მობილობის პროგრამა; **კოდი:** Georgia's Researchers' Mobility Program, 2023 (57655523); (DAAD -ის ორგანიზებით და ევროკავშირის დაფინანსებით); 4.09.23-30.11.23; **ქვეყანა:** ნიდერლანდების სამეფო, რადბაუდის

უნივერსიტეტი, რადბაუდის მასწავლებელთა აკადემია (კვლევითი ინსტიტუტი); **კვლევითი პროექტის დასახელება:** უცხო/მეორე ენის მასწავლებელთა უნარების გადახედვა ხელოვნური ინტელექტით გაძლიერებულ საკლასო გარემოში.

უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სხვადასხვა კვლევითი აქტივობის შესრულებაში, როგორიცაა, მაგალითად: სადისერტაციო კოლეგიებში მონაწილეობა; სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ექსპერტობა და ოპონენტობა (მაგ.: პროფ. მანანა კევლიშვილი, პროფ. ნუნუ გელდიაშვილი, პროფ. მანანა ღარიბაშვილი, პროფ. ნინო კოჭლოშვილი, პროფ. მაგდა დავითაშვილი, პროფ. ნინო ნახუცრიშვილი, პროფ. თამარ ნადირაძე, პროფ. ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, პროფ. თეა მჭედლური; პროფ. ნინო მოდებაძე; ასოც. პროფ. ელენე ფილაშვილი, ასოც. პროფ. ნინო ვეფხიშვილი, ასოც. პროფ. ლევან შავაძე, ასოც. პროფ. მედეა ორმოცაძე).

საკმაოდ პროდუქტიული გახდა უნივერსიტეტის პროფესორთა მონაწილეობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, მაგ.: **„მეცნიერებათა ევროპული აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**, 2019 წლის 20-31 მაისი, გერმანია, ბონი (პროფ. მარიამ ხოსიტაშვილი, მოხსენება: „სხვადასხვა მცენარეული ნედლეულიდან ექსტრაქტის მისაღებად ოპტიმალური პირობების განსაზღვრა"; აგრარულ მეცნ. ფაკულტეტი); **„საერთაშორისო სამეცნიერო კვლევები მომავლის განვითარებისათვის"**, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ამერიკა, ნიუ-იორკი, 2019 წ. დეკემბერი (პროფ. მარიამ ხოსიტაშვილი, მოხსენება: „შავი კუნელის სპირტული წყლის ხსნარის კვლევა ანტოციანებისათვის და ხსნარის გამოყენების პერსპექტივები", აგრარულ მეცნ. ფაკულტეტი;); **Proceeding of International Conference on Scientific Endeavors and opportunities,** Georgia on 17th -18th March, 2021 www.econferenceglobe.com;(ასოც. პროფ. თეა ხოსიტაშვილი, მოხსენება: „GEORGIAN ABORIGINAL AND IMPORTED RED GRAPES PHENOLIC MATURITY INDEX AND ITS IMPACT ON RED WINE QUALITY"); **„Insights in Aquaculture and Biotechnology",** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, იაპონია, 2020წ. (ლალი ელანიძე, მოხსენება: „The stress-metabolite stilbenoids of grape skin saperavi variety (Vitisvinifera L.) in condition of Powdery mildew"; „VIII International Scientific and Practical Conference - **"DYNAMICS OF THE DEVELOPMENT OF WORLD SCIENCE"** -Vancouver, Canada 15-17 April 2020. P. 130-134 Vancouver, Canada. 2020. 999 p. ISBN 978-1-4879-3791-1(VIII საერთაშორისო სამეცნიერო -.პრაქტიკული კონფერენცია. ვანკუვერი, კანადა. 2020 წ. 5-7 აპრილი (პროფ. თამარ ნადირაძე, მოხსენება: „SPECIES OF GENUS PICEA INTRODUCED IN EASTERN GEORGIA"/ "აღმოსავლეთ საქართველში ინტროდუცირებულ გვარი ნაძვის სახეობები" e-mail: vancouver@sci-conf.com.ua; homepage: http://sci-conf.com.ua); **„კვლევა მეღვინეობის სფეროში კლიმატის ცვლილების პირობებში"**, შვედეთი, უფსალა, **11.12.2023 – 14.12.2023** (ასოც. პროფ. ლევან შავაძე, მოხსენება: კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საძირე ვაზის გამოყენების პოტენციალი და საძირე ვაზის სადედის თანამედროვე აგროტექნოლოგია, აგრარულ მეცნ. ფაკულტეტი); **ANNUAL INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE "Food and Feed Technologies";** Odesa National Technological University, Odesa National Academy of Food Technologies, უკრაინა, ოდესა, 26-28 სექტემბერი, **2023** (ლალი ელანიძე, მოხსენება: "The perspective of the use of biologically active substances of grapes in the production of bread products"/„ყურძნის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენების პერსპექტივა პურპროდუქტების წარმოებაში"); **International scientific and practical conference "Innovative technologies and implementation of the Zero-waste concept in food technology and the restaurant, hotel, and tourism business"**, Ukraine, Poltava, University of Economics and Trade, Department of Food Production Technologies and Restaurant Management, December 4-5, **2023** (ლალი ელანიძე, მოხსენება: "USE OF WASTE PLANT MATERIAL IN YEAST DOUGH TECHNOLOGY"/„ნარჩენი მცენარეული მასალის გამოყენება საფუვრიანი ცომის ტექნოლოგიაში"); **International Scientific-Practical Conference "GlobalScience and Innovations 2023: Central Asia".**
Astana, Kazakhstan. 10-15 April, **2023** (მაგდა დავითაშვილი, მოხსენება: Effectiveness of Cultivation in

Agaricus Genus Mushrooms /**Agaricus-**ის გვარის სოკოების კულტივირების ეფექტიანობა); **მეცხრე საერთაშორისო კონგრესი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (9 International Paris Congress on Social Sciences & Humanities**), პარიზი, საფრანგეთი (მონაწილეობა ონლაინ), 25-27 აგვისტო, **2023** (ეკატერინე ნახუცრიშვილი, ელენე ძამიაშვილი, მოხსენება: ALTERNATIONS IN TENSES WHILE CHANGING DIRECT INTO INDIRECT SPEECH IN ENGLISH AND GEORGIAN LANGUAGES (ACCORDING TO THE STORIES BY GEORGIAN AND ENGLISH WRITERS/გრამატიკული დროების მონაცვლეობა ინგლისურსა და ქართულ ენებში პირდაპირი ნათქვამის ირიბში გადაყვანის დროს (ქართველი და ინგლისელი მწერლების მოთხრობების მიხედვით); **International Scientific Conference `Privileged and Deprived~** April 20-21, **2023.** Blagoevgrad, Bulgaria (გიორგი გოცირიძე, მოხსენება: The Caucasus in the 20s-30s of the 20th Century: the First Clash of the Democratic World with Russian Bolshevism and Its consequences; **The 3rd International Conference on Language Teaching and Learning (ILTAL2023),** 1-3 დეკემბერი **2023,** The Education University of Hong Kong, ონლაინ (თამარ მიქელაძე, მოხსენება: Pre-service English teachers' reflection on the future of English teaching); "თანამედროვე სამეცნიერო კვლევების მეთოდიკა" XIX საერთაშორისო და პრაქტიკული კონფერენცია, უკრაინა, ხარკოვი 23-24 თებერვალი, ონლაინ **2023** (სალომე თათულიშვილი, მოხსენება: ელექტრონული სწავლების დიდაქტიკური კონცეფცია"; **2nd International Scientific Conference,** Berlin, Germany; Proceedings of the 2nd International Scientific Conference; ISBN 978-2-9003-7194-7, DOI 10.5281/zenodo.7882250; **2023;** April 27-28 (ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, მოხსენება: Challenges of Georgian Agriculture Sustainable Growth On The Sample Of Kakheti Region / ''საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები კახეთის რეგიონის მაგალითზე"); **2023** წელს შვედეთში, უფსალაში, საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოხსენებებით წარდგნენ პროფ. მანანა კევლიშვილი და ასოც. პროფ. ლევან შავაძე: „კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგრო ტექნოლოგიებზე" (მანანა კევლიშვილი); „კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საძირე ვაზის გამოყენების პოტენციალი და საძირე ვაზის სადედის თანამედროვე აგროტექნოლოგია" - კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული პრობლემები მევენახეობაში და მათი გადაჭრის გზების ძიება საძირე ვაზის აგრობიოლოგიური თავისებურებების გამოყენებით; საძირე ვაზის სადედეში ინოვაციური ფიტოტექნიკური ოპერაციების გამოცდის შედეგების გაზიარება (ლევან შავაძე).

ნაყოფიერი და წარმატებული იყო 2019-2023 წლები უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების თვალსაზრისით: მაგალითად, 2019 წელს უნივერსიტეტში ჩატარდა **V** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„კულტურათაშორისი დიალოგები"**, რომელიც მიეძღვნა უნივერსიტეტის **80** წლის იუბილეს; დაიბეჭდა შრომების კრებული; ასევე, 2019 წელს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით ჩატარდა II სამეცნიერო კონფერენცია **„ვისწავლოთ და ვიკვლიოთ ერთად"** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით); **2020 და 2022** წლებში ჩატარდა ონლაინ სამეცნიერო კონფერენციები: **„განათლება, კვლევა, პრაქტიკა", I, II** (განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით); **2024** წლის სექტემბერში დაგეგმილია რიგით მესამე კონფერენცია; **„აკაკი წერეთლის დაბადების 180 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია"**(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად **„პროფესორ ლაბაზ გუმაშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია"**; **„სტუდენტური და სკოლის მოსწავლეების სამეცნიერო გარემოსდაცვითი კონფერენცია"** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით); **„ენათა განვითარების აქტუალური ტენდენციები და პერსპექტივები გლობალურ მსოფლიოში"**, 16 აპრილი, **2021** წელი, (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით); **„თელავის ინოვაციური ტურისტული მარშრუტები",** 22 ივნისი, **2021** წელი (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით).

საკმაოდ წარმატებით ჩატარდა აგრეთვე ადგილობრივი ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები: პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა (**2021** წლის 15 ივლისი, **2022** წლის 6 ივლისი; **2023** წლის 7 ივლისი) და სტუდენტ ბაკალავრთა და მაგისტრანტთა (**2021** წლის 24 ივნისი,

2022 წლის 10 ივნისი; **2023** წლის 8 ივნისი); სტუდენტებს მოტივაციის ამაღლების მიზნით სერტიფიკატებთან ერთად გადაეცათ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები წიგნების სახით.

2021 წლის 29-30 ოქტომბერს უნივერსიტეტის ორგანიზებით შერეულ/ჰიბრიდულ რეჟიმში გაიმართა რიგით მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **,,კულტურათაშორისი დიალოგები".**

2021 წლის 28 მარტს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ორგანიზებით ჩაატარა დაგეგმილი **,,ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია"** (დაიბეჭდა შრომების კრებული).

2022 წლის 12-13 იანვარს უკრაინაში, ხარკოვში, სკოვოროდის სახელობის უნივერსიტეტში თესაუს თანაპარტნიორობით დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა XVIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც მონაწილეობდნენ თესაუს პროფესორ-მასწავლებლებიც (თ. თამარაშვილი, მ. ალადაშვილი, მ. ქებაძე).

2022 წლის 9 ოქტომბერს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ამერიკის მიკრობიოლოგთა საზოგადოება (ASM) მიერ დაფინანსებული ,,მეცნიერების პოპულარიზაციის პროექტის "მიკრობული სამყარო და ადამიანი" ფარგლებში, საქართველოს ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის საზოგადოებამ (GAGAM), თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანაორგანიზატორობით, გამართა ფორუმი მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის დარგში ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლების მიზნით (მ.დავითაშვილი, ლ. წიკლაური, ნ. ბაღათრშვილი).

2023 წლის 31 მარტს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „ახალგაზრდული ფორუმი - მდგრადი განვითარებისა და ევროინტეგრაციისათვის". ღონისძიება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები საქართველოს ორგანიზებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოში შვედეთის სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა და საქართველოს 12 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

2023 წლის 9 ივნისს უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტ ბაკალავრთა, მაგისტრანთა და მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია - ,,ოთარ ჭილაძე - 90" (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით).

2023 წლის 27-29 ოქტომბერს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა რიგით მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **,,კულტურათაშორისი დიალოგები".**

2023 წლის 2 ნოემბერს სტუდენტ ბაკალავრთა და მაგისტრანტთა ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია **,,ერეკლე მეორე და მისი ეპოქა"** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით)**;**

2023 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა ერთობლივი ეკო-საგანმანათლებლო მე-7 სამეცნიერო კონფერენცია - **„კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარება და ბიომრავალ ფეროვნება"** (აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ორგანიზებით)

2023 წლის 15 დეკემბერს, ტაშკენტის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თესაუს თანაპარტნიორობით დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ერთობლივი მულტიდისციპლინური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (NTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL ONLINE CONFERENCE ON "SCIENTIFIC-PRACTICAL INNOVATIVE FOUNDATIONS OF FIRE SAFETY AND PREVENTION OF SERIOUS CONSEQUENCES");

2023 წლის 20 დეკემბერს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით ჩატარდა მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია **„ვისწავლოთ და ვიკვლიოთ ერთად"** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით);

2023 წელს დაიგეგმა და 2024 წლის 9-11 თებერვალს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანაორგანიზატორობით ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ“.** 11 თებერვალს კონფერენციის მასპინძელი იყო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2024 წლის 8 ივნისს, უნივერსიტეტის ორგანიზებით, დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - **„ინოვაციები STEAM განათლებაში"** - ჩატარება (განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი).

კვლევის ნაყოფიერებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ნათელი დადასტურებაა აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა მიერ (მანანა კევლიშვილი, მზია ღაღოლიშვილი, ლევან შავაძე, სვიმონ ოხანაშვილი) **პატენტების მოპოვება: 1.** გამოგონება **„ვაზის შპალერი“** (სსიპ-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი, რეკვიზიტი P 2021 7225 B 10/02/**2021**); **2.** გამოგონება **„მცენარეთა სეტყვისაგან დამცავი მოწყობილობა”**; საქპატენტი, რეკვიზიტი P 2022 7416 B19/09/**2022**).

აღსანიშნავია, რომ GITA-ს ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში რეალიზაციისათვის დარეგისტრდა უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული პატენტი **„ვაზის შპალერი“** (მ. კევლიშვილი).

2023 წელს ასოც. პროფ. ლალი ელანიძეს პატენტის მოსაპოვებლად წარდგენილი აქვს განაცხადი, რომელიც განხილვის ბოლო ეტაპზეა - ობიექტის დასახელება: ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის წარმოების ხერხი (საქმის ნომერი: 16206/2 განაცხადის ნომერი AU 2023 16206).

2022-2023 წლების განმავლობაში, unicef-ის დაკვეთით განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალმა სხვადასხვა კვლევით აქტივობებში მიიღო მონაწილეობა. კერძოდ:

1) 2022 წლის შემოდგომის სემესტრში unicef-ის ოფისმა ჩაატარა ფართო მასშტაბის კვლევა საქართველოს უნივერსიტეტებში, რომლის მიზანი იყო UNICEF-ის პარტნიორი უნივერსიტეტების ბავშვთა უფლებების ცენტრებს ჩაეტარებინათ 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კვლევა. რადგანაც, საქართველოში, ახალგაზრდებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მასშტაბის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. ამ ინფორმაციის არარსებობის გამო, ძნელია იმის გარკვევა, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მომსახურება ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებებისა და უფლებების დასაცავად. ეს კვლევა სწორედ გამოწვევის საპასუხოდ დაიგეგმა. ოფისმა ფაკულტეტის ბავშვთა უფლებების ცენტრს გადმოუგზავნა 200 გამზადებული კითხვარი, რომლებიც სამიზნე ჯგუფს შეავსებინა ფაკულტეტის ორმა პერსონალმა. ანუ, ამ შემთხვევაში ფაკულტეტის მიერ ჩატარდა მხოლოდ საველე სამუშაოები(მათ მიერ სრულად დაფინანასდა), რომლის შემდეგაც შევსებული კითხვარები გადაიგზავნა unicef-ის ოფისში(ისევე , როგორც სხვა უნივერსიტეტებიდან). უნივერსიტეტების მიერ აღებული მონაცემები დამუშავდა, გაანალიზდა და გაზიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის სხდომაზე.

2) მეორე კვლევა, რომლის ფარგლებშიც განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტმა unicef-ის დაფინანსებით ჩაატარა, ასევე სამეცნიერო ხასიათს ატარებდა და მთლიანა დაიგეგმა, ჩატარდა, მონაცემები დამუშავდა და გაზიარებულ იქნა სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა(კონფერენციები) და ჟურნალებში.

2022 წელს unicef-მა გამოაცხადა სამეცნიერო პროექტების კონკურსი ასევე პარტნიორი უნივერსიტეტებისათვის, სადაც ფაკულტეტის მიერ წარდგენილი იქნა და დაფინანსდა პროექტი: ,, სსსმ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის კვლევა (თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების მაგალითზე)“, რომლის ხანგრძლივობად განისაზღვრა 3,5 თვე, ხოლო ბიუჯეტი: 8490 ლ.

კვლევაში მონაწილე და განმახორციელებლები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

კვლევის მიზანი იყო, შესწავლილიყო თელავის მუნიციპალიტეტში სსსმ ბავშვების ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესი და მათი ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

კვლევა მიმდინარეობდა 2022-2023წწ , ხოლო კვლევის შედეგები გაზიარებულ იქნა ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო კონფერენციებზე , ასევე ერთ-ერთი შედეგი სტატიის სახით დაიბეჭდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაღალრეიტინგულ ჟურნალში : Journal of Education in Black Sea Region Vol. 9, Issue 1, 2023, ,, Georgian Preschool Teachers' Attitudes Towards Inclusion",
Tamar Mikeladze, Nino Modebadze , Nino Nakhutsrishvili, Shorena Dzamukash

❖

კვლევის ნაყოფიერებისა და ნაშრომთა გამოქვეყნების შესაძლებლობის ზრდის, ასევე **კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით**, შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით, უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო შრომებს, კრებულებს (მაგ.: ,,თელავი - ისტორია და თანამედროვეობა" - დაიბეჭდა ოთხი წიგნი; ,,ალავერდის ნეკროპოლის წარწერები"; ,,თელავის ინოვაციური ტურისტული მარშრუტები", თესაუს ყოველწლიური სამეცნიერო შრომების კრებული; ,,ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია"...), რომლებიც შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ პერსონალს, უახლესი/თანამედროვე ლიტერატურით და, შესაბამისად, კვლევის ახალი შედეგებით გაამდიდრონ სასწავლო პროცესი.

❖ უნივერსიტეტის პერსონალისათვის პერიოდულად ტარდება **ტრენინგები**: მაგალითად: კვლევითი პროექტების წერის მეთოდოლოგიის შესახებ ჩატარდა ტრენინგი **,,როგორ დავწეროთ წარმატებული საპროექტო განაცხადი";** ავტორი: ნინო ინასარიძე; ა(ა)იპ ,,კვლევა და ინოვაცია ბიზნეს გადაწყვეტილებებისათვის" (RIBS); **2019** წელს უნივერსიტეტში ჩატარებულ V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,კულტურათაშორისი დიალოგები" ფარგლებში, ამერიკელმა მეცნიერმა, პროფესორმა შერლი ვეიდ მაკლოულინმა ჩაატარა ტრენინგი: **"Open Pedagogy – Looking forward the Future"; ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში",** ავტორი: (აა(ი)პ ასოციაცია მეცნიერებისათვის, ტრენერი, პრეზიდენტი თამარ ხახუტაშვილი, **2022წ**. **,,კვლევის მეთოდები მეცნიერებაში"**, ავტორი: პროფესორი (ემირიტუსი) ჯონ ვენდელი, დოკიოს უნივერსიტეტი, დოკიო, იაპონია, **2023წ.**

2024 წელს, უნივერსიტეტის აკადემიური და ფინანსური მხარდაჭერით, დაგეგმილია მეწარმეობისა და კვლევების კომერციალიზაციის მიმართულებით ამერიკის, ჯორჯ მეისონოს უნივერსიტეტის ექსპერტის **მართი კაჟუბოსვსკის (Marty Kaszubovski)** მოწვევა. იგი აღნიშნულ საქმიანობასთან ერთად დაეხმარება უნივერსიტეტს ამერიკის უნივერსიტეტებთან ურთიერთობების გაღრმავებაში.

❖

საუნივერსიტეტო პუბლიკაციების სტანდარტების განსაზღვრა/დახვეწისა და მაღალი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით უნივერსიტეტში დაინერგა რამდენიმე **ახალი მექანიზმი, კერძოდ:**

უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატიები მოწმდება პლაგიატზე (ტურნიტინის პროგრამა); კრებული გახდა რეფერირებადი, სტატიები ექვემდებარება ორმხრივ ფარულ (,,ბრმა") რეცენზირებას; ერთვის შედარებით ვრცელი, ორენოვანი აბსტრაქტები; სარედაქციო კოლეგია გაძლიერდა უცხოელი კოლეგებით; კრებული შედგენილია SCOPUS-ის კლასიფიკატორის მიხედვით; მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერიული ნომერი **ISSN 1512-0600** და **UDC (უაკ) 378.4 (479.221.2) + 001.891**;

2020 წლიდან ნომრისათვის გადაიდგა საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მიახლოების რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი:

ა/. შეიქმნა საიტი https://journals.4science.ge/index.php/TUW და მიენიჭა **E-ISSN 2667-9949**;

ბ/. **DOI** მიენიჭა, როგორც ჟურნალს https://doi.org/10.52340/tuw.2021.07.28, ასევე თითოეულ სტატიას;

გ/. შესაბამისად, კრებული ინდექსირდა რამდენიმე საერთაშორისო ბაზაში.

დ/. გარდა ამისა, ჟურნალი ინდექსირებულია **SJIFactor.com**-ში და ხაზგასასმელია, რომ **2020 წლის** მონაცემებით მისი **იმპაქტ ფაქტორი** შეადგენს **6.611**-ს, **2021**-ის **6.454**-ს, ხოლო **2022**-ის **6.302**-ს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია

(SJIF 2020: 6.611; 2021: 6.454; 2022: 6.302.) http://sjifactor.com/passport.php?id=20638).

2021 წლიდან საიტი აქვს და ასევე მინიჭებული **DOI** თესაუს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,კულტურათაშორისი დიალოგები VI"-ის **2021 წლის** გამოქვეყნებულ შრომების კრებულს (საიტი: https://journals.4science.ge/index.php/IDW; E-ISSN 2667-999X; ISSN: 2233-3401 ჟურნალის **DOI:** https://doi.org/10.52340/idw); კრებული ინდექსირდა რამდენიმე საერთაშორისო ბაზაში, ხოლო **2023 წლის** შრომების კრებული ინდექსირდა **SJIFactor.com**-ში (**Previous evaluation SJIF** 2023: 7.899), რაც შესაძლებლობას გვაძლევს, გავიგოთ მისი გავლენის ფაქტორიც.

ვფიქრობთ, ასეთი მექანიზმებით ნამდვილად ავიცილებთ თავიდან სწავლების პროცესში კვლევის სტანდარტებისადმი არასწორ გაგებას და ხელი შეეწყობა კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას.

❖

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, გააჩნია დოქტორანტის ხელმძღვანელის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფუნქციები, რომლის თანახმადაც, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კვლევითი კომპონენტის ხარისხიან, თანამიმდევრულ და ეფექტურ განხორციელებაზე; ნაშრომთა მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს ასევე აკადემიური დატვირთვის სქემა, სადაც დადგენილია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის საათობრივი ოდენობა (40 სთ. წელიწადში) და ხელმძღვანელისა და დოქტორანტის თანაფარდობა (1/3).

უნივერსიტეტს სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის მისაღწევად, დოქტორანტებისათვის შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლის მონაცემების ანალიზსა და განხილვას ახდენს აკადემიური საბჭო. შედეგების გათვალისწინება ხელს უწყობს სადოქტორო ნაშრომების მაღალ ხარისხს და ეფექტურ ხელმძღვანელობას.

სადისერტაციო ნაშრომების დაცვის მაღალი სტანდარტის მისაღწევად თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რომელშიც ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესის არსებობა უზრუნველყოფს ნაშრომების მაღალ ხარისხს.

უნივერსიტეტში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სტუდენტების კვლევითი/სადოქტორო ნაშრომების მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლადაც. კერძოდ, სააკრედიტაციოდ შემუშავდა შეფასების ახალ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სადოქტორო პროგრამა ,,გამოყენებით ეკონომიკაში", რომლის კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად ჩაებნენ უცხოელი კოლეგები სხვადასხვა ქვეყნიდან; პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით.

მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას უწყობს ხელს აგრეთვე აკრედიტებული ერთობლივი სადოქტორო პროგრამა (ოთხი უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ,,განათლების მეცნიერებებში";

ახალი სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა **,,სასურსათო ტექნოლოგიების"** სადოქტორო პროგრამა. მის განხორციელებაში, ნაშრომის შემფასებლად, სავალდებულოდ გათვალისწინებულ იქნა დარგის უცხოელი პროფესორის ჩართვა, მაგალითად: ვალენტინა ობრადოვიჩი, იოსიფ მესიკი (ხორვატია), ლორენცო ვენცი (იტალია); ჯორჯ ბინდერი (გერმანია) იყო თესაუ-ს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. დისერტაცია და ავტორეფერატი განთავსებულია ვებ. გვერდზე. ავტორეფერატის
ბმული: http://tesau.edu.ge/files/uploads/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98,%20%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,%20universitetis%20veb.gverdi.p

df

უნივერსიტეტს გააჩნია დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

ამდენად, დასახელებულმა მექანიზმებმა და განხორციელებულმა აქტივობებმა ნამდვილად შეუწყო ხელი უნივერსიტეტში კვლევის ნაყოფიერების ამაღლებას და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების ზრდას, რაც, თავის მხრივ, უდავოდ, აისახება სამეცნიერო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის განვითარებაზე რეგიონულ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი (tesau.edu.ge);
- თანამშრომლობის მემორანდუმ(ებ)ი დამსაქმებლებთან;
- სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია - ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა;
- მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის პროექტები;
- სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი;
- ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების დებულებები;
- საკონფერენციო პროგრამები;
- უცხოელ კოლეგებთან დადებული ხელშეკრულებები;
- მიწვევების / თანამშრომლობის დამადასტურებელი წერილები / ბრძანებები / ხელშეკრულებები / მემორანდუმი.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში;
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

აღწერა და შეფასება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამეცნიერო კვლევების წარმატებით, ეფექტურად, მაღალხარისხიანად განხორციელებისა და განვითარების მიზნით გააჩნია კვლევების მხარდამჭერი არაერთი მექანიზმი: უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები კვლევითი აქტივობებისათვის; უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად გამოიცემა საუნივერსიტეტო სამეცნიერო შრომები; ბიზნეს სექტორთან, ფონდებთან კვლევით დაწესებულებებთან/ცენტრებთან მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა კვლევების დაფინანსების ხელშესაწყობად; სისტემატურად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და იბეჭდება ნაშრომები; შესაძლებელია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში მობილობა და სხვა. კვლევების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები/რეგულაციები ასახულია მარეგულირებელ დოკუმენტებში (უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სამეცნიერო–კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ დებულება; სადისერტაციო საბჭოების დებულებები).

უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტია ისეთი კვლევების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, ხედვების, შემდგომი პერსპექტივების ჩამოყალიბებას და ორიენტირებულია კომერციალიზაციასა და სასწავლო პროცესში ინტეგრირებაზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ასევე გრანტების ადმინისტრირებას; აკადემიურ პერსონალს ეხმარება პროექტის სამართლებრივ საკითხებთან, განაცხადის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებულ საკითხებში.

კვლევების განვითარებისათვის უნივერსიტეტი ზრუნავს სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვისათვის. უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კვლევითი სტრატეგიაა, იზრუნოს მათთვის თავისუფალი სივრცის შექმნაზე, პროფილური და ინტერდისციპლინარული კვლევების განვითარებაზე. შესაბამისად, ცდილობს უზრუნველყოს თანამედროვე კვლევითი გარემო და სამეცნიერო კომუნიკაცია (როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო), რათა ახალგაზრდებს მიეცეთ ურთიერთობის, განვითარებისა და ახალი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა. უნივერსიტეტს აქტიური კავშირი აქვს ბიზნეს სექტორთან, კვლევით ცენტრებთან, გეგმავს ინიციატივებს, აფორმებს მემორანდუმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა დასაქმებასა და კვლევის შედეგების დანერგვა/კომერციალიზაციას.

სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში აქტიურად არიან ჩართულნი თავად ახალგაზრდები (სამეცნიერო ფორუმები; სამეცნიერო ფესტივალები; მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო პროექტები; საცდელი კვლევითი და სადემონსტრაციო ნაკვეთები; კვლევითი ლაბორატორიები; სეზონურ სკოლებში მონაწილეობა; უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში ნაშრომების პუბლიკაცია...); ახალგაზრდები წარმატებით იკავებენ აკადემიურ და სხვა თანამდებობებს (ასოცირებული პროფესორის; ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის...); მაგალითად, აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზევე;

სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში ინიციატივების მხარდაჭერის შესასწავლად შემუშავებულია კითხვარები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც უნივერსიტეტს გააჩნია სრულყოფილი სურათი ამ მიმართებით და მათზე დაყრდნობით წარმართავს შემდგომ საქმიანობას.

უნივერსიტეტისათვის, პრიორიტეტად იქცა 2018 წლის ავტორიზაციის შემდეგ ექსპერტთა მიერ **6.2.** სტანდარტში მოცემული რეკომენდაციების შესრულება. ამ მხრივ ერთ-ერთ მთავარ მიზნად და სტრატეგიად იქცა ისეთი მხარდამჭერი საქმიანობის განხორციელება, რომელიც იქნებოდა დაკავშირებული კვლევის განვითარების მკაფიოდ გამოხატულ გამოწვევებთან, კერძოდ, როგორიცაა: მეცნიერული კვლევებისადმი დაბალი ინტერესის ამაღლება; ახალგაზრდების დაინტერესება/ მოზიდვა და კვლევებში ჩართულობა; კვლევების ინტეგრირება უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში; უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის/კავშირების გაძლიერება.

რეკომენდაციებიდან გამომდინარე, სწორედ ამ გამოწვევებთან გამკლავებისათვის შემუშავდა და დაინერგა ან/და გაძლიერდა კვლევების მხარდამჭერი არაერთი, ზოგიც ახალი მექანიზმი:

- უნივერსიტეტმა საწარმოებიდან/კომპანიებიდან მოიწვია ახალგაზრდა, პრაქტიკოსი მკვლევრები, რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში (აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
- კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა და გაღრმავდა საწარმოებთან/კომპანიებთან კავშირები/ თანამშრომლობა (მაგ. კვლევით და პრაქტიკის კომპონენტს ხელმძღვანელობდა ფრანგი, ღვინის კომპანია ,,ჯივიესის“ გენერალური დირექტორი ფილიპ ლესლი ლაბაილეტი); 2024 წლიდან კი უხელმძღვანელებს ამ ეტაპზე გენერალური დირექტორის პოზიციაზე მყოფი გიორგი მოურავიძე;
- აკადემიური თანამდებობები დაიკავეს ახალგაზრდა დოქტორებმა/მკვლევრებმა, რამაც საშუალო ასაკი მკვეთრად გააუმჯობესა, ზოგადად, უნივერსიტეტში, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და დღეისათვის საშუალო ასაკი ნაცვლად 65-ისა, წარმოადგენს 50 -ს;

❖

გაიზარდა სამეცნიერო პროექტების შიდადაფინანსების მხარდაჭერა, რასაც ადასტურებს კიდეც ამ მიმართებით არსებული ბოლო წლების მაჩვენებლების დინამიკა, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

2018 წელს ბიუჯეტიდან გამოიყო **35000** ლარი, **2020 წელს - 70000** ლარი. 2019 - **65 000** ლარი, დამატებით სამეცნიერო ხარჯებისთვის 13 000 ლარი; ასევე 2020 წლის ბიუჯეტში, საკუთარი სახრებიდან, დამატებით სამეცნიერო ხარჯებისთვის გამოიყო - 25000 ლარი, ხოლო სესიების, კონფერენციების/სემინარების მოწყობისათვის - 14 000 ლარი; **2021 წელს** კვლევებისათვის ბიუჯეტი განისაზღვრა **165 000** ლარით (კვლევითი პროექტებისათვის 120 000 ლარი, დამატებით სამეცნიერო ხარჯებისათვის 45 000 ლარი), სამეცნიერო კონფერენციებისათვის - 16 000 ლარი); **2022** წელს კვლევებისათვის ბიუჯეტი განისაზღვრა **180 000 ლარით** (კვლევითი პროექტებისათვის 125 000 ლარი), დამატებით სამეცნიერო ხარჯებისათვის 45 000 ლარი, სამეცნიერო კონფერენციებისათვის - 16 000 ლარი; **2023 წელს** კვლევებისათვის ბიუჯეტი განისაზღვრა **180 000 ლარით** (კვლევითი პროექტებისათვის 125 000 ლარი), სამეცნიერო კონფერენციებისათვის - 16 000 ლარი, დამატებით სამეცნიერო ხარჯებისთვის 45 000 ლარი.

უნივერსიტეტის დაფინანსებით 2018-2019 წლებში შესრულდა სამი სამეცნიერო პროექტი; 2020-2021 წელს - ორი პროექტი (აგრარული მეცნიერებებისა და ტურიზმის მიმართულებებით: ,,კახეთის სამრეწველო და პერსპექტიული ვაზის ჯიშების სხვადასხვა სქემით განაშენიანების გავლენა ღვინომასალების ქიმიურ შედგენილობაზე“; ,,თელავი და ინოვაციური ტურისტული მარშრუტები“). 2021-2022 წლებში განსახორციელებლად დაფინანსდა ოთხი ინტერდისციპლინური პროექტი: **,,აღმზრდელ პედაგოგთა რეფლექსიის გავლენა ინკლუზიური განათლების ხარისხზე (თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მაგალითზე)“** (პროექტი განხორციელდა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ განათლების, საგანთა სწავლების მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით); **,,მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა ყურძნის პროდუქტიულობაზე“** (პროექტი განხორციელდა სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის მიერ მეღვინე ტექნოლოგის, მევენახისა, ნიადაგმცოდნისა და ქიმიკოსის, ასევე მაგისტრანტი სტუდენტების ჩართულობით); **,,ქართული მცირე პროზის ლიტერატურული და ლინგვისტური წახნაგები“** (პროექტი განხორციელდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტში ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა და სტუდენტთა ჩართულობით); **,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - ლეკები (ხუნძები- ავარები)”** (პროექტი განხორციელდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევების ცენტრის მიერ, სადაც ჩართულნი იყვნენ ისტორიის, ფილოლოგიისა და სოციალური მეცნიერების მიმართულების წარმომადგენლები).

2022 წელს პრიორიტეტული მიმართულებებისათვის კვლევების ხელშეწყობის მიზნითაა დაფინანსებული ასევე ინტერდისციპლინური და ინოვაციური ოთხი პროექტი, რომლებიც განხორციელდა 2023 წელს:

,,ვაზის თანამედროვე შპალერის მოწყობა" (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. პროფ. მანანა კევლიშვილი,

(პროექტი განხორციელდება აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მევენახის, ნიადაგმცოდნის, ქიმიკოსის, ტექნოლოგის, ასევე მაგისტრანტი სტუდენტების ჩართულობით); **,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - უდიები"** (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. თენგიზ სიმაშვილი, პროექტი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევების ცენტრის მიერ ისტორიის, ფილოლოგიისა და სოციალური მეცნიერების მიმართულების წარმომადგენლების მიერ); **,,ნიადაგის მიკრობიოცენოზის როლი კახეთის რეგიონში მუნიციპალური მყარი ნარჩენების ორგანული კომპონენტის კომპოსტირებაში"** (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. მაგდა დავითაშვილი, პროექტი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ბიოლოგიის, გეოგრაფიის და ეკოლოგიის მიმართულების სპეციალისტებია მიერ); **,,ვაზი და ღვინო - ქართული მენტალობის გამომხატველი კონცეპტები** (ლინგვოკულტურო ლოგიური ძიებები)" სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ნუნუ გელდიაშვილი, პროექტი განხორციელდა ჰუმანიტარულ და აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე ქართული და ინგლისური ფილოლოგიისა და მეღვინე ტექნოლოგების წარმომადგენელთა მიერ).

2023 წელს კვლევების ხელშეწყობის მიზნითაა დაფინანსებული ასევე ინტერდისციპლინური და ინოვაციური ხუთი პროექტი, რომლებიც განხორციელდება 2024 წელს:

პროექტებისათვის გამოყოფილი ზღვრული თანხის ოდენობა თითოეული მიმართულებისათვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

- აგრარული მეცნიერებები - **65000** (სამოცდახუთი ათასი) ლარი;
- განათლების მეცნიერებები -**20000** (ოცი ათასი) ლარი;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები - **20000** (ოცი ათასი) ლარი;
- კავკასიის შემსწავლელი კვლევები - **20000** (ოცი ათასი)ლარი
- ტურიზმის მიმართულება - **20 000** (ოცი ათასი) ლარი, მათ შორის **15 000** *(თხუთმეტი ათასი)* ლარი განისაზღვრა **დონორი ორგანიზაციის - „საქართველოს ბანკის“ მიერ, 5 000** (ხუთი ათასი) ლარი უნივერსიტეტის საკუთარი სახსრებიდან).

- **საირიგაციო წყლის ნორმების დადგენა ალუვიური ნიადაგისათვის კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფ. მანანა კევლიშვილი**

(პროექტი პრიორიტეტული მიმართულებისაა და ინოვაციური; იგი განხორციელდება აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მევენახის, ნიადაგმცოდნის, ქიმიკოსის, ტექნოლოგის, ასევე მაგისტრანტი სტუდენტების ჩართულობით);

- **დავით თურდოსპირელის თხზულებათა მეცნიერეულ-მასობრივი გამოცემა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფ. ნინო კოჭლოშვილი**

(პროექტი ფუნდამენტური, იტერდისციპლინური და ინოვაციურია; იგი განხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე ქართული (ენა, ლიტერატურა) და ინგლისური ფილოლოგიის დარგობრივი მიმართულებების წარმომადგენელების მიერ)

- **პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოც. პროფ. შორენა ძამუკაშვილი**

(პროექტი პრიორიტეტული მიმართულებისაა და წარმოადგენს ინოვაციურ კვლევას; იგი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე განათლებისა და საგნის სწავლების მეთოდიკების დარგობრივი მიმართულებების წარმომადგენელთა მიერ)

- **თელავის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლები - ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო (ისტორია და თანამედროვეობა)**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფ. თენგიზ სიმაშვილი**

(პროექტი ინტერდისციპლინური და ინოვაციურია; განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევების ცენტრის მიერ ისტორიის, ფილოლოგიისა და სოციალური მეცნიერების დარგობრივი მიმართულებების წარმომადგენლების მიერ);

- **„თელავის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ასოც. პროფ. მანანა ალადაშვილი**

(პროექტი პრიორიტეტული მიმართულებისაა და წარმოადგენს ინოვაციურ კვლევას; იგი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის, ისტორიისა და ეკონომიკის დარგობრივი მიმართულებების წარმომადგენლების მიერ).

უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით საქმიანი კავშირები აქვს საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან და ახორციელებს ერთობლივ კვლევით აქტივობებს. მაგ. იტალიაში, ტუშას უნივერსიტეტში, აგრარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილია ერთობლივი კვლევები ხორბლის კულტურაზე. ასევე, ესპანეთის სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა თანამშრომლობა ევროკომისიის მიერ

დაფინანსებული პროექტის - "უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის ურთიერთობა შვილობილი კომპანიების ქსელის მეშვეობით "UNISON" - განსახორციელებლად;

აგრარული მიმართულებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში (შემფასებლებად) მონაწილეობენ უცხოელი დოქტორები: ვალენტინა ობრადოვიჩი, იოსებ მესიკი (ხორვატია); ფილიპ ლესპი ლაბაილეტი (საფრანგეთი); ლორენცო ვენცი (იტალია).

2021 წელს, **Horizon 2020**-ის პროექტის -,,მეცნიერება კაპიტანია" - ფარგლებში, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, უნივერსიტეტში გაიხსნა კეთილმოწყობილი ევროპული სამეცნიერო სივრცე/ოფისი **(Horizon Europe)**, სადაც შესაძლებელია მკვლევრებმა იმუშაონ, როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ ინოვაციურ სამეცნიერო პროექტებზე.

მიმდინარე ეტაპზე, ოფისის მხარდაჭერით, 2023 წელს მომზადებული პროექტი - ,,**Innovative Growing of Resistant and Safe Wheat under Global Climate Change" - შეტანილ იქნა Horizon-ის** მიერ გამოცხადებულ კონკურსზე; პროექტის კოორდინატორია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მეორე სვეტის, მეექვსე კლასტერის კონკურსი: TOPIC ID: HORIZON-CL6-2024-FARM2FORK-01-4 (კლიმატის ცვლილება და სურსათის/საკვების უსაფრთხოება: კლიმატის ცვლილების გავლენა საკვების უსაფრთხოებაზე მთელს სურსათის სისტემაში); **თანაპარტნიორები:** Faculty of Tourism and Rural Development in Pozega (პოჟეგას პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, **ხორვატია)**; Mendel University in Brno (მენდელის უნივერსიტეტი ბრნოში, **ჩეხეთი)**; Swedish University of Agricultural Sciences (აგრარულ მეცნიერებათა შვედური უნივერსიტეტი, **შვედეთი);** Batumi Shota Rustaveli State University (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); University of Agricultural Sciences and Veterinary Medicine of Cluj-Napoca (კლუჟ-ნაპოკას აგრარულ მეცნიერებათა და ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტი, **რუმინეთი)**; Georgian Farmers' Association (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია);

გარდა ამისა, თესაუს თანაპარტნიორობით, თურქეთის გირესუნისა და ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტებთან ერთად, წარსადგენად მომზადდა კიდევ ერთი საგრანტო პროექტი კლიმატის ცვლილებისადმი თხილის მდგრადი კულტურის შექმნასთან დაკავშირებით **(Call: HORIZON-WIDERA-2023-ACCESS-07,** Topic: **HORIZON-WIDERA-2023-ACCESS-07-01, CORYLUS).**

კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ფინანსურად მხარდაჭერილ იქნა არაერთი პერსონალის საერთშორისო ფორუმებში მონაწილეობა და პუბლიკაცია, მაგალითად:

2022-2023 წლებში უნივერსიტეტის მიერ, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით, მხარდაჭერილ იქნა და დაფინანსდა შემდეგი აკადემიური აფილირებული პერსონალი:

ასოც. პროფ. ნინო გოგიაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; უნივერსიტეტმა 2022 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სრულად დააფინანსა მისი მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში;

ასოც. პროფესორი ნიკოლოზ სულხანიშვილი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი; უნივერსიტეტმა სრულად დააფინანსა 2023 წლის 27-30 აპრილს ქ. ერევნის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - ,,ევრაზიის ეკონომიკური ინტეგრაცია და მდგრადი განვითარება გლობალური ტრანსფორმაციის პირობებში", მისი მონაწილეობა;

ასოც. პროფესორი მაია ალადაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი; უნივერსიტეტმა სრულად დააფინანსა 2023 წლის 01-04 აპრილს ქ.ლარნაკაში (კვიპროსი) ერთობლივ საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ სამეცნიერო კონფერენციაში ,,თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების გარეშე", მისი მონაწილეობა;

ასოც. პროფესორი თამარ ჩიტოშვილი, სამართლის მიმართულება; მის მიერ წარდგენილმა პროგრამამ გაიარა საერთაშორისო კონკურსი და მიიღო მოწვევა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის მაქს

პლანკის სახელობის საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში ქალაქ ჰამბურგში. კვლევითი მუშაობისთვის განკუთვნილი პერიოდი მოიცავდა 2 თვეს 2023 წლის აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით. სამეცნიერო კვლევები განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით. ქალბატონ თამარ ჩიტოშვილს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაუფინანსდა მგზავრობის ხარჯები.

პროფ. ნინო კოჭლოშვილი, პროფ. ნუნუ გელდიაშვილი, ასისტ.პროფესორი მედეა მეტრეველი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) უნივერსიტეტმა სრულად დააფინანსა ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2023 წლის 2-4 ივნისს ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში **-,,ენა და კულტურა", VIII** - მათი მონაწილეობა და ნაშრომების პუბლიკაცია.

ასოც. პროფ. ნანა ბერძენიშვილი, აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; უნივერსიტეტმა სრულად დააფინანსა 2023 წლის 23-25 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში, გელათის მეცნიერებათა აკადემიაში წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვანის (ყუმურის) ბაზაზე ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში ,,ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები", მისი მონაწილეობა;

პროფ. მაგდა დავითაშვილი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი; უნივერსიტეტმა სრულად დააფინანსა 2023 წლის 3-7 ივლისს ქალაქ თბილისში, საქართველოს ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაციისა და გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში ,,მიკრობთა ვირუსები", მისი მონაწილეობა.

კვლევების ინტერნაციონალიზაციას ემსახურებოდა ასევე, **2023** წლის 1-6 ოქტომბერს, შვედური ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული პროექტის - ProGriCC-ის („ყურძნის მოყვანა ცვალებად კლიმატურ პირობებში") - ფარგლებში, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილი **„ზამთრის სკოლის" კვირეული.** მეცნიერებმა, მკვლევარებმა, დოქტორანტებმა და ღვინის წარმოების სპეციალისტებმა: შვედეთიდან, სომხეთიდან, გერმანიიდან, ჩეხეთიდან, იტალიიდან და საქართველოდან ერთმანეთს გაუზიარეს მსოფლიო კლიმატის ცვალებადობასა და ყურძნის მოყვანა-ღვინის წარმოებაზე მისი გავლენის შესახებ არსებული კვლევები და შედეგები.

- მოტივაციის ამაღლებისათვის უნივერსიტეტმა გააქტიურა მუშაობა სხვადასხვა მექანიზმით (ინფორმირება, კონსულტირება, დაფინანსება) ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეების სამეცნიერო აქტივობებში/კვლევებში ჩართულობის/მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით (მაგ.: კვლევითი პროექტები, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები, ტრენინგები, პუბლიკაციები, კონკურსები, სამეცნიერო ვიქტორინა ტექნოპარკის სივრცეში მოსწავლეთათვის; სტუდენტთა კვლევითი პროდუქციის (ღვინო, ყველი) გამოფენა-პრეზენტაციები; სამეცნიერო ფესტივალების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები და სხვა).

აღსანიშნავია, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2023 წლის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსში" გამარჯვება მოიპოვეს და კვლევები სრულად დაუფინანსდათ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებს:

- **სიდონაშვილი სოფიკო**, „მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო -პროგრამის II კურსის სტუდენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ნინო ვეფხიშვილი**

- **ბაღდადელიშვილი დიანა,** „ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II - კურსის სტუდენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი **ნუნუ გელდიაშვილი**

- **ხუტიძე სოფო,** „მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II - კურსის სტუდენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი **მანანა კევლიშვილი**

მიღწეული წარმატების, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურობისა და შემდგომში სამეცნიერო კვლევებისადმი მოტივაციის ამაღლების მიზნით, სამივე მაგისტრანტს გამოეცხადა მადლობა რექტორის ბრძანებით.

2022-2023 წლებში ახალგაზრდა მკვლევრებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, მაგალითად:

- პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა ყოველწლიური **XXV (81-ე)** სამეცნიერო კონფერენცია (2023 წელი, 7 ივლისი; თესაუ)
- სტუდენტ ბაკალავრთა და მაგისტრანტთა **XXVII (82-ე)** სამეცნიერო კონფერენცია (2023 წელი, 8 ივნისი; თსაუ)
- სტუდენტ ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო ფორუმი ,,**ერეკლე მეორე და მისი ეპოქა“** (2023 წელი, 7 ნოემბერი, თესაუ)
- სტუდენტთა,მოსწავლეთა და ახალგაზრდა მკვლევართა ფორუმი **„ვიკვლიოთ და ვისწავლოთ ერთად“** (2023 წელი, 20 დეკემბერი, თესაუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით)
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **,,კულტურათაშორისი დიალოგები“, VII** (2023 წლის 27-29 ოქტომბერი, თესაუ)

  *თესაუს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის **დოქტორანტ ქეთევან არჩაიას** მონაწილეობა და ნაშრომის პუბლიკაცია სრულად იქნა უზრუნველყოფილი თესაუს მიერ.*
- 2023 წლის 19-20 მაისს, ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა **მაგისტრანტთა და დოქტორანტთა XV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია** ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით, სადაც მონაწილეობა მიიღეს თესაუს ,,ლინგვისტიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის მაგისტრანტებმა დიანა ბაღდადელიშვილმა და მარიამ ჯიშკარიანმა (ხელმძღვანელები: პროფ. ნუნუ გელდიაშვილი; პროფ. მანანა ღარიბაშვილი); **მათი მონაწილეობა (მგზავრობა, დღიური ხარჯი) სრულად დაფინანსდა თესაუს მიერ;**
- 2023 წელს ჩატარდა კვების ტექნოლოგიების ოდესის ეროვნული აკადემიის მიერ ორგანიზებული სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო კონკურსი/კონფერენცია „შავი ზღვის მეცნიერება 2023“, სადაც ეკოლოგიის და გარემოს დაცვის მიმართულებით მონაწილეობა მიიღეს თესაუ-ს შემდეგმა სტუდენტებმა:
- **ბექხან უმარაშვილი,** ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტი (თანაავტორები: ოდესის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი ქრისტინა მალიჩკოვიჩი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო ლომინაძე)., „ნაგავსაყრელების ფილტრატების დამუშავება ბიოლოგიური მეთოდით“. წარდგენილმა სამეცნიერო ნაშრომმა საერთაშორისო კონკურს „შავი ზღვის მეცნიერება 2023“ პირველი ადგილი დაიმსახურა.
- **ნინაკა ბერძენიშვილი,** ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტი. „მდინარე ილტოს კლიმატის ცვლილების სცენარი“. წარდგენილმა სამეცნიერო ნაშრომმა საერთაშორისო კონკურს „შავი ზღვის მეცნიერება 2023“ მეორე ადგილი დაიმსახურა.
- **ბექხან უმარაშვილი,** ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტი. „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქის ანაერობული გაპოხიერების პარამეტრების ოპტიმიზაცია ღვინის წარმოების ნარჩენებით მეტი ბიოგაზის მისაღებად ტიპიურ ბიოგაზის დანადგარზე“ წარდგენილმა სამეცნიერო ნაშრომმა საერთაშორისო კონკურს „შავი ზღვის მეცნიერება 2023“ მესამე ადგილი დაიმსახურა.
- 2023 წლის 18 მაისს ჩატარდა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული „სტუდენტთა VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“. სხვადასხვა უნივერსიტეტების

სტუდენტებთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგმა სტუდენტებმა:

- **გიორგი იუკურიძე,** ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტი. ფრთალაქიანი დროზოფილას (*Drosophila suzukii*) ფერომონიანი ხაფანგებით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები კახეთის რეგიონის სამიზნე კულტურებში.
- **ნანა ჩეკურიშვილი.** ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტი. მდინარე ალაზნის ეკო-ტოქსიკოლოგიური შეფასება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულზე. ხელმძღვანელები: პროფესორი მაგდა დავითაშვილი, ასისტენტ პროფესორი დარეჯან მარგალიტაშვილი.
- **სალომე მარგალიტაშვილი,** ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტი. კლიმატური პარამეტრების ცვალებადობის დინამიკის შეფასება. VII სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
- **2023 წლის 10 ივნისს** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა მე-11 საერთაშორისო კონფერენცია. თესაუ-დან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსის სტუდენტებმა ცისანა კოლოტაძემ და თამარ ნონიაშვილმა საკონფერენციო ნაშრომით - „წითელასა და წითურას ელიმინაციის გზები“.

****

სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ 2023 წელს თესაუს დაფინანსებით განხორციელებული შემდეგი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებაში:

- **„ნიადაგის მიკრობიოცენოზის როლი კახეთის რეგიონში მუნიციპალური მყარი ნარჩენების ორგანული კომპონენტის კომპოსტირებაში“.**

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები: **ცისანა კოლოტაძე, სალომე მარგალიტაშვილი, გაგა გარგელიძე, ბექხან უმარაშვილი**

- **,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - უდიები“**

  პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: **გენო ხვიჩავა,** ისტორიის სპეციალობის II კურსის სტუდენტი; **გოგა მთვარელიშვილი,** მასწავლებლის 60 კრედიტიანი პროგრამის სტუდენტი და **თამარ ღურწკაია,** ახალგაზრდა მკვლევარი, თელავის უნივერსიტეტის მოწვეული მსაწავლებელი, დოქტორანტი

- ტურიზმის მიმართულებით მიმდინარე პროექტის - **„თელავის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“** განხორციელებაში ჩართულნი არიან ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტები: **1.ანა უბილავა 2. ნინო იმერლიშვილი 3. მარიამ ქოჩორაშვილი. 4. ანა წიგნაძე**

გაძლიერდა ფართო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმი უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შესახებ (მოეწყო პრეზენტაციები, ჩატარდა საჯარო ლექციები, როგორც უნივერსიტეტის, ისე სამუზეუმო სივრცეში; 2019 წელს გადაღებულ იქნა ვიდეო რგოლი ,,სამეცნიერო პიკნიკი - 2019“; სამეცნიერო აქტივობების დიდი ნაწილი გაშუქდა ტელევიზიით); გარდა ამისა, მოტივაციის ამაღლებისა და უნივერსიტეტის ცნობადობის/კონკურენციის გაზრდის მიზნით 2020 წელს გადაღებულ იქნა თესაუსა და თესაუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო და მასზე დაფუძნებული კომერციული მიღწევების ამსახველი სამი ვიდეო რგოლი (https://www.facebook.com/plugins/video.php?height=314&href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fmtavariambebikakhetidan%2Fvideos%2F1769062259937961%2F&show_text=false&width=560&t=0; https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Ftesau.edu.ge%2Fposts%2F3473705296016685&show_text=true&width=500;

https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Ftesau.edu.ge%2Fposts%2F3473694762684405&show_text=true&width=500);

აგრეთვე 2019 წლის დასასრულს გამოქვეყნდა სპეციალური ჟურნალი **„იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,** რომელშიც ფართოდ აისახა უნივერსიტეტის მიღწევები და სამომავლო ამოცანები.

აღსანიშნავია, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ნაკვეთზე გაშენებული ახალშენი ვენახიდან 2020 წელს მიღებული თეთრი ღვინის ჩამოსასხმელი ბოთლის ეტიკეტის შექმნისათვის უნივერსიტეტმა საჯაროდ გამოაცხადა კონკურსი; რამაც ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

ყოველივე ამან, ზოგადად, საგრძნობლად გაზარდა ახალგაზრდების დაინტერესება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა, განსაკუთრებით კი, აგრარული მიმართულებისადმი.

კვლევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში დაინერგა **კვლევების შედეგების კომერციალიზაციის - საწარმოებში დანერგვის მექანიზმი,** მაგალითად: ღვინის კომპანია ,,შუმში“ დაინერგა ასოცირებული პროფესორის ნინო ვეფხიშვილის მიერ სტუდენტებთან ერთად შემუშავებული ,,ჩურჩხლის თანამედროვე ტექნოლოგია“, რაზეც კომპანიამ, ნინო ვეფხიშვილთან ერთად, მოიპოვა პატენტი; გერმანულ ღვინის კომპანია ,,შუხმანში“ დაინერგა როლანდ ბურდიაშვილის სადოქტორო კვლევის შედეგები (,,ნაფარეულში მოყვანილი შარდონეს ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობები); საკუთარ საწარმოში - ,,ნაფარეულის ტყუპების ღვინის მარანი“- გია გამტკიცულაშვილმა დანერგა სადოქტორო კვლევის შედეგად მიღებული სიახლეები (,,ქვევრის შემადგენელი თიხამასალების გამოკვლევა და მათი გავლენა ღვინის ხარისხზე“); შპს ,,სუბკულტურაში“ დაინერგა პროფ. მარიამ ხოსიტაშვილის საავტორო ზედამხედველობით ,,თაფლის ღვინისა“ და ,,თაფლის არყის“ წარმოება; მეღვინეობა-მევენახეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებმა, 2023 წელს, თავიანთ მიერ შემუშავებული თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით დაამზადეს (და უკვე მიმოქცევაშია) სხვადასხვა სახის ღვინოები - ნიკა აზნიაშვილმა საკუთარ საწარმოში; ნინო ჯავახიშვილმა - გორის ,,ხარებაში“, ხოლო გიორგი ერგემლიძემ - შპს ,,ბატონოში“.

2023 წელს, ასოც. პროფესორ ლალი ელანიძის კონსულტაციით შპს ,,მზეთამზე - გემოვანი პურის“ საწარმოში დაინერგა მის მიერ შემუშავებული თანამედროვე/ინოვაციური ტექნოლოგიით (საფერავის ღვინისა და ყურძნის წიპწის ფქვილის გამოყენებით) პურის ახალი სახეობა.

❖

კვლევითი შესაძლებლობების განვითარების ხელშესაწყობად უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, მაგალითად:

- **21.12.2023** წ. **საინფორმაციო შეხვედრა** მიმდინარე და დაანონსებული კონკურსების შესახებ ჰორიზონტი ევროპას ჩარჩო პროგრამის ფარგლებში (Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის კოორდინატორი, დოქტორი ქეთევან შაშვიაშვილი)
- **2023 წლის 28 ოქტომბერს** უნივერსიტეტის ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენციის - ,,კულტურათაშორისი დიალოგები“ - ფარგლებში, აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი: **,,კვლევის მეთოდები მეცნიერებაში“ ავტორი: პროფესორი ჯონ ვენდელი, დოკიოს უნივერსიტეტი, დოკიო, იაპონია**
- **2023 წლის 9 მარტი,** ტრენინგი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსების და GMUS-ის სისტემაში რეგისტრაციის შესახებ (ავტორები: პროფ. ნუნუ გელდიაშვილი და Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის კოორდინატორი, დოქტორი ქეთევან შაშვიაშვილი);
- **2022 წლის 11.07-2022-17.07.2022წ.** - კვლევითი შესაძლებლობების განვითარების ხელშესაწყობად უნივერსიტეტის ორგანიზებით აკადჯერიმიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი: **,,საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში“,** ტრენერი: ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი თამარ ხახუტაშვილი

- **2021 წ.** ოქტომბერი - ,,პიროვნების ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის მეცნიერული ასპექტები"; ავტორი: პროფესორი ნონა ახალაშვილი
- **2021 წ.** ივლისი - ,,კვლევის მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება (მომხმარებლის ტრენინგი); ავტორი: თარაშ გიორგაძე (Erasmus+ პროგრამის ინსტიტუციური განვითარების პროექტის ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა (Raising Research Capacity of Georgian HEIs Throught Developing R&D Units (HERD)" (N1688) ფარგლებში.
- **2019 წ.** ოქტომბერი - ,,კვლევის პრაქტიკული მეთოდების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში"; ავტორი: პროფესორი ლელა აბდუშელიშვილი
- **2019 წ.** სექტემბერი - ,,კვლევითი პროცესების იმპლემენტაცია ,,MOODLE-LMS-ის გარემოში"; ასოც.პროფ. მარიამ ზაქარიაშვილი
- **2018 წ.** ნოემბერი - ,,როგორ დავწეროთ წარმატებული საპროექტო განაცხადი"; ავტორი: პროფესორი ნინო ინასარიძე; ა(ა)იპ ,,კვლევა და ინოვაცია ბიზნეს გადაწყვეტილებებისათვის" (RIBS)

❖

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ბიბლიოთეკის დებულებით; უნივერსიტეტი ბიბლიოთეკის უკეთ ფუნქციონირების მიზნით გეგმავს და ქმნის აუცილებელ პირობებს; მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას; უზრუნველყოფს მის ხელშეუხებლობას, საქართველოში მოქმედი საბიბლიოთეკო კანონმდებლობის შესაბამისად; ზრუნავს ბიბლიოთეკის განვითარებაზე; უქმნის მას საბიბლიოთეკო პროცესების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებისა და განვითარების პირობებს.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაგეგმილი და შექმნილი კომფორტული გარემო, სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის არსებული შესაბამისი რესურსები, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და მომსახურების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების პერიოდული განახლება ხელს უწყობს უნივერსიტეტის თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურების მუდმივ და მზარდ განვითარებას.

***EIFL-ის** კონსორციუმის დახმარებით, თესაუ-ში მიმდინარე საერთაშორისო პროექტის „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით/უმაღლესი განათლების ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე" **(HERD)** ფარგლებში მოხდა **OXFORD**-ის ელექტორნული წიგნების შესყიდვა ერთწლიანი სარგებლობის შესაძლებლობით შემდეგ მიმართულებებზე:*

განათლება - https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:education

ლინგვისტიკა - https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:linguistics

გარემოს დაცვითი მიმართულება, ეკოლოგია - https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:environmentalScience

2023 წელს **EIFL-ის** მონაცემთა ბაზებს დაემატა ერთი ახალი ბაზა:

ACM Digital Library - https://dl.acm.org/ - საინფორმაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება.

2023 წელს უნივერსიტეტის მიერ შეძენილი იქნა **HEINONLINE** სამართლის მონაცემთა ბაზა - https://heinonline.org/HOL/Welcome (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

ასევე 2023 წელს, **ელექტრონული წიგნების (oxford university) ბაზას** დაემატა კიდევ 3 დარგი:

ბიზნესი და მენეჯმენტი
https://global.oup.com/academic/category/social-sciences/business-and-management/?lang=en&cc=ge

ეკონომიკა
https://global.oup.com/academic/category/social-sciences/economics/?lang=en&cc=ge

ფინანსები

https://global.oup.com/academic/category/law/financial-law/?lang=en&cc=ge
უნდა აღინიშნოს, რომ თესაუ მეორე ადგილზეა საქართველოში, როგორც **EBSCO**-ს ბაზების აქტიური მომხმარებელი.
2024 წლისათვის თესაუ-ს მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია არაერთი საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: (იხ. 7.2 სტანდარტი).

❖

სტრატეგიული პრიორიტეტების (აგრარული მეცნიერებები; ტურიზმი, განათლება) მიმართულებით, საერთშორისო კვლევითი საქმიანობის კავშირების მოძიება-გაფართოებისა და ინტერნაზიონალიზაციის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტმა დასახა კიდევ სხვა რამდენიმე მხარდამჭერი ამოცანა, კერძოდ: უცხოელი კოლეგების აქტიური მონაწილეობით სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და მათი კვლევით კომპონენტში მონაწილეობა; კვლევითი ვიზიტებისა და მობილობების განხორციელება - სხვების გამოცდილების შესწავლა და საკუთარი კვლევითი შედეგების უცხოელი კოლეგებისათვის გაზიარება:

❖ კვლევითი პოტენციალის ინტერნაციონალიზაციისთვის უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს **პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების ჩართვაზე თესაუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებში.** კერძოდ, გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში აქტიურადაა ჩართული ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტის (Vitaglobal) ფარგლებში პარტნიორი უნივერსიტეტის როვირა ი ვირჯილის (ესპანეთი) პროფესორი ჯოზეფ-მარია არაუზო-კაროტი (University of Rovira I Virgili- Josep-Maria Arauzo-Caroti.), სამხრეთ აფრიკის ქეიპ პენინსულას უნივერსიტეტის პროფესორი ელა ქრისტინა ჰოუტი (Ella Christina Hought- Cape Peninsula University of Technology, South ASfrica) და ლაურა ანდრეა გოლოვანევსკი. (Universitdad National de Jujuy, Argentina-Laul Enrique Llobeta and Laura Andrea Golovanevsky).

ახალი სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა **,,სასურსათო ტექნოლოგიების"** სადოქტორო პროგრამა, რომლის კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში შემფასებლებად სავალდებულოდაა გათვალისწინებული უცხოელი პროფესორების ჩართვა. აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტ ვანო შიუკაშვილის ნაშრომის თანახელმძღვანელი იყო გერმანელი პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გეორგ ბინდერი (თემა: ,,პექტინოვანი ნივთიერებების დაგროვების დინამიკა ყურძენში და მათი გავლენა ტკბილისა და ღვინის ხარისხზე"), დაცვა შედგა 2019 წელს.

უნივერსიტეტი ჩართული იყო **,,VITA CLOBAL"-ის** საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც მომზადდა **,,მევენახეობა და მეღვინეობის"** სამაგისტრო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია მიიღო და რომელიც, უდავოდ, შეუწყობს ხელს მობილობასა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვას აგრარული მიმართულებით.

ხაზგასასმელია, რომ პირველად თელავის უნივერსიტეტი ერთობლივი ერსმუს+ სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული წევრია. **ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო ღვინის ტურიზმი" WINTOUR.** პროგრამა 3 უძლიერესი უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება: ესპანეთის როვირა ე ვირჯილის უნივერსიტეტი, საფრანგეთის ბორდოს უნივერსიტეტი და პორტუგალიის პორტოს უნივერსიტეტი. პროექტი მოიცავს ექვს წელს.

მიმდინარე ეტაპზე ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამასთან აქტიურად თანამშრომლობს **ჯონ ნიკერსონ ვენდელი (John Nickerson Wendel)** - თესაუს მოწვეული დოქტორი; ემირიტუსი პროფესორი, დოკიოს უნივერსიტეტი, დოკიო, იაპონია. იგი 2023-2024 ს/წ (შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრები) - ატარებს ლექციებს კვლევის მეთოდებსა და ლინგვისტიკის მიმართულებით. ასევე კონსულტაციას გაუწევს მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაში. გარდა ამისა, მისი თანაავტორობით

(მ. ღარიბაშვილი, ნ. გელდიაშვილი) მზადდება სამეცნიერო ნაშრომი შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიმართულებით ბიზნეს ლექსიკის თავისებურებებთან დაკავშირებით;

უნივერსიტეტში იმყოფება ასევე ჯერი ბლაითფილდი - დოქტორი; თესაუში მშვიდობის კორპუსის მოხალისე, რომელიც იყო სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის თანახელმძღვანელი პროფ. მანანა ღარიბაშვილთან ერთად სამეცნიერო კონფერენციაში - ,,სკოლა და უნივერსიტეტი IV" - „ვიკვლიოთ და ვისწავლოთ ერთად"; **2023 წლის 20 დეკემბერი.**

კვლევითი ვიზიტებისა და მობილობის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მექანიზმია უნივერსიტეტისათვის, რათა იყოს კონკურენტული და მეტად მოიზიდოს ახალგაზრდა კადრი. ამის დადასტურებაა აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის მანანა კევლიშვილის, ასოცირებული პროფესორების ლევან შავაძის, ნინო ვეფხიშვილისა და პრაქტიკოსი მკვლევრის, ასოც. პროფესორის თეა ხოსიტაშვილის ვიზიტი რუმინეთში, სადაც ისინი, თავიანთი პრეზენტაციებისა და ლექციების ჩატარების გარდა, გაეცნენ იქაურ კვლევით შესაძლებლობებსა და კვლევითი საქმიანობის სფეროებს/მიღწევებს სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით.

ასოც. პროფესორმა თამარ მიქელაძემ, როგორც მკვლევარმა განათლების მეცნიერებების მიმართულებით მოიპოვა ევროკავშირის სტიპენდია პროექტში - ქართველ მკვლევართა მობილობის პროგრამა; **კოდი:** Georgia's Researchers' Mobility Program, 2023 (57655523); დამფინანსებელი: ევროკავშირი; 4.09.23-30.11.23 **ქვეყანა:** ნიდერლანდების სამეფო, რადბაუდის უნივერსიტეტი, რადბაუდის მასწავლებელთა აკადემია (კვლევითი ინსტიტუტი); **კვლევითი პროექტის დასახელება:** უცხო/მეორე ენის მასწავლებელთა უნარების გადახედვა ხელოვნური ინტელექტით გაძლიერებულ საკლასო გარემოში. კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი სამაგიდე კვლევა: ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა (მასწავლებელთა AI კომპეტენციის ჩარჩოების კვლევა: კრიტიკული მიმოხილვა) და ლიტერატურის სისტემური ანალიზი (უცხო/მეორე ენის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი უნარების კვლევა ხელოვნური ინტელექტით გაძლიერებულ საკლასო გარემოში). რადბაუდის მასწავლებლთა აკადემიის სტუდენტთა კვლევაში ჩართულობის გაზრდით მიზნით მკვლევარმა მოამზადა სტრატეგიული დოკუმენტი რადბაუდის მასწავლებელთა აკადემიისთვის „როგორ ავუმაღლოთ სტუდენტებს კვლევაში ჩართულობის მოტივაცია".

თესაუს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 2021 წლის 17 მაისს, ხარკოვის გ. სკოვოროდას სახელობის ეროვნულ პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საერთაშორისო ,,მრგვალი მაგიდა"-ში, რომელიც უკრაინაში მიმდინარე სამეცნიერო კვირეულს მიეძღვნა და ონლაინ-რეჟიმში ჩატარდა. http://tesau.edu.ge/siaxleebi1/1927-saertashoriso-mrgvali-magida-da--ukrainashi-mimdinare--samecniero-kvireuli.html დისკუსიის დროს, რომლის თემა „პედაგოგიური მეცნიერებისა და სკოლამდელი განათლების განვითარების მსოფლიო ტენდენციები და პრობლემები" იყო, სკოლამდელი საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული მოსაზრებები გამოიკვეთა. ,,მრგვალ მაგიდაში" მხარეებმა სამომავლო სასწავლო და სამეცნიერო თანამშრომლობისა და შეხვედრების რეგულარულად გამართვის სურვილი გამოთქვეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ დებულება
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ხელშეკრულებები/ბრძანებები;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი (tesau.edu.ge);
- სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის დადასტურების დოკუმენტაციის ნიმუშები;

- ელ. ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების ხელშეკრულებები უნივერსიტეტთან.

https://ec.europa.eu/info/funding-tenders/opportunities/portal/screen/myarea/proposals

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

აღწერა და შეფასება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად გამოყენებულია შეფასების შიდა და გარე მექანიზმები.

გარე შეფასებისათვის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები ყოველწლიურად იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მიმართულებების/ დეპარტამენტების მიხედვით; შეფასების შედეგები/დასკვნები განიხილება დეპარტამენტებისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე. შესაბამისად, შემდგომ, რეკომენდაციების გათვალისწინებით, უფრო ეფექტურად იგეგმება სამომავლო საქმიანობა.

აგრარული მიმართულებით განხორციელებული კვლევების გარე შეფასებაში მონაწილეობს აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. გარეშეფასების დასკვნებმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის შეფასების მაჩვენებელი დინამიურად უმჯობესდება. მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის კვლევითი საქმიანობა ნაცვლად ,,ძალიან კარგისა“, შეფასებულია ,,მაღალ დონეზე“; შეფასება ,,კარგი“ აქვს სტრატეგიულად პრიორიტეტულ მიმართულებასაც - ,,ეკონომიკისა და ტურიზმის“ დეპარტამენტს. სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის კვლევითი საქმიანობის გარეშეფასება, 2019-2022 წლებში, ეროვნული სამეცნიერო აკადემიის გარდა, ასევე განახორციელა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამაც, რომელმაც ასევე ძალიან კარგი შეფასება მისცა ჩვენს უნივერსიტეტს.

უახლოეს პერიოდში ველოდებით ეროვნული სამეცნიერო აკადემიის 2023 წლის დასკვნას, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება ანგარიშის ანალიზი, გაიცემა რეკომენდაციები და შემდეგ ჩატარდება მონიტორინგი.

შიდა შეფასებისათვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი და სისტემა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შიდაშეფასების წესს, შეფასების მექანიზმებსა და შემდგომი რეაგირების პროცედურებს; დოკუმენტი წარმოადგენს უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის, შეფასებისა და კვლევითი შედეგების/ პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად შემუშავებულ შეფასების შიდა მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესებას, მაღალი/საერთაშორისო კვლევითი სტანდარტებისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრებას, რაც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ფაკულტეტის და, ზოგადად, უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას, პოპულარიზაციას და კონკურენტუნარიანობას. ასევე, შიდაშეფასებისათვის, დეპარტამენტის ხელმძღვანელები ანგარიშს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, წარუდგენენ რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.

ავტორიზაციის შემდგომ, კვლევითი საქმიანობის შეფასების შესახებ რეკომენდაციების შესასრულებლად და კვლევითი შედეგების გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა განახორციელა რამდენიმე ქმედითი ღონისძიება. მაგალითად: **დაიხვეწა და გაუმჯობესდა შიდაშეფასების სისტემა.** განახლებული სისტემა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის კვლევას არა

სასწავლო წლის, არამედ ერთი სრული კალენდარული წლის აქტივობების მიხედვით; შეფასების სისტემა, ასევე, დაექვემდებარა კატეგორიებად დაყოფას და მთავარ კრიტერიუმად განისაზღვრა მინიმუმ სამ კატეგორიაში აქტივობ(ებ)ის მოთხოვნა. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა თავიდან აგვარიდებს მხოლოდ ერთი აქტივობით განხორციელებულ რაოდენობრივად შექმნილ მაღალ მაჩვენებელს და აქტივობათა ქულობრივი წონადობის რანგობრივი შედარების უხერხულობას; უნივერსიტეტისათვის განახლებული შეფასების სისტემის მთავარი არსია, პროფესორის პროდუქტიულობა იყოს მრავალმხრივი (პროფესორი წარმოჩინდეს მრავალმხრივი შესაძლებლობებით), ჰქონდეს სტიმული და სურვილი, მისი სამეცნიერო შედეგები იყოს რეიტინგული/ციტირებადი და გაეზარდოს ცნობადობა საერთაშორისო დონეზე; ეს ხელს შეუწყობს ამა თუ იმ ფაკულტეტის და, ზოგადად, უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას; პოპულარიზაციას და კონკურენტუნარიანობას.

2019 – 2023 წლების შედეგების მონაცემების შედარებამ გვიჩვენა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა ეტაპობრივად საგრძნობლად გაიზარდა, რაც გამოიხატება შემდეგი მაჩვენებლებით:



მაჩვენებლების გაუმჯობესება დასტურდება კატეგორიათა რაოდენობრივი ზრდითაც, მაგალითად, **2022 წელი**



2023 წლის მონაცემები



ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ტიპის შეფასების სისტემა უნივერსიტეტისათვის, როგორც ინსტიტუციისათვის, მოქნილია, რადგან თვალნათლივ ჩანს თითოეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, რაც საშუალებას იძლევა, როგორც მონიტორინგის, ისე შემდგომი ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად; ასევე, თავად აკადემიურ პერსონალს უმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას და აძლევს გეზს, რომელი სამეცნიერო აქტივობის მიმართულებით გააქტიუროს მან შემდგომი საქმიანობა.

❖

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტში 2020 და 2023 წელს განხორციელებულმა ოპტიმიზაციამ - დეპარტამენტების გამსხვილებამ - მალევე შექმნა ობიექტური/რეალური შესაძლებლობა, როგორც უკეთესი კოორდინირების, კავშირების გაფართოების, ისე რესურსების მობილიზების და ინტერდისციპლინარული კვლევების განხორციელების თვალსაზრისით, რაც, უდავოდ, კიდევ უფრო აამაღლებს პროფესორთა კვლევით ნაყოფიერებასა და პროდუქტიულობას; ამავე დროს, გააადვილებს კვლევითი პროდუქციის პროდუქტიულობის შესწავლას, ანალიზსა და შეფასების შედეგების მონიტორინგს; გადაწყვეტილების ეფექტურობა თვალსაჩინოა რამდენიმე თვალსაზრისით: უპირველესად აღსანიშნავია საუნივერსიტეტო **მენეჯმენტის გაუმჯობესება.** კერძოდ, **აკუმულირდა** ადამიანური და მატერიალური რესურსები; **გამარტივდა და შედარებით მოქნილი გახდა** სხვადასხვა/მონათესავე დარგისა თუ მიმართულების წარმომადგენელთა შორის კოორდინირება; **გაადვილდა** ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; **გაფართოვდა** სასწავლო და კვლევით დაწესებულებასთან კავშირები/კონტაქტები; **უფრო მეტად დაიხვეწა, ეფექტური** და **შედეგიანი გახდა** კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები და მონიტორინგი, რამაც, თავის მხრივ, ხელი შუწყო საჭიროებაზე მორგებული და განვითარებაზე ორიენტირებული, კვალიფიციური კადრის მიღებას/დატოვებას უნივერსიტეტში - აკადემიური პერსონალის სწორ და მასშტაბურ ოპტიმიზაციას. ოპტიმიზაციის შედეგად ნათელი გახდა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების ზრდა და თანამშრომლობითი კავშირების გაძლიერება/გაღრმავება, რაც აისახა: ერთობლივ სამეცნიერო პუბლიკაციებში, კონფერენციებში მონაწილეობასა თუ სამეცნიერო პროექტებში ჩართულობით; სკოლებთან და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობაში. მაგალითად:

ა/. ერთობლივი პუბლიკაციები (თანაავტორობა, რედაქტორობა/რეცენზენტობა)

- შალვა ჭკადუა, ია ჯიმშიტაშვილი, ერთობლივი სტატია "New Corona virus and its reflection on Georgian political processes and business sector"(,,ახალი კორონა ვირუსი და მისი გავლენა ქართულ პოლიტიკურ პროცესებზე და ბიზნეს სექტორზე"), საერთაშორისო კონფერენციის "Scientific enquiry in the contemporary world: theoretical basics and innovative approach" შრომების კრებული, 15 გამოცემა, სან-ფრანცისკო, კალიფორნია, აშშ. B&M Publishing, **2020**, 6 გვერდი, doi:10.15350/L_26/15.7; **http://www.bmpublgroup.com/l26_15.html;**
- ზაურ გუმაშვილი, შალვა ჭკადუა, მონოგრაფია „პანკისის ხეობა - ფაქტები, მოვლენები, ანალიზი" , ISBN – 978-9941-8-2371-8, თბილისი, **2020** წელი;
- გიორგი ლაღიაშვილი, ნუნუ გელდიაშვილი, ალექსანდრე მოსიაშვილი, თეიმურაზ ვახტანგიშვილი, მონოგრაფია ,,ალავერდის ნეკროპოლის წარწერები" (კატალოგი),UDC (უაკ) 930.2:003.071(=353.1) C-619; ISBN978-9941-8-2561-3; თბილისი, **2020** წლი;
- მაგდა დავითაშვილი, ლამარა ზურაშვილი. „კვლევის მეთოდები ეკოლოგიაში". 2 ნაწილად. ნაწილი I, ISBN 978-9941-25-979-1. ნაწილი II, ISBN 978-9941-25-980-7. თბილისი: მერიდიანი. 2020.
- მზია ღაღოლიშვილი, ირა შილდელაშვილი, გაგა ბუიშვილი, ერთობლივი სტატია ,,ქაცვი-კვების მრეწველობაში": საქართველოს საინჟინრო სიახლენი ტომი N2; ISSN 1512-0287, თბილისი, 2020 წელი;
- ლელა წიკლაური, „ლუდის წარმოების ტექნოლოგია". მონოგრაფია, თბილისი: მერიდიანი. 2020; (რედაქტორი - პროფესორი მაგდა დავითაშვილი);
- ალექსანდრე ხარიბეგაშვილი, ვლადიმერ მირუაშვილი, სვიმონ ოხანაშვილი, მანანა კევლიშვილი, მზია ღაღოლიშვილი, ლევან შავაძე, ერთობლივი სტატია ,,THE MOBILE GRAPE

TRELLISES": University of Belgrade, Faculty of Agriculture, Institute of Agricultural Engineering, Scientific Journal AGRICULTURAL ENGINEERING, Year XLVI, No. 1, **2021.** pp: 54 – 62 UDK: 631.373; 664.863; 63.558.1;

DOI: 10.5937/PoljTeh2101054K; Print ISSN 0554-5587, On line eISSN 2406-1123

- ხოსიტაშვილი თეა, ელანიძე ლალი, ერთობლივი სტატია ,,ფუტკრის ცვილში შენახული სულგუნის ორგანოლეპტიკური და ქიმიური მაჩვენებლების ანალიზი"; ,,კულტურათაშორისი დიალოგები", შრომები, **2021** წელი; **https://journals.4science.ge/index.php/IDW;** უაკ (UDC) 008.1 9772233340000 კ - 899; ISSN 2233-3401; E-ISSN 2667-999X; DOI: https://doi.org/10.52340/idw.2021.491
- თამარ ნადირაძე, ნინო ერაძე (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ეთნობოტანიკის განყოფილების უფროსი), ერთობლივი სტატია ,,ნატურალიზებული და გაველურებული ზოგიერთი მერქნიანი მცენარე თბილისის მიდამოებში": ,,კულტურათაშორისი დიალოგები", შრომები, 2021 წელი; **https://journals.4science.ge/index.php/IDW;** უაკ (UDC) 008.1 9772233340000 კ - 899; ISSN 2233-3401; E-ISSN 2667-999X; DOI: https://doi.org/10.52340/idw.2021.492
- დავითაშვილი მაგდა, ზურაბშვილი ლამარა, მარგალიტაშვილი დარეჯან, აზიკური გელა; ერთობლივი სტატია ,,ნაწლავური ინფექციების ეთიოლოგიური და ეპიზოოტური პროცესების თავისებურებები ცხვრებში": ,,კულტურათაშორისი დიალოგები", შრომები, **2021** წელი; **https://journals.4science.ge/index.php/IDW**; ISSN 2233-3401; E-ISSN 2667-999X; DOI: https://doi.org/10.52340/idw.2021.489
- ნინო ვეფხიშვილი, ირმა ჭანტურია (შ.პ.ს. „ღვინის ლაბორატორიის" დირექტორი; საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი), ერთობლივი სატატია ,,შემაგრებული ღვინის წარმოება საოჯახო მარნის პირობებში": ,,კულტურათაშორისი დიალოგები", შრომები, 2021 წელი; **https://journals.4science.ge/index.php/IDW;** უაკ (UDC) 008.1 9772233340000 კ - 899; ISSN 2233-3401; E-ISSN 2667-999X; DOI: https://doi.org/10.52340/idw.2021.493
- ნინო ვეფხიშვილი, ელენე სალია (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მიკრობიოლოგი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის სამსახური), ერთობლივი სტატია ,,საფუარის წმინდა კულტურის გავლენა ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე": ,,კულტურათაშორისი დიალოგები", შრომები, 2021 წელი; **https://journals.4science.ge/index.php/IDW;** უაკ (UDC) 008.1 9772233340000 კ - 899; ISSN 2233-3401; E-ISSN 2667-999X; DOI: https://doi.org/10.52340/idw.2021.494

აღსანიშნავია, რომ დასახელებული ორი ნაშრომის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ასევე თესაუს მაგისტრანტებმა: ქეთევან ზაქაიძემ და ვალერი ვეფხიშვილმა.

ბ/. სამეცნიერო კონფერენციები

გაერთიანებულ დეპარტამენტებს შორის ურთიერთთანამშრომლობითი ხასიათი ჰქონდა საუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო სამეცნიერო ინტერდისციპლინური კონფერენციების ჩატარებას:

,,სტუდენტური და სკოლის მოსწავლეების სამეცნიერო გარემოსდაცვითი კონფერენცია", 24 დეკემბერი, **2020** წელი; მონაწილეობდნენ ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულების წარმომადგენლები;

,,ენათა განვითარების აქტუალური ტენდენციები და პერსპექტივები გლობალურ მსოფლიოში", **2021 -2023** წ.წ. მონაწილეობდნენ ენის, ლიტერატურის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების წარმომადგენლები;

,,თელავის ინოვაციური ტურისტული მარშრუტები", 22 ივნისი, **2021** წელი; მონაწილეობდნენ ტურიზმისა და ისტორიის მიმართულების წარმომადგენლები;

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გაერთიანებული დეპარტამენტის კოორდინირებულმა საქმიანობამ ასახვა პოვა ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმილ და ჩატარებულ **,,ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საერთაშორისო**

სამეცნიერო კონფერენციაში“ (2021 წლის 28 მარტი), რომელშიც მონაწილეობდნენ რამდენიმე მიმართულების (ისტორია, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა) წარმომადგენლები.

გ/. სამეცნიერო პროექტები

სტრუქტურულმა ოპტიმიზაციამ განსაკუთრებული პოზიტიური ასახვა პოვა ერთობლივი (ინტერდისციპლინური) სამეცნიერო პროექტების განხორციელებაზე: **2020-2023 წელს** უნივერსიტეტის დაფინანსებით შესრულდა პროექტები:

,,თელავი და ინოვაციური ტურისტული მარშრუტები“, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ტურიზმისა და ისტორიის მიმართულების წარმომადგენლები;

,,კახეთის სამრეწველო და პერსპექტიული ვაზის ჯიშების სხვადასხვა სქემით განაშენიანების გავლენა ღვინომასალების ქიმიურ შედგენილობაზე“, ჩართულნი იყვნენ: მეღვინე ტექნოლოგი, ქიმიკოსი, მევენახე, ნიადაგმცოდნე.

,,აღმზრდელ პედაგოგთა რეფლექსიის გავლენა ინკლუზიური განათლების ხარისხზე (თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მაგალითზე)“ (პროექტი განხორციელდება განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ განათლების, საგანთა სწავლების მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით);

,,მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა ყურძნის პროდუქტიულობაზე“ (პროექტი განხორციელდება სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის მიერ მეღვინე ტექნოლოგის, მევენახისა, ნიადაგმცოდნისა და ქიმიკოსის, ასევე მაგისტრანტი სტუდენტების ჩართულობით);

,,ქართული მცირე პროზის ლიტერატურული და ლინგვისტური წახნაგები“ (პროექტი განხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტში ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა და სტუდენტთა ჩართულობით);

,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - ლეკები (ხუნძები- ავარები)” (პროექტი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევების ცენტრის მიერ, სადაც ჩართულნი იქნებიან ისტორიის, ფილოლოგიისა და სოციალური მეცნიერების მიმართულების წარმომადგენლები).

,,ვაზის თანამედროვე შპალერის მოწყობა"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. პროფ. მანანა კევლიშვილი

(პროექტი განხორციელდება აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მევენახის, ნიადაგმცოდნის, ქიმიკოსის, ტექნოლოგის, ასევე მაგისტრანტი სტუდენტების ჩართულობით);

,,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება კახეთში - უდიები"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. თენგიზ სიმაშვილი

(პროექტი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევების ცენტრის მიერ ისტორიის, ფილოლოგიისა და სოციალური მეცნიერების მიმართულების წარმომადგენლების მიერ);

,,ნიადაგის მიკრობიოცენოზის როლი კახეთის რეგიონში მუნიციპალური მყარი ნარჩენების ორგანული კომპონენტის კომპოსტირებაში"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. მაგდა დავითაშვილი

(პროექტი განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის, გეოგრაფიის და ეკოლოგიის მიმართულების სპეციალისტებია მიერ);

,,ვაზი და ღვინო - ქართული მენტალობის გამომხატველი კონცეპტები (ლინგვოკულტურო ლოგიური ძიებები)"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ნუნუ გელდიაშვილი

დ/. საერთაშორისო კავშირები

- სწორედ კოორდინირებული მუშაობის შედეგად უკრაინაში, ოდესაში, კვების ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსზე -„შავი ზღვის მეცნიერებები“, საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომების გამოვლენის მიზნით, კომისიის წევრებად 2020 -

2023 წლებში თელავის უნივერსიტეტიდან მიწვეულნი იქნენ სოფლის მეურნეობის, ქიმიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების პროფესორები: მანანა კევლიშვილი, მარიამ ხოსიტაშვილი, ლალი ელანიძე, გაგა ბუიშვილი, ლევან შავაძე, მაგდა დავითაშვილი, თამარ ნადირაძე, დარეჯან მარგალიტაშვილი.

▪ თესაუ-ს აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 5 აკადემიური პერსონალი (მაგდა დავითაშვილი დარეჯან მარგალიტაშვილი, ლალი ელანიძე, ნინო ვეფხიშვილი, ლელა წიკლაური) ჩართულია ევროკავშირის პროექტში "ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები (LLL) დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში". პროექტის ხანგრძლივობაა 01.08.2020 – 01.08.2022. პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით. ჩართულები არიან ასევე: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია და საქართველოს ბიოტექნოლოგიის ასოციაცია. პროექტის საერთაშორისო პარტნიორები არიან ტერამოს უნივერსიტეტი (ბიომეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი) და მილანის უნივერსიტეტი (კლინიკური მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ლაბორატორია).

❖

უნივერსიტეტის პუბლიკაციების ხარისხისა და ეთიკური კვლევის მკაფიო ინდიკატორების ჩამოყალიბების მიზნით, მთლიანად შეიცვალა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კრებულში ნაშრომთა გამოქვეყნების პოლიტიკა - კრებული გახდა რეფერირებადი და დაექვემდებარა ორმხრივ („ბრმა") რეცენზირებას; სარედაქციო კოლეგია გაძლიერდა უცხოელი კოლეგებით; აგრეთვე, გამოქვეყნებამდე ყველა ნაშრომი მოწმდება Erasmus +-ის (INTEGRITY) პროექტის ფარგლებში დანერგილ, პლაგიატის გამოვლენის „ტურნიტინის" პროგრამაზე; სტატიებს ერთვის შედარებით ვრცელი, ორენოვანი აბსტრაქტები; კრებული შედგენილია SCOPUS-ის კლასიფიკატორის მიხედვით; მინიჭებული აქვს საერთშორისო სერიული ნომერი ISSN1512-0600 და UDC (უაკ) 378.4 (479.221.2) + 001.891.

2020 წლის ნომრისათვის გადაიდგა საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მიახლოების რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი - ა/. შეიქმნა საიტი https://journals.4science.ge/index.php/TUW და მიენიჭა **E-ISSN 2667-9949**

ბ/. **DOI** მიენიჭა, როგორც ჟურნალს https://doi.org/10.52340/tuw.2021.07.28, ასევე თითოეულ სტატიას; გ/. შესაბამისად, კრებული ინდექსირდა რამდენიმე საერთაშორისო ბაზაში.

დ/. გარდა ამისა, ჟურნალი ინდექსირებულია **SJIFactor.com**-ში და 2020 წლის მონაცემებით მისი იმპაქტ ფაქტორი შეადგენს **6.611**-ს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია (SJIF 2020: 6.611; http://sjifactor.com/passport.php?id=20638).

ეთიკური კვლევის მკაფიო ინდიკატორს წარმოადგენს უნივერსიტეტში შემუშავებული ახალი დებულება „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის შესახებ", რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პლაგიატის გამოვლენის, დადასტურების და პრევენციის მკაფიო მექანიზმები, როგორც სტუდენტების, ისე - აკადემიური პერსონალისათვის; ამ მიმართებით მკვეთრად გაუმჯობესდა ინფორმირებაც - ჩატარდა საჯარო შეხვედრები, მოეწყო პრეზენტაციები, ინფორმაცია განთავსდა უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე და სხვა; ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურს დაევალა, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას, თანამშრომელს გადასცეს „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის შესახებ" დებულება.

ამ მიმართებით კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგა უნივერსიტეტმა ბოლო პერიოდში - კვლევის სტანდარტების ამაღლებას ემსხურება ასევე უნივერსიტეტში **აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის შექმნა,** რომელიც უნივერსიტეტში მკვლევრებსა და დოქტორანტებს დაეხმარება კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვაში, უახლესი სტანდარტების გათვალისწინებით.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტში „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში“ (ETHICS), რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის სისტემურად გაუმჯობესებას მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით. პროექტის მიხედვით შემუშავდება და უნივერსიტეტში დაინერგება კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმები, როგორც მკვლევრებისათვის, ასევე სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში.

ცენტრის ორგანიზებით იმართება საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები მკლევართა და სტუდენტთათვის, რაც ითვალისწინებს საჭირო ინსტრუქციების გაზიარებას კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლებისათვის.

უნივერსიტეტში კვლევის ეთიკის ნორმების განსაზღვრას და მკვლევართა კეთილსინდისიერების მხარდაჭერას ემსახურება **თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კოდექსი.** დოკუმენტი დაფუძნებულია საუნივერსიტეტო სივრცეში დამკვიდრებული კვლევის ღირებულებებისადმი პატივისცემაზე და ხელს უწყობს მკვლევართა ინტერესების დაცვას. უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტი როგორც დამოუკიდებელი, კოლეგიური ორგანო, განიხილავს კვლევით პროექტებს, რათა დაცული იქნეს კვლევის მონაწილეთა ფუნდამენტური უფლებები და ხელი შეუწყოს მაღალ, ხარისხიან კვლევით საქმიანობას. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები და ღირებულებები, უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა კვლევის ეთიკის მხარდასაჭერად, მკვლევრის როლი და პასუხისმგებლობა კვლევის ეთიკის სტანდარტების დაცვაში, კვლევის ეთიკის კომიტეტი და მისი ფუნქცია-მოვალეობები და სხვ.

▪ უნივერსიტეტმა ასევე გაითვალისწინა რეკომენდაცია საუნივერსიტეტო კვლევის ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ და გააქტიურა ამ მიმართებით საქმიანობა, კერძოდ: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/დეპარტამენტები შეივსო/განახლდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომებით (მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო შრომების კრებულებით...); უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ფართოდ და სისტემატურად შუქდება სამეცნიერო აქტივობები და მიღწევები; აიტვირთა სამეცნიერო შრომების კრებულების ელექტრონული ვერსიები; გარკვეული ნაწილი შრომებისა გადაეცა ქალაქისა და ეროვნულ ბიბლიოთეკას, სკოლებსა და მუზეუმს. უნივერსიტეტის საქმიანობის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას შეუწყო ხელი ასევე გასულ წელს ვირტუალურად ჩატარებული სამეცნიერო ფესტივალის- ,,მეცნიერება კაპიტანია“- ფარგლებში უნივერსიტეტის შესახებ გადაღებულმა ვიდეო-ფილმებმა და ასევე სპეციალურმა ჟურნალმა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც, ამავდროულად, მიეძღვნა უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს. დაგეგმილია რეგიონის სკოლებში (პანკისი, ლაგოდეხი) უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო კვლევის შედეგების წარდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი და სისტემა;
- განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით);
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის შესახებ დებულება;
- მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დასკვნები;
- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასკვნები;
- ვებ-გვერდი (tesau.edu.ge);
- ვიდეო-ფილმები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

- სამეცნიერო შრომების კრებულების რეგულარული გამოცემა;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების სისტემატური ორგანიზება/ჩატარება;
- საგრანტო პროექტებში მონაწილეობა;
- შიდასაუნივერსიტეტო მცირებიუჯეტიანი კვლევების დაფინანსება;
- აგრარული მიმართულებით ბიზნეს სექტორთან და სხვა ორგანიზაციებთან/ფონდებთან თანამშრომლობა;
- აგრარული მიმართულებით კვლევითი ლაბორატორიების, საცდელი კვლევითი და სადემონსტრაციო ნაკვეთების არსებობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების არსებობა;
- კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა;
- საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში მობილობის შესაძლებლობა;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წესისა და სისტემის არსებობა;
- აგრარული მიმართულებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში უცხოელი დოქტორების ჩართულობა;
- კვლევით საქმიანობაში/აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა (სკოლებთან ურთიერთობა).

გასაუმჯობესებელი მხარეები

- ბიუჯეტში სამეცნიერო აქტივობებისათვის გათვალისწინებული თანხის კიდევ უფრო გაზრდა;
- მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გააქტიურება;
- კომერციალიზაციაზე ორიენტირებული ინოვაციური კვლევების ხელშეწყობა;
- პრიორიტეტული მიმართულებებით ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ერთად კომპლექსური კვლევების განხორციელება.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

7.1. მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას;
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა;
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა;
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

აღწერა და შეფასება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს მართლზომიერ მფლობელობაში აქვს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული არასასოფლო-სამეურნეო ფართი 88435 კვ.მ (მ.შ 63939 კვ.მ მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1 და 24496 კვ.მ მის: ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი N26) და 160000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწა სარგებლობის უფლებით (მის: ქ. თელავი, ს. გულგულა). ორი სასწავლო კორპუსი, ბიბლიოთეკა და დამხმარე ნაგებობები (სპორტული დარბაზი, სახელოსნო, საქვაბე, ელ. კიოსკი და სხვა) განთავსებულია მისამართზე ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1. აქვეა განთავსებული სტუდენტების საერთო საცხოვრებლისთვის განკუთვნილი ოთხსართულიანი შენობა და რვაბინიანი კორპუსი პროფესორებისათვის, რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. IV სასწავლო კორპუსი მდებარეობს მისამართზე ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი N26. უნივერსიტეტის შენობების სართო ფართი შეადგენს 18438,95 კვ.მ-ს. მათ შორის:

4394,77 კვ.მ სასწავლო ფართი, რომელიც I და II სასწავლო კორპუსებს და ბიბლიოთეკას მოიცავს. 14044,18 კვ.მ დამხმარე ფართი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებსა და უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული სტუდენტების ქვოტის სრულად მომსახურებას შეესაბამება.

უნივერსიტეტის შენობებში გამოყოფილია სასწავლო აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სივრცეები ჯგუფური მუშაობისათვის, ადმინისტრაციული სათავსოები, საკონფერენციო დარბაზები და დეპარტამენტები. დადგენილია სივრცე უნივერსიტეტის არქივისათვის, ადმინსტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, სამუშაო გარემოს შესაქმნელად, გამოყოფილია ოთახები. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ფოიეები. შესაბამისი ინვენტარით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია ცალკე შენობაში. უნივერსიტეტს აქვს სარეკრეაციო სივრცე.

უნივერსიტეტის აუდიტორიები და ლაბორატორიები, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და აპარატურით, ცდებისა და კვლევების ჩასატარებლად საჭირო რეაქტივებით, მასალებით. მათი შენახვისა და გამოყენების პირობები შეესაბამება კანონით დადგენილი ნორმებს.

შენობის ყველა სართულზე არსებობს უწყვეტი განათებისა და ვენტილაციის მქონე სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება მუდმივი ცივი და თბილი წყლით. პერმანენტულად ხორციელდება საპირფაროშოების სანიტარულად დამუშავება და დეზინფექციის ჩატარება. დეზინფექცია და დერატიზაცია უტარდება მთლიანად შენობებსაც. შენობებები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (შესაბამისი გამოყენების ინსტრუქციის დართვით) და საევაკუაციო გეგმები განთავსებულია შენობის ყოველ სართულზე, როგორც ცენტრალურ, ასევე საევაკუაციო გასასვლელებში. საანგარიშო პერიოდში მთლიანად განახლდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. შენობების ყველა ოთახში დამონტაჟებულია სახანძრო დეტექტორები.

უნივერსიტეტში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია წესები, დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები (ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით), რომლებიც მთლიანად განახლდა საანგარიშო პერიოდში. უნივერსიტეტში გამოყოფილია დაცვის ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს უნივერსიტეტის შენობებსა და გარე პერიმეტრს, უზრუნველყოფს წესრიგისა და უსაფრთხოების ნორმების, მატერიალური ფასეულობების დაცვას. პერიოდულად ტარდება სწავლებები ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოების ნორმებისა დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის სწორად გამოყენების კუთხით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი პირველადი დახმარების მედიკამენტებითა და ინვენტარით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციით, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით. პუნქტში დაცულია მედიკამენტების შენახვის კანონით დადგენილი ნორმები. პერსონალისა და სტუდენტებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად უნივერსიტეტს ემსახურება ექთანი.

უნივერსიტეტის შენობები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს მუდმივ განახლებას. ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი პერმანენტულად ახორციელებს ცალკეული აუდიტორიებისა და კაბინეტების რეაბილიტაციას.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზდობის სამინისტროს ხელშეწყობით მთლიანად რებილიტირდა უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსი: გარე ფასადი შეიფუთა ე.წ. ალუკა ბოლდის ფილებით, შენობის გარშემო განახლდა სადრენაჟო სისტემა, გარემონტდა აუდიტორიები და ფოიეები, შენობა აღიჭურვა ლიფტით და ახლა შეზრუდული შესაძლებლობის პირებს საშუალება აქვთ დაუბრკოლებლად გაადგილდნენ შენობის მთელ ტერიტორიაზე. უნივერსიტეტის სახსრებით სრულიად რეაბილიტირდა პირველი სასწავლო კორპუსის საპირფარეშოები და კიბის უჯრედები.

ასევე საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზდობის სამინისტროს ხელშეწყობით რეაბილიტირდა უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის ფასადი და სახურავი, შენობის გარე პერიმეტრზე მოეწყო სარინელი. 2024 წელს იგეგმება (NAT240005305; NAT240005304) მეორე სასწავლო კორპუსის შიდა რეაბილიტაცია, უნივერსიტეტის სახსრებით.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ძალისხმევით უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სპორტული მოედანის (მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსირტეტის ქ. N1) თანასარგებლე უნივერსიტეტთან ერთად განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიაც. აღნიშნული თანასარგებლობის მიზანი იყო, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ რეგიონის განვითარების საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით უნივერსიტეტის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა. თუმცა აღნიშნული პროექტის ფარგლებში მთლიანად განახლდა უნივერსიტეტის ღობეც. რეაბილიტირებული სტადიონი ემსახურება არა მარტო უნივერსიტეტს, არამედ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შემოიერთა დამატებითი ფართი, მეოთხე სასწავლო კორპუსთან - 11793 კვ.მ. (მის: ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი N26), ხოლო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზდობის სამინისტროს ხელშეწყობით იქ მოეწყო ახალი ღობე.

რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს აგრარული მიმართულების დარგების განვითარებისათვის აქვს 160000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწა. აღნიშნულ ნაკვეთში უკვე რამოდენიმე წელია უნივერსიტეტის აგრარული მიმართულების პერსონალისა და სტუდენტების მიერ გაშენდა ტრადიციული-სამრეწველო და იშვიათად გავრცელებული ვაზის ჯიშები და მიმდინარეობს კვლევები და პრაქტიკული სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით. ამჟამად, ნაკვეთში მიმდინარეობს საირიგაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს იქ ფერმერული მეურნეობის განვითარებას.

გარდა ამისა, კვლევების, სამეცნიერო ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და აღჭურვილობა. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1) განთავსებულია შერეული ბაღის სადემონსტრაციო ნაკვეთი (2500 კვ.მ), რომელის სრულიად განახლება იგეგმება 2024 წელს.

უნივერსიტეტის ყველა შენობის პირველი სართულის შესასვლელი, სპეციალური საჭიროების მქონე პირების შენობაში დაუბრკოლებლად შეღწევისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და ადმინისტრაციასთან შეუზღუდავი კომუნიკაციისათვის, უზრუნველყოფილია პანდუსებით.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, მათთვის მოწყობილია სპეციალური აღჭურვილობის სანიტარული კვანძები, ხოლო უნივერსიტეტის შენობის ავტოსადგომზე გამოყოფილია სპეციალური ადგილი შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივად უმჯობესდება უნივერსიტეტის მატერილ-ტექნიკური ბაზა. აღნიშნული ხორციელდება არა მხოლოდ საკუთარი სახსრებით, არამედ ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების საშუალებით. განსაკუთრებით აღიჭურვა აგრარული მიმართულების ლაბორატორიები: შეძენილ იქნა გაზური და სითხური ქრომატოგრაფები, ქრომატოგრაფების სვეტები, მილები, გადამყვანები. ღვინის ლაბორატორიებისთვის შეძენილ იქნა: ყურძნის საჭყლეტი (მექანიკური), არყის სახდელი, ალკოჰოლომეტრი თერმომეტრები, მაგნიტური სანჯღრეველა, მიკროსკოპები და სხვა. უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტის ფარგლებში პირველი სასწავლო კორპუსის სარდაფში მოეწყო მინი ღვინის ქარხანა. ასევე, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, აუდიტორიები დამატებით აღიჭურვა კომპიუტერებითა და პროექტორებით.

საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- საერთო საცხოვრებელი კორპუსების ძირეული რეაბილიტაცია;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების განახლება თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკით;
- უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება;
- საუნივერსიტეტო გამომცემლობის დაფუძნება-განვითარება;
- სპორტული დარბაზისა და მოედნის რეაბილიტაცია და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვა;
- უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთში ფერმერული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთში საირიგაციო სისტემის განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები;
- პრაქტიკის / კვლევით-სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

- ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ბიბლიოთეკის დებულებით; უნივერსიტეტი ბიბლიოთეკის უკეთ ფუნქციონირების მიზნით გეგმავს და ქმნის აუცილებელ პირობებს; მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას; უზრუნველყოფს მის ხელშეუხებლობას, საქართველოში მოქმედი საბიბლიოთეკო კანონმდებლობის შესაბამისად; ზრუნავს ბიბლიოთეკის განვითარებაზე; უქმნის მას საბიბლიოთეკო პროცესების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებისა და განვითარების პირობებს.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული კომფორტული გარემო, სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის არსებული შესაბამისი რესურსები, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და მომსახურების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების პერიოდული განახლება ხელს უწყობს უნივერსიტეტის თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურების მუდმივ და მზარდ განვითარებას.

ბიბლიოთეკა განთავსებულია ცალკე კორპუსში, ორსართულიან შენობაში, იგი თემატურადაა დაგეგმილი და მასში ფუნქციონირებს ეფექტური საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის აუცილებელი შემდეგი სივრცეები:

პირველი სართული:

- ბიბლიოთეკის ფოიე;
- კომპიუტერებითა და შესაბამისი ტექნიკით (ასლგადამღები, სკანერი, პრინტერი) აღჭურვილი სამუშაო სივრცე ;
- სააქტო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: 150 ადგილიანი სკამების კომპლექტი.

აღნიშნული სივრცეები, საბიბლიოთეკო მომსახურებასთან ერთად განკუთვნილია ჯგუფური მუშაობის, შეხვედრების, ტრენინგების, პრეზენტაციებისათვის და სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის, სადაც ხდება მათი უზრუნველყოფა ტექნიკური საშუალებებით;

პირველ სართულზე განთავსებულია:

- გარდერობი;
- კვების ბლოკი;
- სველი წერტილები.

მეორე სართული:

- სამკითხველო დარბაზი;
- ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცეები;
- იზოლირებული ოთახი ინდივიდუალური და გუნდური მუშაობისათვის;
- სტუდენტებისა და პერსონალის განკარგულებაში არსებული საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრი;
- ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის სამუშაო ოთახი;
- წიგნსაცავი;
- აბონემენტი (ცირკულაცია).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება (იხ. შესაბამისი ლინკი http://tesau.edu.ge/biblioteka). ბიბლიოთეკის საქმიანობა წარიმართება აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით.

სტუდენტებსა და პერსონალს, საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონულ ბაზებთან წვდომისათვის საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციებს აძლევს ბიბლიოთეკის შესაბამისი პერსონალი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცის თვალსაჩინო ადგილზე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი წიგნის თაროებით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობისათვის განკუთვნილი მაგიდებით და სკამებით, კონდიციონერით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით. ასევე, კუთხე ასლის გადამღებისთვის, პრინტერის და სკანერის აპარატით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობით.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი მრავალფეროვანია, მუდმივად ახლდება გამოწვევების კვალდაკვალ.



სქემაზე მოცემულია დინამიკა 2018-2023 წწ-ში თუ როგორ იცვლებოდა შესყიდული ელ. რესურსების, ბეჭდურის და ჩუქების სახით გადმოცემული საბიბლიოთეკო რესურსების თანაფარდობა. მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლიდან, თესაუ-მ შეიმუშავა ახალი სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა პრიორიტეტები. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით გამდიდრდა საბიბლიოთეკო რესურსები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას.

წლების მიხედვით გაიზარდა საბიბლიოთეკო რესურსებზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანახები. 2018 წელს საბიბლიოთეკო რესურსებზე დაიხარჯა 18 400 ლარი, ხოლო 2023 წელს - 72 872 ლარი. საანგარიშო პერიოდში დაფინანსება გაიზარდა 54 472 ლარით.

ბიბლიოთეკის ფონდის შევსების ალტერნატიულ გზას წარმოადგენს სხვა უმაღლესი სასწავლებიდან და სამეცნიერო ფონდებიდან მოზიდული რესურსები. აღნიშნული პროცესების მონიტორინგისათვის შექმნილია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო ჟურნალი, კატალოგი (ბეჭდური), ელექტრონული კატალოგი (იხ. ბიბლიოთეკის ვებ გვერდი -ელექტრონული კატალოგი

http://tesau.edu.ge/biblioteka, ასევე უნივერსიტეტის შიდა წვდომის პროგრამაში ბიბლიოთეკის კატალოგი https://ea.tesau.edu.ge/bib/catalog).

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შემდეგნაირად:
1. საჭირო და აუცილებელი საცნობარო ლიტერატურით და სამეცნიერო გამოცემებით.
2. სახელმძღვანელოებით, რომლებიც თაროებზე განლაგებულია მეცნიერებათა დარგების მიხედვით.
სამკითხველო დარბაზში გათვალისწინებულია თავისუფალი დაშვება ნებისმიერი მკითხველისთვის. მომხმარებლისათვის შექმნილია სათანადო ტემპერატურითა და განათებით უზრუნველყოფილი მყუდრო გარემო.

სამკითხველო დარბაზში ასევე ფუნქციონირებს:
1. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კუთხე, შესაბამისი ლიტერატურით;
2. ნატოს საინფორმაციო კუთხე, შესაბამისი ლიტერატურით და თვალსაჩინოებით;
3. გაეროს მოდელირების კუთხე, შესაბამისი ლიტერატურით;
4. ევროკავშირის კუთხე, შესაბამისი ლიტერატურით;
5. კუთხე „განათლება უსაფრთხოებისათვის“ - კატასტროფის რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით (ბუნებრივი საგანგებო სიტუაციები: სტიქიური უბედურებები - მეწყერი/ღვარცოფი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი/ქარბორბალა/გრიგალი, გვალვა/ხანძრები) (შესაბამისი ლიტერატურით).
სამკითხველო დარბაზში ასევე გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის პერსონალის სამუშაო სივრცე, შესაბამისი სამუშაო გარემო-აღჭურვილობით და კომპიუტერებით.
სამკითხველო დარბაზის სივრცეში განთავსებულია ბიბლიოთეკის საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, სადაც შესაძლებელია სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ელექტრონული მონაცემთა ბაზების მოხმარება (ჟურნალები, სამეცნიერო ჟურნალები, საცნობარო გამოცემები მეცნიერების სხვადასხვა დარგში), რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სივრცეში განლაგებული, ინტერნეტში ჩართული ყველა კომპიუტერიდან.

წიგნსაცავი:
სამკითხელო დარბაზი ემიჯნება წიგნსაცავს. წიგნადი ფონდის რაოდენობა - 175 709 ერთეულია. წიგნსაცავში წიგნები განლაგებულია ფორმატულად, ხის და რკინის ორმხრივ და ცალმხრივ თაროებზე. თაროების ზომა ისეა განსაზღვრული, რომ ბიბლიოთეკის პერსონალისათვის მოსახერხებელია, არ არის ზედმეტად მაღალი. თაროებს შორის მანძილი ადვილად სამოძრაოა თანამშრომლებისათვის. ბიბლიოთეკის ფონდები დაცულია საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად.
ბიბლიოთეკაში ასევე არსებობს ხანძარქრობის მარტივი საშუალებები, სახანძრო სიგნალიზაცია და ვიდეოკამერები.

აბონემენტი (ცირკულაცია):
აბონემენტზე დაცულია ბეჭდური კატალოგი და მომხმარებელი იღებს მომსახურებას წიგნის სახლში გატანით (1159 მომხმარებელი). ასევე, მუდმივად მიმდინარეობს ელ. კატალოგის მონიტორინგი და შევსება-განვითარება (EVERGREEN - ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის (OPAC) პროგრამა). (იხ. დანართში ელექტრონულ კატალოგში შეტანილი ლიტერატურის ჩამონათვალი – კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია. შეტანილია – 29 808 ერთეული ჩანაწერი. 2011

წლიდან). ასევე, უნივერსიტეტის შიდა წვდომის პროგრამაში ბიბლიოთეკის ნაწილის კატალოგი, სადაც შეტანილია – 12 603 ერთეული ჩანაწერი (https://ea.tesau.edu.ge/bib/catalog).

უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია და გამოყენებადი სასწავლო კურსების სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურა, როგორც სამკითხველო დარბაზში სამუშაოდ, ასევე აბონემენტიდან სახლში გატანით, ქვეყნის შიგნით ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის (ბშა-ს), აგრეთვე საერთაშორისო წიგნთგაცვლის გამოყენებით სარგებლობის წესების შესაბამისად;
ბიბლიოთეკაში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მომსახურება უფასოა. საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული რესურსით სწავლების განხორციელების მხარდასაჭერად, ბიბლიოთეკა სტუდენტს სთავაზობს ბეჭდური ლიტერატურის, კონკრეტული მასალის ელექტრონულ ანალოგს ღია წვდომის საშუალებით და/ან უზრუნველყოფს მის ელ. ფოსტაზე გადაგზავნას.

ბიბლიოთეკაში არსებული ყველა რესურსი წინასწარ დაგეგმილი და შემუშავებული საბიბლიოთეკო წესით არის აღრიცხული, დამუშავებული და განლაგებული თაროებზე, კატალოგებში (ქაღალდის და ელექტრონული). ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი წიგნის თუ ბეჭდური პროდუქციის ტექნიკურ დამუშავებას, აღრიცხვას (საინვენტარო ჟურნალში გატარება); აწარმოებს მატერიალურ კატალოგს (ანბანური, სისტემატური, ასევე დამატებითი ბარათები); ბიბლიოთეკის პერსონალი ასევე უზრუნველყოფს ახლად შემოსული ბეჭდური პროდუქციის მონაცემების ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN) შეტანას და პარალელურად, უნივერსიტეტის შიდა წვდომის პროგრამაში ბიბლიოთეკის ნაწილის კატალოგიზაციას. ბიბლიოთეკა დამატებით აწარმოებს ელ. საძიებლებს.

სტუდენტებისა და პერსონალისათვის საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები ხელმისაწვდომია, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე უნივერსიტეტის სივრცეში განლაგებული, ინტერნეტში ჩართული ყველა კომპიუტერიდან. ამისათვის უნივერსიტეტში და ბიბლიოთეკაში არის უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობაც. EBSCO-ს და HEINONLINE-ის **მონაცემთა ბაზებზე კი არის გარედან წვდომის შესაძლებლობაც.**
უნივერსიტეტი, როგორც წევრი, ჩართულია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - Eifl ” კონსორციუმში.

EIFL-ის კონსორციუმის წევრებისათვის 2019 წელს ბაზები -BioOne Complete (http://www.bioone.org/); New England Journal of Medicine (http://www.nejm.org/) ჩანაცვლდა ბაზით: **SAGE APCs for Open Access Journals** (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage); ასევე 2019 წლიდან Elsevier – მონაცემთა ბაზებს: ScienceDirect®online; Scopus® online დაემატა: Scival Funding (Funding Institutional). აღნიშნულმა ცვლილებებმა მკვლევრებს შანსი მისცათ საკუთარი კვლევითი ინტერესებისთვის მოეძიებინათ საჭირო სამეცნიერო რესურსები და ფინანსები.

2019 წლის მეორე ნახევარში, უნივერსიტეტი, როგორც საქართველოს ტექინფორმის პარტნიორი ორგანიზაცია, მიწვეული იყო მოლდოვაში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ორდღიან სემინარზე. აღნიშნული პროექტი განხორციელდა FAO-სთან პირდაპირ პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მიზნით.

უნივერსიტეტი 2018 წლიდან ნაყოფიერად მოიხმარდა აგრარული მიმართულებით **EBSCO Food Science Source**-ის პაკეტს. 2019 წელს მოლაპარაკებები დაიწყო **EBSCO** ადმინისტრაციასთან (აგრარული მიმართულებით სამეცნიერო ბაზებზე წვდომის სერვისის შესყიდვის მიზნით), რაც წარმატებით დასრულდა 2020 წელს და საბიბლიოთეკო რესურსებს კვლავ დაემატა **EBSCO Food Science Source** -ის ბაზები.

2020 წელს უნივერსიტეტის მიერ შეძენილ იქნა **EBSCO Hospitality & Tourism Complete**-ის (ტურიზმის მიმართულებით) ბაზებზე წვდომის ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ორივე პაკეტი **EBSCO**-ს ადმინისტრაციამ სპეციალურად თესაუსათვის შექმნა და მომწოდებელი პარტნიორისაგან უზრუნველყოფილია გარედან წვდომის სერვისიც.

2022 წელს მოხდა **EIFL-ის** ორი ბაზის ბმულის შეცვლა:
IMechE Journals *(https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE);*
Mathematical Sciences Publishers Journals *(https://msp.org/).*
დაემატა ორი ახალი ბაზა:
European Respiratory Journal *(https://erj.ersjournals.com/);*
The Company of Biologists' Journals *(https://www.biologists.com/development/).*

EIFL-ის კონსორციუმის მიერ გაჩნდა პუბლიკაციის უფასოდ გამოქვეყნების შესაძლებლობა შემდეგ ელექტრონულ რესურსებში:

European Respiratory Journal
IMechE APCs for open access publishing
Royal Society Journals Collection
SAGE APCs for Open Access Journals
The Company of Biologists free open access publishing

იხ. შემდეგი ლინკი:
(https://eifl.net/apcs?field_subject_tid_1=All&field_e_resource_type_apc_tid=All&field_publisher_vendor_tid_1=All&shs_term_node_tid_depth=818)

ქვემოთ ჩამოთვლილ ბაზებში გაჩნდა პუბლიკაციის ფასდაკლებით გამოქვეყნების შესაძლებლობა:

Brill APCs for open access publishing
Cambridge University Press APCs for open access publishing
Edward Elgar Publishing APCs for open access publishing
Taylor & Francis APCs for open access journals
Wolters Kluwer Health APCs for open access journals
World Scientific APCs for open access publishing

(https://eifl.net/apcs?field_subject_tid_1=All&field_e_resource_type_apc_tid=All&field_publisher_vendor_tid_1=All&shs_term_node_tid_depth=819)

EIFL-ის კონსორციუმის დახმარებით, თესაუ-ში მიმდინარე საერთაშორისო პროექტის „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით/უმაღლესი განათლების ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე“ **(HERD)** ფარგლებში მოხდა OXFORD-ის ელექტორნული წიგნების შესყიდვა, ერთწლიანი სარგებლობის შესაძლებლობით, შემდეგ მიმართულებებზე:
განათლება - https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:education
ლინგვისტიკა - https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:linguistics
გარემოს დაცვითი მიმართულება, ეკოლოგია -
https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:environmentalScience
2023 წელს **EIFL-ის** მონაცემთა ბაზებს დაემატა ერთი ახალი ბაზა:
ACM Digital Library - https://dl.acm.org/ - საინფორმაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება.
2023 წელს უნივერსიტეტის მიერ შეძენილი იქნა **HEINONLINE** სამართლის მონაცემთა ბაზა - https://heinonline.org/HOL/Welcome (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).
ასევე 2023 წელს, **ელექტრონული წიგნების (oxford university) ბაზას** დაემატა კიდევ 3 დარგი
ბიზნესი და მენეჯმენტი
https://global.oup.com/academic/category/social-sciences/business-and-management/?lang=en&cc=ge
ეკონომიკა
https://global.oup.com/academic/category/social-sciences/economics/?lang=en&cc=ge
ფინანსები
https://global.oup.com/academic/category/law/financial-law/?lang=en&cc=ge
და ამჯერად უნივერსიტეტმა შეიძინა **ელექტრონული წიგნების და ჟურნალების ბაზა (oxford university).**

2024 წლისათვის თესაუ-ს მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები:
EIFL-ის დარგობრივი სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი კონსორციუმის წევრებისათვის **(სხვადასხვა მიმართულება)** განმარტებებით:

1. **Cambridge Journals Online** (https://www.cambridge.org/core) - **ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, მათ შორის: ანთროპოლოგია, არქეოლოგია, ხელოვნება, ასტრონომია, ქიმია, კომპიუტერული მეცნიერებები, დრამა და თეატრი, დედამიწისა და გარემოს დაცვა, ეკონომიკა, განათლება, ინჟინერია, ინგლისური ენის სწავლება, ფილმები, მედია, მასობრივი კომუნიკაცია, გეოგრაფია, ისტორია, ენათმეცნიერება, კანონები, ლიტერატურა, მართვა, მათემატიკა, მედიცინა, მუსიკა, ფილოსოფია, ფიზიკა, პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, რელიგია, სოციოლოგია, სტატისტიკა და ალბათობის თეორია.**

ბაზა მოიცავს:
თავისუფალ წვდომას გასული წლების ციფრულ არქივზე 1997 წლიდან.
161 ჟურნალს სოციალურ მეცნიერებათა (SSCI) (SCI) და 46 ჟურნალს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში Thomson Reuters-ის ციტირების ინდექსით.
384 სახელწოდების წამყვან ჟურნალს სხვადასხვა დისციპლინაში.
2017 წელს ჟურნალების სიას კიდევ დაემატა 20 ჟურნალი **სამართლის, ბიოლოგიის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის,** და სხვა სფეროებიდან.

2. **e-Duke Journals Scholarly Collection** (https://read.dukeupress.edu/) **- ანთროპოლოგია, ხელოვნება და ხელოვნების ისტორია, კრიტიკა და თეორია, კულტუროლოგია, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვა, ეთნოგრაფია, ევროპისმცოდნეობა, მხატვრული ლიტერატურა და პოეზია, ფილმი და მედია კვლევები, თეატრისა და წარმოდგენის შესწავლა, გენდერული სწავლება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, საერთაშორისო და რეგიონალური კვლევები, ახლო აღმოსავლეთის კვლევები, მუსიკის თეორია, პედაგოგიკა, ფილოსოფია, პოლიტიკა,რელიგიური კვლევები, სამეცნიერო კვლევები, სოციოლოგია და სოციალური თეორია, აფრიკული კვლევები, აზიური კვლევები, ჯანმრთელობის დაცვა.**

ბაზა მოიცავს:

ხელოვნების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალებს ციტირების მაღალი ინდექსით,
ასევე, ჟურნალებს გამომცემლობა Scopus-დან.

3.Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com) **- წიგნები ფინანსთა, ეკონომიკის, ინოვაციური კვლევების, ინფრასტრუქტურის განვითარების, ჯანდაცვის, კორპორაციული მართვის, საჯარო და სოციალური მმართველობის, მიგრაციის, კვლევის მეთოდების, ინტელექტუალური საკუთრების, სამართლებრივ და სხვ. კვლევათა განვითარების შესახებ. ჟურნალები ეკონომიკისა და ეკონომიკური მიმართების ინტერვენციის, ლიდერობის ინსტიტუტისა და ჰუმანიზმის შესახებ. კემბრიჯის საერთაშორისო სამართლის ჟურნალები.**

4.IMechE Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE)**- მექანიკური ინჟინერია (გამომცემლობა SAGE)**

ბაზა მოიცავს:

- სტატიებს 1847 წლიდან დღემდე;
- ყოველი 18 სახელწოდებიდან 17 შედის Thomson Reuters Journal-ის ციტირებულ სტატიათა რიცხვში;
- ყველა ჟურნალი ინდექსირებულია გამომცემლობა SCOPUS-ში.

5.Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/) **- ბიოლოგიურ მეცნიერებები, ფიზიკა, მათემატიკა და საინჟინრო მეცნიერებები, აგრეთვე მათი მომიჯნავე დისციპლინები.**
ბაზა მოიცავს:
Royal Society-ის ციფრულ არქივს 1665 წლიდან.

6. SAGE Journals (https://journals.sagepub.com)**- ჰუმანიტარული, სოციალურ მეცნიერებათა ტექნოლოგიები, ბიზნესი და აგრეთვე მედიცინის სფერო.**

ბაზა მოიცავს:
სამეცნიერო სტატიებს მზარდი სტატისტიკით.
SAGEის ჟურნალების 65% წარმოდგენილია, 2010 წლის Thomson Reuters Journal ციტირებად ჟურნალთა ჩამონათვალში (JCR).

7.Mathematical Sciences Publishers Journals (https://msp.org/) **- კოლექცია მოიცავს 17 რეფერირებულ ჟურნალს მათემატიკურ და მომიჯნავე დისციპლინებიდან.**

ბაზა მოიცავს:
მათემატიკისა და მათემატიკური ინჟინერინგის ფართო სპექტრს. ავტორიზირებული მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია როგორც ონლაინ კითხვის, ასევე გადმოწერისა და ამობეჭდვის სერვისები.

8.Openedition Journals (https://www.openedition.org/) - წარმოდგენილია ფრანგულენოვანი ჟურნალები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.
აქვს ინგლისურენოვანი ინტერფეისიც. სტატიების მცირე რაოდენობა პარალელურად გამოქვეყნებულია ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე.

9. European Respiratory Journal (https://erj.ersjournals.com/) - **კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის მიმართულება.**
წარმოდგენილია სტატიები ბიოლოგიური, ეპიდემიოლოგიური, იმუნოლოგიური, ონკოლოგიური და სხვა მიმართულებით.

10. The Company of Biologists' Journals - (https://www.biologists.com/development/) **ბიოლოგიური მეცნიერებები.**
11. ACM Digital Library - https://dl.acm.org/ - საინფორმაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება.
ბაზაში წარმოდგენილია ჟურნალები, საკონფერენციო მასალები, გაზეთები, ვებსაიტები და მულტიმედია ფაილები. აგრეთვე კომპიუტერული ლიტერატურის გზამკვლევები და სხვა ციტირებული ნაშრომები.

HEINONLINE სამართლის მონაცემთა ბაზა: https://heinonline.org/HOL/Welcome (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკა: library.court.ge
ბიბლიოთეკაში ელექტრონული ფორმით შეკრებილია 1 500-ზე მეტი იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო გადაწყვეტილებები.
შესაბამისად, მკითხველს შეუძლია ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერ დროს ისარგებლოს ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზით.
ბიბლიოთეკა ყველა მკითხველისათვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისი რეგისტრაციის შემდეგ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან:

Elsevier-ის მონაცემთა ბაზები:

1. ScienceDirect®online http://www.scopus.com
2. Scopus® online https://www.sciencedirect.com

EBSCO-ს მონაცემთა ბაზები:

აგრარული მიმართულება:

EBSCO Food Science Source (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

ტურიზმის მიმართულება:

EBSCO Hospitality & Tourism Complete (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

ელექტრონული წიგნების და ჟურნალების ბაზა (oxford university):
განათლება -
https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC01940
ლინგვისტიკა -

https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/AHU01290
გარემოს დაცვა -
https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC02100
ბიზნესი და მენეჯმენტი
https://global.oup.com/academic/category/social-sciences/business-and-management/?lang=en&cc=ge
ეკონომიკა
https://global.oup.com/academic/category/social-sciences/economics/?lang=en&cc=ge
ფინანსები
https://global.oup.com/academic/category/law/financial-law/?lang=en&cc=ge

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერსონალს გააჩნია საბიბლიოთეკო საქმეში შესაბამისი კომპეტენციები, მათ შორის ელექტრონული ბაზების გამოყენების, კონსულუტაციების გაწევის მიმართულებით. პერსონალის პროფესიული ზრდისათვის დაგეგმილია და პერიოდულად ხორციელდება მათი ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში აქტიური მონაწილეობა. ბიბლიოთეკა აწვდის ინფორმაციას და ახორციელებს ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგებს, პერიოდულად აწვდის ვიდეო გზამკვლევებს თანამშრომლებს, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალს დარგობრივი მონაცემთა ბაზების გამოყენებისათვის.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მართავს და სხვა სასწავლო დაწესებულებათა ბიბლიოთეკებთან ერთად მონაწილეობს საბიბლიოთეკო კვირეულებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და ტრენინგებში, ონლაინ ტრენინგებსა და ვებინარებში, სამეცნიერო მონაცემთა ბაზების, საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალური საკითხების შესახებ.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გაწევრიანებულია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაში.
2007 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო კონსორციუმში, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
ბიბლიოთეკა მუდმივად თანამშრომლობს ფაკულტეტებთან, ახდენს დაკვირვებას დამატებითი დარგობრივი ელექტრონული მონაცემთა ბაზების შერჩევისათვის. ბიბლიოთეკამ ელექტრონული სამეცნიერო ბაზების აქტიური გამოყენებისათვის (განსაკუთრებით პანდემიის დროს და შემდგომ) შექმნა დარგობრივი ვიდეო გზამკვლევები. რაც აისახა კიდეც გამოყენებული ბაზების სტატისტიკაზე.
2021 წელს, აგრარული მიმართულებით, ახალი საინფორმაციო, მრავალფეროვანი და ხარისხიანი ელექტრონული ინტერნეტრესურსების მოძიების მიზნით, საქართველოს ტექინფორმსა და მის პარტნიორ ორგანიზაციასთან - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად ბიბლიოთეკამ მიიღო კონფერენციასა და ორ ონლაინ სემინარში მონაწილეობა. მონაწილეებს თესაუ-დან (ბიბლიოთეკის პერსონალი და აგრარული მიმართულების პროფესურა) გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ 2023 წლის მონაცემებით თესაუ მეორე ადგილზეა საქართველოში, როგორც **EBSCO**-ს ბაზების აქტიური მომხმარებელი, გადაეცა სიმბოლური საჩუქრები და შესაბამისი სერტიფიკატი.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რეგულარულად ახორციელებს ტრენინგებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის დარგობრივი ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ და დახმარებას უწევს მათ საჭირო ინფორმაციის მოძიებაში.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სისტემატურად მიმდინარეობს ელექტრონული რესურსების, ბაზების და ელექტრონული კატალოგების განვითარებისათვის მუშაობა. მომსახურების

სრულყოფისათვის ბიბლიოთეკა ეფექტურად იყენებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ბეჭდურ და ელექტრონულ ბშა-ს (ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტი) სერვისს და ახდენს ნებისმიერი სერვისის გამოყენებას მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად.
თუ მოთხოვნილი ლიტერატურა არ აქვს ბიბლიოთეკას, მაშინ ბშა-ს დახმარებით მიმართავს სხვა შესაბამის ბიბლიოთეკას, მოძიებას ახდენს სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში, რათა ძირეულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნა და მოუძიოს წიგნი, სტატია და ა.შ.. ბიბლიოთეკა მიმართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებას, რაც ხშირ შემთხვევაში ფონდის და სამეცნიერო ბაზების გამდიდრებისათვის არის გათვლილი: პრეზენტაციები, შეხვედრები, გამომცემლობებთან ურთიერთობა (წიგნის გამოფენა-გაყიდვის მოწყობა). ასევე ყოველწლიურად ბიბლიოთეკა ჩართულია ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საბიბლიოთეკო კვირეულში.
ბიბლიოთეკა მუდმივად აკვირდება ამ პროცესების მიმდინარეობას და მისი განვითარებისათვის პერიოდულად ატარებს განხილვებს, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო მასალების, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან მიმართებაში, ჩართულია ტრენინგებში, როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის, ისე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.
ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია კვირაში 60 საათი, მუშაობს ექვსი სამუშაო დღე და ღიაა 9:00 - დან 19:00 საათამდე (კვირის გარდა).
ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი ისეა დაგეგმილი და შედგენილი, რომ იცავს შრომით კანონმდებლობას.
უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით ხდება ელექტრონული კატალოგის პროგრამის მოძიებისა და შეძენის, მინიტორინგისა და განახლების სტრატეგიული დაგეგმვა.
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, 2011 წლიდან დანერგილია და მოქმედებს ელექტრონული კატალოგის „ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა“ -Evergreen პროგრამა (კომპანია "**Innovative Systems Management**").
(იხ. დანართში ელექტრონულ კატალოგში შეტანილი ლიტერატურის ჩამონათვალი – კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია. შეტანილია – 29 808 ერთეული ჩანაწერი). (იხ. ბიბლიოთეკის ვებ გვერდი შესაბამისი ლინკით-ელექტრონული კატალოგი *http://tesau.edu.ge/biblioteka*); (http://tesau.library.ac.ge/) აქვს მოხერხებული საძიებო სისტემა, რაც ბიბლიოთეკას ეხმარება მოძებნოს ლიტერატურა შეერთებულ კატალოგშიც. ხორციელდება ასევე, უნივერსიტეტის შიდა წვდომის პროგრამაში ბიბლიოთეკის ნაწილის კატალოგიზაცია, სადაც შეტანილია – 12 603 ერთეული ჩანაწერი. საინვენტარო წიგნების ელექტრონიზაციას (გაკეთებულია 80 000 მეტ ერთეულზე), საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკა იყენებს როგორც საძიებო სისტემას. ფუნქციონირებს ქაღალდის კატალოგიც: ანბანური და სისტემატური. ასევე, ბიბლიოთეკარები ქმნიან ცალკე სამკითხველო დარბაზის ლიტერატურის დარგობრივ ელექტრონულ საძიებო სისტემას.
ბიბლიოთეკას მართავს ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკაში სამი მთავარი სპეციალისტია და ოთხი სპეციალისტი, რომელთა უფლება-მოვალეობები გაწერილია დებულებასა (იხ. ბიბლიოთეკის ვებ გვერდი შესაბამისი ლინკით-ბიბლიოთეკის დებულება, *http://tesau.edu.ge/biblioteka)* და მათ ხელშეკრულებებში. მუდმივად ხდება მათთვის და მომხმარებლებისათვის სიახლეთა გაცნობა. იცავს და მოუწოდებს მომხმარებლებს საავტორო უფლებების, პლაგიატის წესის დაცვისაკენ.
ზოგადად, ბიბლიოთეკა მოიძიებს და იყენებს საბიბლიოთეკო სივრცეში არსებულ ყველა თანამედროვე სერვისს.

წიგნის გატანა და დაბრუნება:

ა) წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი (გამონაკლისის გარეშე), ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

ბ) სტუდენტს შეუძლია, ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით;

გ) ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ერთი წლით, ერთი სემესტრით (იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკას აქვს ეგზემპლართა გარკვეული რაოდენობა), ერთი კვირით, რამდენიმე დღით, 24 საათით (ამას ეგზემპლართა რაოდენობის შესაბამისად არეგულირებს ბიბლიოთეკის სპეციალისტი);

დ) სალექციო მასალები, ჟურნალები, წიგნები, რიდერები და სხვა, რომელიც ლექტორს დაჯავშნული აქვს ლექციისათვის და განკუთვნილია იმ სემესტრში სტუდენტების მოხმარებისათვის, ბიბლიოთეკიდან შეიძლება გატანილ იქნეს მხოლოდ 24 საათით;

ე) წიგნის გაცემის და დაბრუნების ვადა განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ხშირია წიგნზე მოთხოვნა; გატანილი მასალის ან წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას;

ვ) თუ მკითხველმა რაიმე მიზეზით ვერ დააბრუნა წიგნი დადგენილ ვადაში, აუცილებლად უნდა შეატყობინოს ბიბლიოთეკას გადაცდენის მიზეზი და გამონაკლის შემთხვევაში (თუ წიგნს ითხოვს სხვა მკითხველი) ბიბლიოთეკა თვითონ უზრუნველყოფს წიგნის დაბრუნებას;

ზ)ბიბლიოთეკის სპეციალისტს შეუძლია, მოითხოვოს წიგნის ან ბიბლიოთეკიდან გატანილი სხვა მასალის (ჟურნალის, დისკის) ვადაზე ადრე დაბრუნება, ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია უზრუნველყოს დაბრუნება, შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში;

თ) გატანილი მასალის ან წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია წარმოადგინოს იმავე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი წიგნი ან სანაცვლოდ აანაზღაუროს შესაბამისი საბაზრო ღირებულების მქონე, ბიბლიოთეკისათვის მნიშვნელოვანი წიგნის სხვა ეგზემპლარებით;

ი) ბიბლიოთეკის სპეციალისტი უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი; არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც მხილებულნი არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში ან დაზიანებაში;

ბიბლიოთეკის საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრით სარგებლობა:

ა) კომპიუტერის მომხმარებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს ტექნიკას; მას არ აქვს უფლება, კომპიუტერში რაიმე პროგრამული ფაილი ჩაწეროს, ან წაშალოს;

ბ) კომპიუტერის მომხმარებელმა გამოყენების შემდეგ კომპიუტერი ჩართული უნდა დატოვოს;

გ) დაუშვებელია კომპიუტერის გამოყენება თამაშებისათვის;

დ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში, მომხმარებელმა უნდა მიმართოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ მომაგრებულ სპეციალისტს და თვითნებურად არ ეცადოს ხარვეზის გამოსწორებას;

ე) კომპიუტერით სარგებლობის დროის ლიმიტი არსებობს მხოლოდ სხვა მომხმარებლებისაგან მოთხოვნის შემთხვევაში და მოიცავს 2 საათს;

ვ) მომხმარებელმა თუ ვერ მოიძია მისთვის სასურველი ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში, უნდა მიმართოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტს ან ბიბლიოთეკარს, რომელიც დაეხმარება შესაბამის დარგობრივ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში ინფორმაციის მოძიებაში.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

უნივერსიტეტი ზრუნავს მხარდამჭერი ღონისძიებებით საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუდმივად ხდება საბიბლიოთეკო ფონდების განვითარების მონიტორინგი. ფაკულტეტებიდან, დეკანების მიერ, ერთობლივი კოორდინაციით ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან მოთხოვნილი, შესასყიდი ბეჭდური და ელექტრონული

ლიტერატურის სიის წარდგენა, რასაც მოყვება შესაბამისი რეაგირება და რესურსის გამდიდრება-განახლება.

პროცესშია პროგრამის შემდეგი მოდული ცირკულაცია და ბიბლიოთეკის თანამშრომლები გადიან ცირკულაციის ტრენინგს. ასევე იგეგმება ცირკულაციის ტრენინგი სტუდენტებისა და პერსონალისათვის. იგივე ცირკულაცია და დაჯავშნის სერვისი, რომელიც გათვლილია უნივერსიტეტის შიდა პროგრამისათვის.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ბეჭდური, ელექტრონული რესურსებით და სხვა ფორმატის მასალებით, რომელთა გამოყენება უფრო საინტერესო ხდება თანამედროვე ტექნოლოგიებით. რომელიც ვითარდება და სრულყოფილი ხდება მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად. სოციოლოგიურ კვლევას თითქმის ყოველწლიურად ატარებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მათ შორის ბიბლიოთეკასთან მიმართებაშიც. ეს პროცესი უფრო ღიას ხდის მიღწევებსა და ნაკლოვანებებს.

სამომავლო ინიციატივები და სტრატეგიები:

ბიბლიოთეკის განვითარების მუდმივი მონიტორინგი და ზრუნვა მის გაფართოვებაზე; პრიორიტეტული მიმართულებების (მევენახეობა-მეღვინეობა, ტურიზმი, ეკონომიკა, განათლება) დამატებითი ელექტრონული ბაზების მოძიება და შესყიდვა.

ბიბლიოთეკის აქტიური განვითარებისათვის ზრუნვა: პროფესორებისა და სტუდენტებისათვის სამკითხველო დარბაზის სივრცეში დამატებით სამუშაო ოთახების შეთავაზება (მეტი გახსნილობისა და ცოდნის მისაღებად), მათი მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის, ინდივიდუალური მიდგომების მეთოდების გამოყენება. ბიბლიოთეკის შენობის გარშემო არსებული სივრცის ათვისება და მომხმარებლისათვის სეზონური მედიათეკის მოწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი http://tesau.edu.ge/biblioteka/literaturis-eleqtronuli-sadziebeli
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;

7.3. საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები;
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტში საინფორმაციო, ელექტრონული, ტექნიკური რესურსის მართვისა და განაწილების გზით უზრუნველყოფილია სასწავლო/სამეცნიერო საქმიანობის

განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნები. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით, რომელთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სერვერული მოწყობილობებითა და ანტივირუსული პროგრამული ელემენტებით. აღნიშნული რესურსის მუდმივ და სტაბილურ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური დებულებითა და უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკით დადგენილი წესით. საინფორმაციო, ტექნოლოგიური რესურსი შეესაბამება უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული საინფორმაციო სახის მონაცემებისა და ნორმატიული დოკუმენტების, ასევე ვიზუალური და სტრუქტურული სახის მასალების უსაფრთხოებისა და უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, ვებ-გვერდის ადმინისტრატორის მიერ ყოველდღიურად ხორციელდება სისტემის სტრუქტურული და საინფორმაციო ბაზათა დაარქივება, რისი მეშვეობითაც განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ვებ-გვერდის სრული ან ცალკეული ელემენტების აღდგენა.
- განსაზღვრულია უნივერსიტეტის განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი (ea/tunels-ის ადმინისტრატორის სახით). რომელსაც ხელშეკრულებისა და „ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესით“ განსაზღვრული აქვს როლი და ფუნქციათა ერთობლიობა, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს, როგორც განათლების მართვის საინფორმაციო, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცულობას.
- ელექტრონული სერვისების სისტემის ინფორმაციული რისკების შემცირებისა და მართვის მიზნით ყოველდღიურად ხორციელდება მისი სტრუქტურული და საინფორმაციო ბაზათა დაარქივება, სერვისის მომწოდებელი კომპანიის (კომპანია შ.პ.ს „ini.ge ჯგუფი) მხრიდან (სისტემური Back Up-ის გზით), რისი საშუალებითაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის საინფორმაციო და პერსონალურ მონაცემთა დაცულობის ხარისხი.
- ელექტრონული სერვისების სისტემაში პერსონალისა და სტუდენტების ავტორიზაციისას (tunels.tesau.edu.ge/ea.tesau.edu.ge) გამოიყენება SSL უსაფრთხოების სერთიფიკატი, რომლის მეშვეობითაც დაცულია სისტემაში ავტორიზებულ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები. მათ შორის: მეილი, პაროლი, საკონტაქტო მონაცემი და ა.შ. სტუდენტებისა და პერსონალის მონაცემთა უსაფრთხოება დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, რაც ასახულია კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
- უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებსათვის ხელმისაწვდომია კორპორატიული ელ-ფოსტა, რომლიც აერთიანებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საგანმანათლებლო ერთეულების მიხედვით.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკით დადგენილი წესით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ რეგულარულად ხორციელდება უნივერსიტეტის კომპიუტერული და სერვერული მოწყობილობების პროგრამულ უზრუნველყოფათა დაარქივება, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანების, წაშლის, დავირუსების შემთხვევაში მოწყობილობაზე პირვანდელი სახით დაბრუნება.

უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების შემცირებას ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული რესურსის უსაფრთხოების სტანდარტების დამოუკიდებელი, შეუფერხებელი ფუნქციონირება. მათ შორისაა:

- კორპორატიული ფოსტები, რომელთა უსაფთხოების ნორმები განსაზღვრულია Google-ს პროგრამების პოლიტიკით.
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow.emis.ge), რომლის უსაფრთხოების ნორმები დადგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.
- განახლებული კომპიუტერული ცენტრები უზრუნველყოფილია ისეთი კომპიუტერული ტექნიკით, რომლის სისტემური მონაცემები სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე ოპერაციული სისტემების (Windows 10/11) გამართულად მუშაობას.
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის პერსონალისთვის 24 საათის განმავლობაში.
- გაიზარდა კომპიუტერული ცენტრების და კომპიუტერების რაოდენობა ცენტრებში, რაც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ორივე სასწავლო კორპუსსა და ბიბლიოთეკის კორპუსში.
- კომპიუტერები უზრუნველყოფილია ინტერნეტის უწყვეტი (კაბელური) კავშირით.
- უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის ელექტრონულ სერვისებთან (tesau.edu.ge / eflow.emis.ge / tunels.tesau.edu.ge / ea.tesau.edu.ge / moodle.tesau.edu.ge) შეუფერხებელი კავშირი.
- მიმდინარე წლიდან უნივერსიტეტი იყენებს UniFi Wireless - WiFi 5 სისტემას, რომელიც აერთიანებს შიდა და გარე გამოყენების Wifi დაშვების წერტილებს, რომლებშიც გაერთიანებულია უნივერსიტეტის სასწავლო და ბიბლიოთეკის კორპუსი.
- უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უკაბელო წვდომის ინტერნეტ კავშირი.

- უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი, მათ შორის საკონფერენციო დარბაზები აღჭურვილია პროექტორებით.
- გასული წლიდან საპრეზენტაციო დარბაზებში და კომპიუტერულ ცენტრებში დამონტაჟდა ჭკვიანი მონიტორები(smart board), რომელზეც წვდომა გააჩნია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები

საუნივერსიტეტო საქმიანობის ხელშეწყობისა და ხარისხის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია სხვადასხვა ელ-სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები. მათ შორის:

- ერთიანი დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow.emis.ge). უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის მიმოსვლის, აღრიცხვისა და მართვით პროცედურებს. შეესაბამება უნივერსიტეტის სამუშაო სტრუქტურასა და პროცესებს. ხელმისაწვდომია მუდმივი და სტაბილური ფუნქციონირების პრინციპით.
- განათლების მართვის ელექტრონული სისტემა (tunnels.tesau.edu.ge/ea.tesau.edu.ge) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ფუნქციების შესრულებას. ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთა, ასევე სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემებზე დაშვების განხორციელებას. სისტემა შექმნილია უნივერსიტეტის სასწავლო სტრუქტურასა და პროცედურებზე დაყრდნობით და ხელმისაწვდომია მუდმივი და სტაბილური ფუნქციონირების პრინციპით.
- ელექტრონული სერვისების სისტემა (moodle.tesau.edu.ge) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში თანამედროვე სასწავლო აქტივობებისა და რესურსების გამოყენებას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, ასევე _ „Turnitin“-ის საშუალებით, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას.

- ბიბლიოთეკის მართვის სისტემა (tesau.edu.ge/biblioteka) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების/სერვისების გამოყენების ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდას, განკუთვნილია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკის მართვის სისტემა ხელმისაწვდომია მუდმივი და სტაბილური ფუნქციონირების პრინციპით.

- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი (tesau.edu.ge) წარმოადგენს ცენტრალურ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას. მასზე ინფორმაციის განთავსება ხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენაზე. ვებ-გვერდი დაკავშირებულია უნივერსიტეტის ყველა ელექტრონულ-სერვისთან, რომელიც განკუთვნილია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. ვებ-გვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ყველა მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო ინფორმაცია. მათ შორის: უნივერსიტეტის ისტორია, მისია, ადმინისტრაციული/აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის შესახებ საკონტაქტო მონაცემები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმები, ნორმატიული აქტები და მარეგულირებელი დოკუმენტები, განხორციელებული კვლევები, ვაკანსიები და ა.შ.
- ვებ-გვერდის განახლება (საინფორმაციო მასალების, აქტივობების, დოკუმენტაციის ატვირთვა) ხორციელდება ყოველდღიურად, ინფორმაციის მოპოვებიდან მიმდინარე სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში ინტერნეტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოწყობილობიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვებ გვერდი www.tesau.edu.ge;
- ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან;
- ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ;
- ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები;
- ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ და მათი განვითარების მექანიზმები;

7.4. ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია;
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას;
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე;
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება;

- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს სტუდენტების სწავლის ქირა წარმოადგენს. გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულლი სხვა ნებადართული შემოსავალი; უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან მიღებული თანხები, რომლთა მოსაპოვებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აქტიურად მუშაობს. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, კვლევითი და სასაწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის.

სტუდენტების სწავლის საფასური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. სწავლის საფასურს იხდის როგორც თავად სტუდენტი, ასევე სახელმწიფო - პროგრამული დაფინანსების, სტუდენტების მიერ მოპოვებული გრანტების და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების ფარგლებში.

ყოველწლიურად ხდება უნივერისტეტის ბიუჯეტის დაგეგმვა-შემუშავება, განხილვა და შესაბამისი პროცედურების გავლით დამტკიცება. ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები იგეგმება წინა წლების ანალიზის საფუძველზე, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად საჭირო რესურსების გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის ქირით მიღებული შემოსავლები წლების მიხედვით სტაბილურად მდგრადია და ბოლო წლებში შეინიშნება ზრდა.



შემოსავლების სტაბილურობამ და უნივერსიტეტის სადეპოზიტო ანგარიშზე ნაშთის მდგრადობამ, განაპირობა ის, რომ ყოველწლიურად იზრდება სს საქართველოს ბანკის მიერ დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლები. ბოლო 5 წლის განმავლობაში იგი 23583 ლარიდან 112353 ლარამდე გაიზარდა .

ყოველწლიურად იზრდება საერთაშორისო პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა სასაწავლო და სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად და აღნიშნულისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა თუ ლაბორატორიების აღსაჭურვად.



2018-2023 წლებში უნივერსიტეტის შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით ასე გამოიყურება:



უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გაწერილი აქტივობების შესრულებას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის დაფინანსება - 2018 წლიდან უნივერისტეტში მოქმედებს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლების დაფინანსების წესი და ყოველწლიურად იზრდება ასეთი პროექტების დაფინანსების თანხა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას ემსახურება სხვადასხვა ფონდებიდან და პროექტებიდან მოძიებული თანხებიც. საავტორიზაციო პერიოდში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული რამდენიმე კვლევითი პროექტი განხორციელდა და დღესაც მიმდინარეობს. მიმდინარე პერიოდშიც წარდგენილია რამდენიმე საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი პროექტი Cif-ში. მიმდინარეობს ახალი პროექტების შემუშავება, რომელიც წარგენილი იქნება შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, დაფინანსების მოსაპოვებლად. უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფინანსებს საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებს. გამოყოფილია ფინანსები გამარჯვებული სტუდენტების ფულადი ჯილდოებისა და ფასიანი საჩუქრებისათვის. იბეჭდება შესაბამისი შრომების კრებულები და კონფერენციის მასალები. უნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, აფინანსებს პერსონალისა და დოქტორანტების სამივლინებო ხარჯებს, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის. სტრატეტიული განვითარების გეგმაში გაწერილია პერსონალისა და სტუდენტების (პოსტდოქტორანტები, დოქტორანტები და მაგისტრანტები) სტატიების მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნების აქტივობები და შესაბამისად, აღნიშნული ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტშიც. ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისათვის გამოყოფილი ხარჯი ბიუჯეტში 6-დან - 7% -მდეა.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება დაფინანსება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისათვის. აღნიშნულზე დახარჯულმა თანხებმა 2018 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა:



2023 წელს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკითაც.

ყოველწლიურად ფინანსდება სპორტული და კულტურული ღონისძიებები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს წაახალისოს სტუდენტური ინიციატივები. 2018-2023 წლებში ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილი და დაფინანსებულია არაერთი ასეთი აქტივობა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო გამოყოფს სტუდენტთა სასტიპენდიო ქვოტასა და თანხას და ყოველწლიურად იზრდება აღნიშნული თანხის ოდენობა, უნივერსიტეტი კი მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს სახელმწიფო სტიპენდიას უნიშნავს. 2023 წელს თითოეულ სტუდენტზე გასაცემი სტიპენდია თვეში 150 ლარიდან 300 ლარამდე გაიზარდა. გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა, უნივერსიტეტი მოიპოვებს თანხებს სხვადასხვა ფონდებიდან და ორგანიზაციებიდან. ყოველწლიურად გაიცემა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის, გარემოსდაცვითი საგენტოსა და მწვანე სტიპენდიები. 2023 წელს სს საქართველოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიღებულია დაფინანსება წარჩინებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სწავლის ქირის დაფინანსების უზრუნველსაყოფად.გარდა ამისა უნივერსიტეტი საკუთარი სახსრებიდანაც გამოყოფს თანხებს წარჩინებული და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების წასახალისებელი ჯილდოს გასაცემად.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს გამოყოს თანხები ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალისთვის სამუშაო გარემოს და სახელფასო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. 2022 წელს უნივერსიტეტის შემოსავლებმა საშუალება მოგვცა აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის რანჟირებული ხელფასის დანიშვნის, ხოლო 2024 წლის დასაწყისში ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალისთვის ხელფასის გაზრდის.

საერთაშორისო პროექტებით მოპოვებული დაფინანსებით, თესაუ ხელს უწყობს თანამშრომელთა და სტუდენტთა მობილობას საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. მობილობით წასული სტუდენტების და პერსონალის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

გარდა ამისა, საერთაშორისო პროექტების საშუალებით, უნივერსიტეტი იძენს საჭირო ტექნიკასა და აღჭურვილობას, აწყობს ლაბორატორიებს (აღსანიშნაია, რომ 2023 წელს საერთაშორისო პროექტის დაფინანსებით, უნივერსიტეტის პირველი საწავლო კორპუსის სარდაფში მოეწყო მინი ღვინის ქარხანაც).

უნივერსიტეტი თითქმის ყოველ წელს წარადგენს პროექტებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად. 2018 წლიდან დღემდე მიღებულია 2205397 ლარის დაფინანსება და აღნიშნულით სრულიად რეაბილიტირებულია უნივერსიტეტის პირველი საწავლო კორპუსის ფასადი და შიდა ტერიტორია, დამონტაჟებულია ლიფტი, რეაბილიტირებულია მეორე სასწავლო კორპუსის ფასადი და სხვა. ასევე შეძენილია სხვადასხვა ლაბორატურიული აღჭურვილობა.

უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლებით 2024 წელს ხორციელდება მეორე სასწავლო კორპუსის შიდა რეაბილიტაცია და სხვა სამუშაოები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე და ახორციელებს რა ფინანსების ანალიზს, მის შესაბამისად გეგმვას მომავალ აქტივობებს.

საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ქვოტის მაქსიმალურად ათვისება;
- სტუდენტისთვის სწავლის საფასურის გადახდის ხელმისაწვდომი სისტემის განვითარება დონორ და კომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებით;
- ინვესტიციების მოზიდვა ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის;

თესაუ-ში არსებობს დაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირების და ანგარიშვალდებულების წესი. პასუხისმგებლობების გადანაწილება ხორციელდება კანონის საფუძველზე, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით ან თესაუ-ს წესდებიდან გამომდინარე, რაიმე სამუშაოს შესასრულებლად. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და ფაკულტეტის მართვის ორგანოების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ასახულია თესაუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ შესაბამის დებულებებში და განაწილებულია საქმიანობის სფეროების მიხედვით. თესაუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები დელეგირებულია შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. თესაუ-ში დაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, თესაუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებებით, გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენენ თესაუ-ს ხელმძღვანელობას. თესაუ-ს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშს წარუდგენენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს (აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები).

თესაუ-ს წესდებით განსაზღვრულია პერსონალის მიღების/გათავისუფლების დროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და რექტორის ურთიერთშეთანხმების აუცილებლობა. თესაუ-ს წესდებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი მოვალეობის შემსრულებელი პირები. რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში,მისი მოვალეობის შემსრულებელი პირი.

- თესაუ-ში მიღებულ იქნა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი, რომელიც დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. აღნიშნულ წესში

დეტალურადაა გაწერილი ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტები. თესაუ-ში განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მიზნები, ამოცანები, ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს უფლებამოსილებების განაწილებას, ანგარიშვალდებულების სისტემას, უფლებამოსილებათა დელეგირებას და სტრუქტურული ერთეულების საფეხურებად იერარქიულობას. თესაუ-ში დამტკიცებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის ღონისძიებები, რაც გულისხმობს შემდეგს: მოვალეობები განაწილებულია მენეჯერულ რგოლებს შორის ისე, რომ ერთი და იგივე პირი არ არის პასუხისმგებელი უფლებამოსილების მინიჭებაზე, ქმედების განხორციელებასა და კონტროლზე. ფინანსების განკარგვის დროს მოქმედებს ხელმოწერის ორმაგი სისტემა, რომლის თანახმადაც თესაუ-ს ხელმძღვანელის და მისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ერთდროულად ხელმოწერის გარეშე, არ იგეგმება ფინანსური ოპერაციები და არ ხორციელდება ხარჯვა. თესაუ-ში უზრუნველყოფილია ყველა ფინანსური ოპერაციის დოკუმენტირება, სრულად, ზუსტად და დროულად ასახვა ფინანსურ ანგარიშებში, რომლის წარდგენაც ხდება თესაუ-ს მართვაზე ზედამხედველ და მაკონტროლებელ სტრუქტურებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ის ბიუჯეტი; • დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა; • ფინანსური ანგარიშები და ხარჯების დინამიკა; • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

მატერიალური რესურსების მიმართულებით **ძლიერი მხარეები:** • სასწავლო და კვლევითი გარემოს შესაქმნელად საჭირო ფართობი; • აგრარული მიმართულებით სწავლებისა და კვლევების განსახორციელებლად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკუთრებაში არსებული საცდელი-კვლევითი ნაკვეთი; • საკუთრებაში არსებული სასწავლო და კვლევითი პროცესების წარმართვისათვის შერეული ბაღის სადემონსტრაციო ნაკვეთი; • დიდი ფართის მქონე რეკრიაციული სივრცე; • უწყვეტი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა: (წყალი, გათბობა და აშ.); • რეაბილიტირებული და აღჭურვილი სასწავლო კორპუსები. **გასაუმჯობესებელი მხარეები:** • სტუდენტური საცხოვრებლის რეაბილიტირება, აღჭურვა-მოწყობა და ამოქმედება; • უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე შშმ და სსსმ მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება; **ბიბლიოთეკის მიმართულებით** **ძლიერი მხარეები:** მომხმარებელთა ჯგუფებთან მომსახურების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდები და სერვისები;

აქტიური ურთიერთობა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან საჭირო ლიტერატურის, სხვადასხვა რესურსებისა და მასალების შეძენა -მოპოვებისათვის;
კოლეგიალური ურთიერთობები საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებთან, ასოციაციასა და კონსორციუმებთან. სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და მათ ბიბლიოთეკებთან, ერთობლივი ტრენინგების, შეხვედრების, ვებინარების და სხვა სასარგებლო აქტივობების სიახლეთა დანერგვისათვის.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

ლიტერატურის და დამატებითი რესურსის შესაძენად ფინანსური ფონდების მოძიება.
სტუდენტებისა და პერსონალისათვის ბიბლიოთეკის რესურსებზე გარედან წვდომის შესაძლებლობების ზრდა.
ბეჭდური რესურსების გაციფრება;

ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მომხმარებელთა ჯგუფებთან მომსახურების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდები და სერვისები;
აქტიური ურთიერთობა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან საჭირო ლიტერატურის, სხვადასხვა რესურსებისა და მასალების შეძენა -მოპოვებისათვის;
კოლეგიალური ურთიერთობები საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებთან, ასოციაციასა და კონსორციუმებთან. სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და მათ ბიბლიოთეკებთან, ერთობლივი ტრენინგების, შეხვედრების, ვებინარების და სხვა სასარგებლო აქტივობების სიახლეთა დანერგვისათვის.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით

ძლიერი მხარეები:

- განახლებული და უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამები;
- ტექნიკურად აღჭურვილი კომპიუტერული სასწავლო კლასების რაოდენობა;

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- საგამოცდო პროცესის ელექტრონულ ფორმატში ჩატარება;
- 5 G ინტერენეტის დანერგვა;
- ვებ გვერდის განახლება.

ფინანსური რესურსების მიმართულებით:

ძლიერი მხარეები:

- დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული ფინანსები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად;
- საერთაშორისო პროექტებიდან მოზიდული ფინანსური რესურსების ზრდა;
- უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ზრდა.
- ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობა.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმალურ ქვოტასთან მიახლოვება;
- საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და რაოდენობის ზრდა უცხოენოვანი პროგრამების და კურსების შეთავაზების გზით;

• სტუდენტისთვის სწავლის საფასურის გადახდის ხელმისაწვდომი სისტემის განვითარება დონორ და კომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებით; • სამეცნიერო კვლევების მიმართულებით გარე დაფინანსების მოპოვება.

ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი

ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს თვითშეფასების ფორმა ჩანაწერის, გრაფიკული ჩანართების და/ან ფორმაზე თანდართული დოკუმენტაციის სახით[10]
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება დაკავშირებული დანართები ☒ უსდ-ის მისია; ☒ სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); ☒ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; ☐ საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. **2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** ☒ უსდ-ის სტრუქტურა; ☒ უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; ☒ მართვის ორგანოებში არჩევის/ დანიშვნის წესი და პროცედურები; ☒ ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა; ☒ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ☒ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები; ☒ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება; ☐ გამოკითხვების (მაგ. სტუდენტთა, პერსონალის და ა.შ) შედეგების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშები;

[10] **შენიშვნა: თვითშეფასების შევსებულ ფორმასთან ერთად სავალდებულოა ☒ - ნიშნით მონიშნული დოკუმენტების ინგლისურ ენაზე არსებობა**

☒ ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შესაბამისი ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

☒ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;

☐ ეთიკისა და ქცევის წესები და მათ დარღვევებზე რეაგირების პროცედურები;

☐ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;

☐ უსდ-ის შინაგანაწესი.

3. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული დანართები

☒ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;

☒ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები[11]

☐ პროგრამების განვითარების მიზნით, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში (წინა ავტორიზაციის პერიოდის);

☒ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;

☐ აკადემიური კალენდარი;

☐ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

4. უსდ-ის პერსონალის მართვა

☒ პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები (მათ შორის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები);

☒ პერსონალის CV-ები;[12]

☒ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში;

☐ სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

☐ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;

☒ აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;

☐ პროგრამების მიხედვით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის მექანიზმები

☐ უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;

☐ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;

☒კარიერული მხარდაჭერის სერვისები;

☐ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;

☐ სოციალურად მოწყვლადი და სსსმ პირების მხარდაჭერის ინსტრუმენტები და შედეგები.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

☒ანგარიში უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემრუსლებლო საქმიანობის შესახებ, მიმდინარე და/ან დაგეგმილი პროექტების მოკლე აღწერების გათვალისწინებით დეპარტამენტების/ფაკულტეტების მიხედვით (თითოეული პროექტის აღწერა არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას);

☐ ინფორმაცია ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

☒ კვლევის განვითარების ინსტიტუციური სტრატეგია;

[11] სავალდებულოა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების მოკლე აღწერის, სტრუქტურის, მიზნებისა, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის ინგლისურ ენაზე არსებობა

[12] წარმოდგენილი უნდა იყოს პერსონალის განახლებული CV - ები და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები; ინგლისურ ენაზე სავალდებულოა მხოლოდ პერსონალის CV წარმოდგენა

☐ ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო და ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი ფაკულტეტების მიხედვით;

☒ უნივერსიტეტის შემთხვევაში ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო ნაშრომების აბსტრაქტები, სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები;

☒ სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი;

☐ კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები;

☐ კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები;

☐ ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან;

☒ კვლევის/სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები;

☒ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსები

☐ უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

☐ მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები;

☐ პრაქტიკის / კვლევით-სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება;

☐ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;

☐ წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია ან ინვენტარიზაციის მასალები;

☐ ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;

☐ ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;

☒ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ და მათი განვითარების მექანიზმები;

☒ უსდ-ის ბიუჯეტი;

☒ დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა; მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები;

☐ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი.

დანართი 1ა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით წარმოადგენეთ შემდეგი ცხრილის სახით

№	პროგრამის დასახელება	**უმაღლესი განათლების საფეხური**[13]	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[14]	პროგრამის განხორციელების ადგილი	*სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
ფაკულტეტის დასახელება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის											
1	ეკონომიკა	ბაკალავრიატი	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი, 0311.1.1	240	აკრედიტებული	05.04.2022 #351822	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	47%	55%
2	ეკონომიკა	მაგისტრატურა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი, 0311.1.1	120	აკრედიტებული	05.04.2022 #351822	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	55%	65%	80%
3	გამოყენებითი ეკონომიკა	დოქტორანტურა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი, 0311.1.1	3 წელი	აკრედიტებული	29.01.2021 #41010	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100%	100%	100%
4	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 0413.1.2	240	აკრედიტებული	25.01.2021 #25281	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	48%	58%
5	ბიზნესის ადმინისტრირება	მაგისტრატურა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, 0413.1.2	120	აკრედიტებული	12.09.2018 #120	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	55%	67%	80%
6	სამართალი	ბაკალავრიატი	ქართული	სამართლის ბაკალავრი, 0421	240	აკრედიტებული	12.07.2016 #41	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	35%	38%	58%
7	საჯარო მმართველობა	ბაკალავრიატი	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი, 0413.1.3	240	აკრედიტებული	18.11.2011 #314	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	38%	52%
8	ტურიზმი	ბაკალავრიატი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი, 1015.1.1	240	აკრედიტებული	14.07.2023 #884789	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	38%	48%
ფაკულტეტის დასახელება: აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი											
1	სასურსათო ტექნოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი (0721.1.1)	240	აკრედიტებული	05.02. 2019, გადაწყვეტილება N37	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	55%	75%
2	აგრონომია	ბაკალავრიატი	ქართული	აგრონომიის ბაკალავრი (0811.1.1)	240	აკრედიტებული	05.02. 2019, გადაწყვეტილება N36	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	55%	75%
3	ბიოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	ბიოლოგიის ბაკალავრი (0511.1.1)	240	აკრედიტებული	13.04.2021, გადაწყვეტილება N352763	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30%	32%	40%
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ბაკალავრიატი	ქართული	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი (0612.1.1.)	240	აკრედიტებული	09.06.2021, გადაწყვეტილება N548316	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	65%	70%	80%

[13] ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ერთსაფეხურიანი, დოქტორანტურა, ქართულ ენაში მომზადება, მასწავლებლის მომზადება, ვეტერინარის მომზადება, სპეციალური მასწავლებლის მომზადება

[14] იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაცია მინიჭებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა სხვა აკრედიტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მიერ, მიუთითეთ მისი დასახელება

***შენიშვნა:** უსდ-ს შეუძლია დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების ნაცვლად წარმოადგინოს მიმართულებების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, სქოლიოში უნდა გაკეთდეს შესაბამისი მითითება

****შენიშვნა:** მონაცემების ფაკულტეტების/სკოლების ჭრილში წარმოსადგენად საჭიროებისამებრ გააკეთეთ ცხრილების კოპირება

5	მევნახეობა და მეღვინეობა	მაგისტრატურა	ქართული	მევნახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი (0888.1.1)	120	აკრედიტებული	19.10.2022, გადაწყვეტილება N1324187	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	75%	70%	80%
6	ეკოლოგია	მაგისტრატურა	ქართული	ეკოლოგიის მაგისტრი (0521.1.2)	120	აკრედიტებული	02.08.2012, N305	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	70%	68%	75%
7	სასურსათო ტექნოლოგია	დოქტორანტურა	ქართული	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი (0721.1.1)	30	აკრედიტებული	06.07.2022, გადაწყვეტილება N769521	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100%	100%	100%
ფაკულტეტის დასახელება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი											
1	ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი (0232.1.1)	240	აკრედიტებული	14/02/2023 № MES 9 23 000172252	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	35%	30%	45%
2	ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი (0231.1.2)	240	აკრედიტებული	15/02/2023 №MES 0 23 0000178437	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	55%	60%
3	ისტორია	ბაკალავრიატი	ქართული	ისტორიის ბაკალავრი (0222.1.1)	240	აკრედიტებული	16/05/2023 №MES 8 23 0000545158	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45%	30%	48%
4	ლინგვისტიკა	მაგისტრატურა	ქართული	ფილოლოგიის მაგისტრი (0232.1.3)	120	აკრედიტებული	14/02/2023 №MES 2 23 0000172255	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	85%	80%	90%
5	საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია	მაგისტრატურა	ქართული	საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222.2.1)	120	აკრედიტებული	№ MES 5 23 0000545164 16/05/2023	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	75%	70%	80%
6	ქართულ ენაში მომზადება	ქართულ ენაში მომზადება	ქართული	-	60	აკრედიტებული	№ 245 17.12.2019	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	-	-	-
ფაკულტეტის დასახელება: განათლების მეცნიერებათა											
1	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	მაგისტრატურა	ქართული	განათლების მაგისტრი 0113	300	აკრედიტებული	№ 99 08.08.2018	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	35%	30%	55%
2	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პორგრამა	მასწავლებლის მომზადება	ქართული	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი 0114	60	აკრედიტებული	№ 2 17.03.2016	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100%	100%	100%

დანართი 1.ბ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	**უმაღლესი განათლების საფეხური**	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[15]	ECTS	პროგრამის სტატუსი (არააკრედიტებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროგრამის განხორციელების ადგილები	•სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი	•კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი	•კურს დამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
1	განათლების მეცნიერებები	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის	დოქტორანტურა	ქართული	განათლების მეცნიერებების დოქტორი 0111.1.1	180	აკრედიტებული	13.10.2020 MES 0 20 0000985678	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100%	100%	100%

[15] განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED – F – 2013) არ ითვალისწინებს არაკლასიფიცირებულ და ინტერდისციპლინურ დეტალურ სფეროებს. ასეთი პროგრამების შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ დეტალური სფეროს დასახელება და კოდი ეროვნული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

		სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი										

დანართი 2. მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების/სკოლების და პროგრამების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით

	პროგრამების დასახელება	საფეხური	სტუდენტების რაოდენობა		უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
			აქტიური	შეჩერებული		
ფაკულტეტის დასახელება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი						
1	ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	80	78	0	129%
2	ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	45	33	0	47%
3	ისტორია	ბაკალავრიატი	167	112	0	86%
4	საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია	მაგისტრატურა	4	7	0	169%
5	ლინგვისტიკა	მაგისტრატურა	5	11	0	67%
6	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ერთწლიანი 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა	12	3	0	83%
ფაკულტეტის დასახელება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი						
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	51	50		77%
2	სამართალი	ბაკალავრიატი	107	50		31%
3	საჯარო მმართველობა	ბაკალავრიატი	45	35		95%
4	ეკონომიკა	ბაკალავრიატი	93	53		32%
5	ტურიზმი	ბაკალავრიატი	36	29		51%
6	ბიზნესის ადმინისტრირება	მაგისტრატურა	51	50		70%
7	ეკონომიკა	მაგისტრატურა	0	0		0%
8	გამოყენებითი ეკონომიკა	დოქტორანტურა	7	10		33%
ფაკულტეტის დასახელება:განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი						
1	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო	131	34		9%
2	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ერთწლიანი 60 კრედიტიანი	45	20		94%

3	განათლების მეცნიერებები (ერთობლივი)	დოქტორანტურა	3	5		100%
ფაკულტეტის დასახელება: აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი						
1	აგრონომია	ბაკალავრიატი	132	75		15%
2	სასურსათო ტექნოლოგია	ბაკალავრიატი	350	202		28%
3	ბიოლოგია	ბაკალავრიატი	38	56		125%
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ბაკალავრიატი	42	19		37%
5	მევენახეობა და მეღვინეობა	მაგისტრატურა	29	21		55%
6	ეკოლოგია	მაგისტრატურა	7	16		56%
7	სასურსათო ტექნოლოგია	დოქტორანტურა	10	4		20%

დანართი 3. მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით:

ფაკულტეტის დასახელება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული)	20 (აკადემიური), 15 (მოწვეული)
სულ აკადემიური პერსონალი	20
- პროფესორი	6
- ასოცირებული პროფესორი	11
- ასისტენტ პროფესორი	3
- ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალი	
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	20
- აფილირებული პროფესორი	6
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	11
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**3**
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	15
ფაკულტეტის დასახელება: განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული)	14 აკადემიური), 12 (მოწვეული)
სულ აკადემიური პერსონალი	14
- პროფესორი	3
- ასოცირებული პროფესორი	9

- ასისტენტ პროფესორი	1
- ასისტენტი	1
სამეცნიერო პერსონალი	0
პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	14
- აფილირებული პროფესორი	3
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	9
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**1**
- აფილირებული ასისტენტი	1
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	12
ფაკულტეტის დასახელება: აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების	
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული)	**24 აკადემიური), 24 (მოწვეული)**
სულ აკადემიური პერსონალი	24
- პროფესორი	5
- ასოცირებული პროფესორი	16
- ასისტენტ პროფესორი	3
- ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალი	
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	24
- აფილირებული პროფესორი	5
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	16
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	3
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	24
ფაკულტეტის დასახელება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის	
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული)	**22(აკადემიური), 22 (მოწვეული)**
სულ აკადემიური პერსონალი	22
- პროფესორი	6
- ასოცირებული პროფესორი	14
- ასისტენტ პროფესორი	2
- ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალი	0
პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	21
- აფილირებული პროფესორი	5
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	14
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**2**

- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	22

დანართი 4. სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების/სკოლების მიხედვით

ფაკულტეტის დასახელება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი[16]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	20/15	20/15	2026
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	35/313	35/500	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	35/6	35/6	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	20/35	20/35	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	20/313	20/313	2030
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	N/A	N/A	N/A
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	53%	100%	2026
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	48%	65%	2030
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	4	N/A	N/A

ფაკულტეტის დასახელება:	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის

[16] სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

განათლების მეცნიერებათა მეცნიერებათა ფაკულტეტი			მოსალოდნელი თარიღი[17]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	14/12	16/10	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	26/179	26/300	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	26/3	26/5	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	14/26	16/26	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	14/179	16/300	2030
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/3	1/3	2030
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	100%	100%	2030
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	65%	80%	2030
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	4	10	2030

ფაკულტეტის დასახელება: აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი[18]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	25/24	30/20	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	49/608	50/800	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	49/7	50/9	2030

[17] სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს
[18] სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	24/49	30/20	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	24/608	30/800	2030
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/3	1/3	2030
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	100%	100%	2030
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	60%	80%	2030
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	5	10	2030

ფაკულტეტის დასახელება: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი[19]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	23/22	24/22	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	45/390	46/600	2030
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	45/8	46/10	2026
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	22/45	24/46	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	22/390	24/600	2030
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/3	1/3	2030
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	100%	100%	2030
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	60%	75%	2030

[19] სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	2	10	2030

დანართი 5. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით	
ფაქტობრივი მისამართი (1)	ქ.თელავი. ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	53.20.42.815
ფართობი კვ.მ-ში	4394,77
ფაქტობრივი მისამართი (2)	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. გულგულა
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	53.09.34.034
ფართობი კვ.მ-ში	80 000

დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით	
ფაქტობრივი მისამართი (1)	ქ.თელავი. ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	53.20.42.814; 53.20.42.814; ;53.20.42.816; 53.20.42.817; 53.20.42.051
ფართობი კვ.მ-ში	63939
ფაქტობრივი მისამართი (2)	ქ.თელავი. თბილისის გზატკეცილი 26
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	53.20.34.034; 53.20.34.035; 53.20.34.036;
ფართობი კვ.მ-ში	24496